ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა



სახელმძღვანელო ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციებისთვის

bice
International Catholic Child Bureau
Dignity and rights of the child

ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა

სახელმძღვანელო ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციებისთვის

bice
International Catholic Child Bureau
Dignity and rights of the child

ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა სახელმძღვანელო ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციებისთვის

პუბლიკაცია შექმნილია BICE-ს მიერ ფონდის OAK Foundation -ის მხარდაჭერით

OAK FOUNDATION

პუბლიკაციის ქართული ვერსია მომზადებული და ადაპტირებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ

მაკეტი: GrandM
ბეჭდვა: DereumePrinting
ISBN: 978-2-91914862-74-5
პარიზი, 2014

ISBN: 978-9941-0-8892-6
თბილისი, 2016

www.bice.org
www.phf.org.ge

სახელმძღვანელოს
შემდგენელი რედაქტორია **ამელი კუკი,**
პროგრამის „ღირსეული მოპყრობა“ კოორდინატორი, BICE

სახელმძღვანელოზე მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს:
ალესანდრა აულა,BICE-ს გენერალური მდივანი, ჟენევა
იაო აგბეტსი, BICE, ჟენევა
ანნიკ დელეპინი, BICE, ბრიუსელი
დიანა ფილატოვა, BICE, ბრიუსელი
ანნ-ლორ ფრანსუა, BICE, ბრიუსელი
ლიზა კურუკულაზურია, BICE, ბრიუსელი
ანნ-ლიზ ლავორი, BICE, ბრიუსელი
ადრიანო ლეიტე, BICE, ბრიუსელი
კარმენ სერანო, BICE, ბრიუსელი
სოფი სერი, BICE, ბრიუსელი

თარგმანი **ლუკა გორდაძე**

BICE უღრმეს მადლობას უხდის მისი ქსელის წევრებს და პარტნიორებს, რომლებმაც შთააგონეს იგი მოცემული სახელმძღვანელოს შესადგენად და წარმართავდნენ ამ სამუშაოს.

შინაარსი

შესავალი **8**

თეორიული ნაწილი **9**

ბარათი N1: რისთვის არის საჭირო ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა? **10**

ბარათი N2: როგორია ჩვენი მიდგომები? უფლება-სიცოცხლისუნარიანობა-სულიერება **12**

ბარათი N3: სასტიკი მოპყრობა **16**

ბარათი N4: ღირსეული მოპყრობა **21**

ბარათი N5: სამართლებრივი ველი **26**

ბარათი N6: რა არის აუცილებელი დაცვის ეფექტური პოლიტიკისთვის? **32**

ბარათი N7: სიტუაციის შეფასება: საქმე სასტიკ მოპყრობასთან გვაქვს? **40**

ბარათი N8: არასრულწლოვანი აგრესორები: როცა ბავშვი თვითონ ავლენს სისასტიკეს **43**

ბარათი N9: ადმინისტრაციული და სამართლებრივი პროცედურა, შეტყობინება სასტიკი მოპყრობის შესახებ და საჩივრის შეტანა **48**

ბარათი N10: ფსიქოლოგიური და თერაპიული მხარდაჭერა **53**

ბარათი N11: ბავშვის მონაწილეობა ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკაში **59**

ბარათი N12: ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის დანერგვისას წამოჭრილი სირთულეები **63**

ბარათი N13: ბავშვის დაცვის პოლიტიკის გავრცელება **67**

ბარათი N14: ბავშვის დაცვის პოლიტიკის შეფასების ჩატარება **68**

ბარათი N15: ბავშვის დაცვის პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა **70**

პრაქტიკული ნაწილი - ერთობლივი მუშაობა ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკაზე **71**

ბარათი N1: ერთობლივი მუშაობა თემაზე: ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის მიზნები **72**

ბარათი N2: ერთობლივი მუშაობა თემაზე: უფლება, მედეგობა/სიცოცხლისუნარიანობა და სულიერება **72**

ბარათი N3: ერთობლივი მუშაობა თემაზე: სასტიკი მოპყრობის განსაზღვრა **73**

ბარათი N4: ერთობლივი მუშაობა თემაზე: ღირსეული მოპყრობის ცნება **73**

ბარათი N5: ერთობლივი მუშაობა თემაზე: იურიდიული საკითხები **75**

ბარათი N6: ერთობლივი მუშაობა თემაზე: ბავშვთა დაცვის პოლიტიკის კომპონენტები 75
ბარათი N7: ერთობლივი მუშაობა თემაზე: სიტუაციის შეფასება 76
ბარათი N8: ერთობლივი მუშაობა თემაზე: არასრულწლოვნის აგრესიული ქცევის საპასუხო ღონისძიებები 76
ბარათი N9: ერთობლივი მუშაობა თემაზე: ადმინისტრაციული და სამართლებრივი პროცედურები 78
ბარათი N10: ერთობლივი მუშაობა თემაზე: სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი ბავშვის თერაპიული დახმარება 80
ბარათი N11: ერთობლივი მუშაობა თემაზე: ბავშვების მონაწილეობის პრობლემა 80
ბარათი N12: ერთობლივი მუშაობა თემაზე: ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის დანერგვისას წამოჭრილი სირთულეები 81
ბარათი N13: ერთობლივი მუშაობა თემაზე: ბავშვის დაცვის პოლიტიკის გავრცელება 81
ბარათი N14: ერთობლივი მუშაობა თემაზე: ბავშვთა დაცვის პოლიტიკის შეფასება 82
ბარათი N15: ერთობლივი მუშაობა თემაზე: ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავება 88

დანართები 89

დანართი 1: BICE-ს ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა 90
დანართი 2: BICE-ს ბავშვის დაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებული დეკლარაცია და ვალდებულებები 107
დანართი 3: სასტიკი მოპყრობის შესახებ განაცხადის ნიმუში 108
დანართი 4: ბავშვის უფლებათაკონვენციის მუხლები, რომლებიც ბავშვთა მიმართ სასტიკ მოპყრობას ეხება 109
დანართი 5: BICE-ს პოზიცია 111

ბიბლიოგრაფია 130

მესამე

BICE-ს ვალდებულებები ბავშვთა დაცვის საკითხებში

BICE-ს ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის მიზანია იმის მიღწევა, რომ ბავშვთა მიმართ ღირსეული მოპყრობა, რაც უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას და ღირსების პატივისცემას, საყოველთაოდ მიღებულ ნორმად იქცეს ჩვენი ქსელის ყველა წევრისთვის.

ათი წლის განმავლობაში, BICE ატარებს ბავშვთა დაცვის პოლიტიკას, დაფუძნებულს პრევენციასა და ეთიკურ კოდექსზე, რაც შევსებულ იქნა 2011 წლის იანვარში, - ბავშვთა დაცვის კომისიის შექმნით. ამას გარდა, 2012 წლის მაისში, BICE-ს დირექტორთა საბჭოს შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ამ თემისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობის მიზნით, ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა ორგანიზაციის სრულუფლებიან სოციალურ მისიად უნდა ქცეულიყო. ეს ინიციატივა ასევე მოწმობს BICE-ს სურვილს, ხელი შეუწყოს ბავშვებთან მომუშავე დაწესებულებებში იმგვარი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც არა მხოლოდ არ უშვებს ბავშვის მიმართ სასტიკ მოპყრობას, არამედ, პირველ რიგში, ბავშვისადმი ღირსეული მოპყრობის განმაპირობებელია.

ვართ რა დარწმუნებულნი, რომ ამ მიზნების მიღწევა ჩვენი ქსელის წევრების და ჩვენი პარტნიორების სწავლებით იწყება, ჩვენ განვიხილავთ თანამშრომლობის ამ ასპექტს, როგორც უმნიშვნელოვანესს.

ამასთან, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად, BICE მუდმივად წარმართავს ბავშვებთან კონტაქტში მყოფი ადამიანების ყურადღებას ბავშვის უსაფრთხოების და უფლებების დაცვის აუცილებლობისკენ; მიისწრაფვის, რომ მათ მიიღონ შესაბამისი ცოდნა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ. BICE ასევე დიდ ყურადღებას უთმობს იმას, რომ ბავშვებმა სკოლებში მიიღონ ინფორმაცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის რისკების შესახებ, აგრეთვე ძალადობისგან დაცვის გზების შესახებ, მათი განვითარების დონის შესაბამისი ფორმით.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ნაშრომი **„ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა“**, რომელიც გამოცემულია ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე, ეფუძნება სიცოცხლისუნარიანობას და უფლებას, - BICE-ს მოღვაწეობის მთავარ საყრდენებს. ის პრაქტიკული ინსტრუმენტია, რომელიც ადგილებზე ტრენერების მუშაობის შემსუბუქების საშუალებას იძლევა, ვინაიდან ისინი მოწოდებულნი არიან, ყურადღება ასევე მიაქციონ იმ ზონების კულტურულ თავისებურებებს, სადაც მუშაობენ და სწავლების ადაპტირება მოახდინონ ყოველი ქვეყნის სოციალურ კონტექსტთან.

ამ დოკუმენტის უკეთ ათვისებისა და გამოყენებისთვის, ჩვენ გირჩევთ გაეცნოთ მოწინავე პრაქტიკათა კრებულს „ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია“ და „BICE-ს პოზიცია სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის პრობლემის მიმართ“, რომლებიც შექმნილია BICE-ს გუნდებისა და პროგრამის „Promotion of Well-treatment and Fight against Ill-treatment“ ფარგლებში პარტნიორების მიერ, 2013 წელს.

ალესანდა აულა,
BICE-ს გენერალური მდივანი

თეორიული ნაწილი

ბარათი 1: რისთვის არის საჭირო ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა?

ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის შემთხვევები ორგანიზაციების შიგნით, რომლებიც მათი დაცვისთვის არიან მოწოდებულნი, მზარდ და კანონიერ შეშფოთებას იწვევს: პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, იზრდებოდნენ უსაფრთხო გარემოში, ეკისრება დაწესებულებებს, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ, ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოებას, და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს.

1. რა არის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა?

ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის მიზანია, დაიცვას ყველა ბავშვი შესაძლო ძალადობის ყოველგვარი რისკისგან, ბავშვებთან მომუშავე ნებისმიერი ორგანიზაციის შიგნით, რა პროფილისაც არ უნდა იყოს იგი.

ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა:

- ამტკიცებს ორგანიზაციის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს ბავშვებთან მიმართებაში, რომლებთანაც მუშაობენ;
- ასახელებს ღონისძიებებს, რომლებიც ორგანიზაციამ უნდა გაატაროს ბავშვების დასაცავად სასტიკი მოპყრობის ყველა შესაძლო ფორმისგან, ორგანიზაციის შიგნით და მის კედლებს მიღმა;
- აღწერს პრევენციულ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს ძალადობის რისკის შემცირების მიზნით დაწესებულების შიგნით;
- აღწერს სავარაუდო თუ დადასტურებულ ძალადობასთან დაკავშირებულ სავალდებულო პროცედურას;
- ასახელებს ბავშვისთვის უსაფრთხო და ღირსეულ მოპყრობაზე* დაფუძნებული გარემოს შექმნისათვის ხელშემწყობ ფაქტორებს.

2. ვინ ანხორციელებს ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკას?

ამ პოლიტიკის გატარებაში მონაწილეობს პირთა ოთხი ჯგუფი:

- ორგანიზაციის სპეციალისტები (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, ადმინისტრაციული და სამეურნეო პერსონალი (მზარეული, დაცვის სამსახური...);
- სპეციალისტები და თანამშრომლები სხვა სტრუქტურებიდან, რომლებსაც ზოგჯერ ხვდება ბავშვი (სოციალური მუშაკები, სასამართლო ორგანოების წარმომადგენლები, აღმზრდელები/პედაგოგები);
- ბავშვების გარემოცვა (ოჯახი, თემი და ასე შემდეგ);
- თვითონ ბავშვი, როგორც ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის მოქმედი პირი (იხ. ბარათი N12).

3. რომელი სხვადასხვა მიმართულებების გათვალისწინებაა საჭირო ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკასთან მიმართებაში?

*BICE-მ გადაწყვეტილება მიიღო, ფრანგული სიტყვა «bientraitance» თარგმნოს, როგორც „ღირსეული მოპყრობა“, იმისთვის, რომ ხაზი გაუსვას მის დაპირისპირებულობას ტერმინთან «მალტრაიტანცე» („სასტიკი მოპყრობა“). მაშინაც კი, თუკი გამოთქმა „ღირსეული მოპყრობა“ არჩეული იყო „სასტიკი მოპყრობის“ ანტონიმად, ის არ დაიყვანება მხოლოდ სასტიკი მოპყრობის არარსებობაზე, ვინაიდან წარმოადგენს უფრო ფართო ცნებას და გულისხმობს შეხედულებათა და პოზიტიურ ქმედებათა მთელ კომპლექტს, როგორიცაა პატივისცემა, ზრუნვა, ნდობის დემონსტრირება, წახალისება და მხარდაჭერა. იმისთვის, რომ მეტი გაიგოთ ამ კონცეპტის შესახებ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ბარათი N4 „ღირსეული მოპყრობა“.

ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკაში გამოიყოფა სამი მიმართულება:

- **პრევენცია/ცნობიერების ამაღლება:** აუცილებელია მკაფიო ინფორმაციის გავრცელება იმ წესების შესახებ, რომლებიც მოქმედებს დაწესებულებებში ბავშვთა დაცვის მიზნით, და ბავშვების უნარების განვითარება, რაც საშუალებას მისცემს მათ, შეეწინააღმდეგონ ძალადობის საფრთხეს. მნიშვნელოვანია, დავრწმუნდეთ თანამშრომელთა კვალიფიცირებულობაში და უზრუნველვყოთ მათი უწყვეტი სწავლება იმისთვის, რომ თავად გახდნენ ბავშვის მიმართ ღირსეულ მოპყრობაზე დაფუძნებული გარემოს შექმნის ინიციატორები (იხ. ბარათი N6);
- **შეტყობინება და რეაგირება:** საჭიროა სასტიკი მოპყრობის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისი შეტყობინების პროცედურის შემუშავება და აუცილებელი ქმედებების განსაზღვრა; ყველა თანამშრომლის ინფორმირება საპასუხო ადმინისტრაციული ან სასამართლო ზომების შესახებ, რომლებიც უნდა გატარდეს სასტიკ მოპყრობაზე ეჭვის შემთხვევაში (იხ. ბარათი N11);
- **დაცვა:** აუცილებელია განისაზღვროს და დასახელდეს დაცვითი ზომები, რომლებიც გატარდება სასტიკ მოპყრობაზე ეჭვის შემთხვევაში: ფსიქოსოციალური, თერაპიული, სამედიცინო და იურიდიული მხარდაჭერა (იხ. ბარათი N9).

ორგანიზაციის ბავშვის დაცვის ეფექტური შიდა პოლიტიკის შემადგენელი თითოეული ეს ელემენტი დეტალურად იქნება განხილული მოცემული სახელმძღვანელოს ბარათებში.

*საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდმა გადაწყვეტილება მიიღო, ინგლისური სიტყვა «resilience» თარგმნოს, როგორც „სიცოცხლისუნარიანობა“.

ბარათი 2: როგორია ჩვენი მიდგომები? უფლება-სიცოცხლისუნარიანობა*-სულიერება

სამგვარი მიდგომა ბავშვის დაცვისადმი

BICE-ს სპეციფიკა სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება: ბავშვის უფლებები, სიცოცხლისუნარიანობა და სულიერება. ამ სამი პრინციპის ერთობლიობა სოლიდურ საფუძველს ქმნის ბავშვის ღირსების დაცვისა და პატივისცემისთვის.

ეს სამი ურთიერთშემავსებელი ასპექტი შეადგენენ მიდგომას, რომლითაც ჩვენს საქმიანობაში ვხელმძღვანელობთ. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ორგანიზაციას, შეიმუშაონ ბავშვთა დაცვის პოლიტიკა, დაფუძნებული საკუთარ ღირებულებებზე, რომლებიც ბავშვთა უფლებების პატივისცემას და დაცვას შეეხება.

1. უფლება

ბავშვის დაცვა - ეს, უწინარესად, არის უფლება, რომელზეც BICE მისი შექმნის დღიდან, 1948 წლიდან ზრუნავს, მაგალითად, სხვა აქტივობებთან ერთად, ბავშვის უფლებათა დაცვის უნივერსალური სამართლებრივი ბაზის შექმნაში მონაწილეობით. მეოცე საუკუნეში, საერთაშორისო საზოგადოებებმა რამდენჯერმე სცადეს ჩამოეყალიბებინათ მინიმალური ნორმატიული ბაზა. 1989 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო ბავშვის უფლებათა კონვენცია.

ბავშვის უფლებათა კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია: "ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ".

დღეისათვის გაეროს წევრმა ყველა ქვეყანამ, აშშ-ს გარდა, მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება. ამგვარად, მას, პრინციპში, პრაქტიკულად უნივერსალური გამოყენება აქვს. ბავშვის უფლებათა კონვენციის დანერგვა წარმატებით მიმდინარეობს, თუმცა, უახლოეს წლებში სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, დაწყებული ბავშვის გარემოცვით და დასრულებული სახელმწიფოთი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციით.

როდესაც საუბარია ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკაზე, ვალდებულება, უზრუნველყოს ბავშვის უფლება - დაცული იყოს სასტიკი მოპყრობის ყველა ფორმისგან, - პირველ რიგში, საკუთარ თავზე უნდა აიღონ მშობლებმა, აღმზრდელებმა და სპეციალისტებმა

*საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდმა გადაწყვეტილება მიიღო, ინგლისური სიტყვა «resilience» თარგმნოს, როგორც „სიცოცხლსუნარიანობა".

ამ სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებით ოქმს შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ (OPAC) და ფაკულტატურ ოქმს ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (OPSC)

2. სიცოცხლისუნარიანობა

BICE-ს აღელვებს ყველა ბავშვის ბედი, მაგრამ ჩვენს განსაკუთრებულ წუხილს იწვევს მათ შორის ყველაზე მოწყვლადი ბავშვების კეთილდღეობა. როგორ განვახორციელოთ მათი განვითარებისთვის აუცილებელი მხარდაჭერა? რა შეიძლება ვისწავლოთ მათგან? ჩვენ ვეძებთ სასიცოცხლო ენერგიას, რომელმაც უკვე გაიარა ტესტირება რეალურ ცხოვრებაში. საჭიროა იმაზე დაკვირვება, თუ როგორ ახერხებენ რთულ გარემოში მცხოვრები ბავშვები და მათი ოჯახის წევრები ცხოვრებას, განვითარებას და ბედნიერების ძიებას, როგორ აღწევენ კეთილდღეობას მეტად რთულ სიტუაციაში. ამ სასიცოცხლო ენერგიას სიცოცხლისუნარიანობა ეწოდება. ამგვარად, სიცოცხლისუნარიანობა შეიძ-ლება გავიგოთ, როგორც **ძალზე რთულ პირობებში განვითარების უნარი;** ამასთან, საუბარია ცნებაზე, რომელიც თანდათანობით ათვისებას მოითხოვს.

თავისი არსით სიცოცხლისუნარიანობა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ გაძლება, აღდგენა. ეს არის განვითარების კონცეფცია, რომელიც გულისხმობს რეალობის სხვაგვარ ხედვას. ეს არის უნარი, რთულ სიტუაციებშიც ხედავდე ნათელ წერტილს, დადებით მომენტებს და რესურსებს, რომელთა მობილიზებით შეიძლება ცხოვრების სირთულეების გადალახვა. ეს დადებითი მომენტები შეიძლება არ იყოს სრულყოფილი, მაგრამ ისინი აუცილებელია იმისთვის, რომ ცხოვრება შეცვალო.

ამგვარი შეხედულება იმასაც გულისხმობს, რომ ბავშვი და მისი ოჯახი არასდროს უნდა განვიხილოთ მხოლოდ იმ სირთულეების კონტექსტში, რომლებსაც ისინი აწყდებიან. დიაგნოსტირება არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პრობლემებით. ის აუცილებლად უნდა მოიცავდეს პოზიტიურ ასპექტებსაც, მათ შორის, ბავშვის, ოჯახის, გარემოცვის რესურსებს, რაც ბავშვს ცხოვრების შეცვლის საშუალებას მისცემს. BICE-ს სჯერა, რომ ბავშვს შეუძლია პასუხისმგებლობის აღება; სწორედ ამიტომ, ჩვენ მოგიწოდებთ, აწარმოოთ დიალოგი ბავშვთან და მოუსმინოთ მის აზრს. როგორც იანუშ კორჩაკი წერდა ჯერ კიდევ 1899 წელს: „ბავშვები ადამიანები არ გახდებიან, რადგან ისინი უკვე არიან ადამიანები“.[2]

3. სულიერება

სულიერება არის ცხოვრების სიღრმისეული შეცნობა, იქნება ეს რელიგიური, ფილოსოფიური თუ სხვა. სულიერება მნიშვნელოვანია, რადგან ის საშუალებას გვაძლევს უფრო მეტი რამ აღვიქვათ, ვიდრე თვალით ვხედავთ. ის საშუალებას გვაძლევს, გავცდეთ ფიზიკურ სივრცეს და მასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ის გვეხმარება, გვქონდეს რეალური ღირებულებები და არა ისეთი ფსევდოღირებულებები, როგორიცაა ფული, ძალაუფლება, პოპულარულობა. ის საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ სილამაზე, გამოვიჩინოთ თანადგომა და ვიყოთ უანგარონი.

სულიერებასთან დაკავშირებით, BICE-ს აქვს რამდენიმე რჩევა:

- ჩვენ მივისწრაფვით (ბავშვებთან და დიდებთან ერთად) ცხოვრების ღრმა წვდომისკენ,

[2]KORCZAK, J., *Le droit de l'enfant au respect, Robert Laffont, Paris, 1979.*

ისეთი ფუნდამენტური ღირებულებების ძიებებით, როგორიცაა სილამაზე, პატივისცემა, სოლიდარობა, უანგარობა, ნდობა გულუბრყვილობის გარეშე, უბრალოება... იქნება ეს რელიგიურ კონტექსტში თუ მის გარეშე;

- ეს წვდომა უნდა ხორციელდებოდეს ძალადატანების, ფსიქიკაზე ზეწოლის და ფანატიზმის გარეშე, ვინაიდან რელიგიური ან ნებისმიერი სხვა ტიპის ფანატიზმი ადრე თუ გვიან წინააღმდეგობაში მოდის ცხოვრებასთან;
- ბავშვი ძიებას და წვდომას საკუთარი თავიდან გამომდინარე იწყებს, ყოველგვარი პროზელიტიზმის გარეშე.

სულიერი ძიება - ეს მარტივი გამოწვევა როდია. ბავშვზე დიდ გავლენას ახდენს მისთვის მნიშვნელოვანი ზრდასრული ადამიანის შეხედულება სამყაროზე, - იქნება ეს ფილოსოფიური, რელიგიური, ათეისტური თუ აგნოსტიკური. გამოსავალი არაა არც ამ ადამიანის გადაწყვეტილება, - არ გასცეს კონკრეტული პასუხი სამყაროს შესახებ ბავშვის მიერ დასმულ შეკითხვებზე, იმ ილუზორული მოსაზრებით, რომ ამგვარად ბავშვს უფრო მეტად ექნება თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

ამ წვდომაში ბავშვს მრავალი რამ შეიძლება დაეხმაროს:

- ბავშვების მხატვრული შემოქმედება;
- ყოველდღიურობაში სილამაზის აღმოჩენა;
- ახლობელ ადამიანებთან ერთად ღამაზ ადგილებში სეირნობა;
- ბავშვისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება რაიმე სამუშაოს შესრულებაზე, მაგალითად, მცენარის მოვლა, ცხოველზე, რაიმე ნივთზე ან სხვა ბავშვებზე ზრუნვა;
- სულიერების შეძენა ბავშვის რწმენაზე დაყრდნობით (თუ ესეთი რამ გააჩნია), ყოველგვარი ძალადატანების გარეშე.

4. სამი ურთიერთშემავსებელი მიდგომა

თავის მოღვაწეობას BICE ზემოთ აღწერილ ამ სამ მიდგომაზე აფუძნებს, რადგან მიაჩნია, რომ ეს სამი მიდგომა ერთმანეთისაგან განუყოფელია და რომ მათი ერთიანობით შესაძლებელია ბავშვების დაცვისთვის სოლიდური საფუძვლის შექმნა, მათი ღირსების პატივისცემა და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

ჯერ ერთი, სიცოცხლისუნარიანობა და ნორმატიული ბაზა ერთმანეთთან ძალიან მჭიდრო კავშირშია. ნორმატიული მიდგომა მდგომარეობს იმ კრიტერიუმების განსაზღვრაში, რომლებიც აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ხოლო ემპირიული მიდგომა მდგომარეობს, უწინარესად, იმ რეალურ ფაქტებზე დაკვირვებაში, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვთა კეთილდღეობას, ან, სულ მცირე, მათი ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. საკანონმდებლო ჩარჩოები განსაზღვრავენ მიზნებს, რომელთა მიღწევაც საჭიროა ბავშვის კეთილდღეობის საძირკვლის შესაქმნელად, ამასთან, არ მიუთითებენ მისი განვითარებისა და მისი ცხოვრების კონკრეტულ გზას. თუმცა, სასიცოცხლო ენერგია და ნორმატიული ჩარჩოები ერთმანეთს ავსებენ. ბავშვის უფლებათა კონვენციის დაცვა ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობდა სიცოცხლისუნარიანობის განვითარებას და ბავშვის კეთილდღეობის ამაღლებას. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი, იქნება ეს ბავშვის უფლებათა კონვენცია თუ რაიმე სხვა, შეივსოს ცხოვრებისეული გამოცდილებით, მოერგოს და შეერწყას

სასიცოცხლო ენერგიას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქაღალდი ქაღალდადვე დარჩება. ამდენად, უფლებებმა და სიცოცხლისუნარიანობამ ერთმანეთი უნდა შეავსონ.

შემდგომ, სიცოცხლისუნარიანობა - ეს გარკვეულწილად სულიერი კონცეფციაა, რადგან არსის წვდომა, შესაძლოა, სულიერების საკვანძო ელემენტი იყოს. იმ ფაქტის აღიარება, რომ ცხოვრება კარგი და ცუდი რაღაცებისაგან შედგება, ასევე სულიერების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა ის დადებითი მომენტი, რომელიც ადამიანს ცხოვრებასთან აკავშირებს, მას ცხოვრების აზრის შეძენაში ეხმარება: საინტერესო შეხვედრები, ბუნებრივი სილამაზე ან ადამიანის მიერ შექმნილი სილამაზე, ფანატიზმს მოკლებული რწმენა.

დაბოლოს, სიცოცხლისუნარიანობა და სულიერება ჩვენ გვიბიძგებს, რომ არასდროს შემოვიფარგლოთ უფლებების მექანიკური დაცვით; პირიქით, მოგვიწოდებს, განვიხილოთ ბავშვთა უფლებები, როგორც ბავშვის ღირსებისკენ მიმავალი გზა; გვაიძულებს, ვიფიქროთ ფუნდამენტურ ღირებულებებზე, რომლებიც ფასეულს ხდიან სიცოცხლეს, ღირსებას და უფლებებს.

ეს სამი მიდგომა შეგვიძლია სამკუთხედის სახით წარმოვიდგინოთ, რომლის შუაგულშიც ჩვენ მოვათავსეთ ბავშვის დაცვა და ღირსება, როგორც BICE-ს საბოლოო მიზანი, რომლის მიღწევას ეს სამი ასპექტი განაპირობებს.

ბარათი 3: სასტიკი მოპყრობა

1. განმარტებები

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლში სასტიკი მოპყრობა განმარტებულია, როგორც „ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა, შეურაცხყოფა თუ ბოროტმოქმედება, ზრუნვის მოკლება ან დაუდევრად მოქცევა, უხეში მოპყრობა ან ექსპლუატაცია, სექსუალური ძალადობის ჩათვლით“.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) განმარტების თანახმად, “ბავშვზე ძალადობა და არასათანადო მოპყრობა გულისხმობს ნდობით აღჭურვილი, ძალაუფლების ან პასუხისმგებლობის მქონე პირის მიერ განხორციელებულ ფიზიკურ, ემოციურ და/ან სექსუალურ ძალადობას, უგულებელყოფას ან უყურადღებობას, კომერციული ან სხვა მიზნით ექსპლუატაციას, რასაც მოაქვს რეალური ან პოტენციური ზიანი ბავშვის ჯანმრთელობის, განვითარების, გადარჩენისა ან ღირსებისთვის”.[3]

BICE იზიარებს ბავშვის უფლებათა კონვენციის და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დამკვიდრებულ განმარტებებს. თუმცა, უკანასკნელი განმარტება არ მიაჩნია ამომწურავად, რადგან სასტიკ მოპყრობას, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს პასუხისმგებლობის, ნდობის ან ძალაუფლების კონტექსტს მიღმაც. ბავშვების ექსპლუატაცია (სექსუალური, შრომითი, მათხოვრობა...) - ეს ასევე სასტიკი მოპყრობის უკიდურესი ფორმაა. ცალკეულ პირთა მხრიდან სასტიკი მოპყრობის გარდა, შეიძლება ასევე ადგილი ჰქონდეს ინსტიტუციურ ძალადობას. ამ ცნებაში ასევე შეიძლება გავაერთიანოთ პედაგოგების მხრიდან დისკრიმინაციის და სასტიკი მოპყრობის ყველა ფორმა, როგორიცაა სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია, ინვალიდების დისკრიმინაცია ან ბავშვის გაუმართლებელი გარიცხვა დაწესებულებიდან, სადაც ის ცხოვრობს და/ან სწავლობს. ხშირად დუმილიც დანაშაულია. გაცნობიერებული პასიური და მდუმარე პოზიცია აშკარა სასტიკი მოპყრობის მოწმეობისას ასევე მიიჩნევა სასტიკ მოპყრობად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბავშვს სასტიკად შეიძლება ეპყრობოდნენ მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები, მეურვეები/მზრუნველები, მეგობრები, ნაცნობები, უცხო ადამიანები, გარკვეული ძალაუფლების მქონე პირები (მაგალითად, მასწავლებლები, ჯარისკაცები, პოლიციელები, სამღვდელოების წარმომადგენლები, ჯანდაცვის მუშაკები), სხვა ბავშვები.

სასტიკი მოპყრობის საერთო და ყოვლისმომცველი განმარტების მოძიება რთულია. ცხოვრებას ყველა განსხვავებულად უყურებს, ყველას თავისი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს და თავისი შეხედულება გააჩნია; ის, რასაც ვიღაც ძალადობად აღიქვამს, სხვისთვის შეიძლება ნორმალური და მისაღები იყოს. ამას გარდა, სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ, მაგალითად, დასჯისადმი, მათ შორის, ფიზიკური დასჯისადმი, რომელსაც აღმზრდელობითი მიზნით მიმართავენ ან იმისთვის, რომ ბავშვს წესრიგისკენ მოუწოდონ. ფიზიკური დასჯის გამოყენება ძალზე გავრცელებული იყო წარსულში და მას დღესაც ჰყავს მომხრეები.

[3]Report on a consultation about preventing child ill-treatment, 29–31 March 1999, Geneva, World Health Organization, 1999 (document WHO/HSC/PVI/99.1).

BICE არ ეთანხმება იმ ეგრეთ წოდებულ კულტურულ ტრადიციებს, რომლებიც ძალადობისა და ადამიანის უფლების შელახვის წახალისებას ახდენენ. ის, უპირველესად, გამოდის, როგორც ადამიანის უფლებათა უნივერსალური დამცველი და სასტიკ მოპყრობასთან მიახლოებული ნებისმიერი ქმედების მოწინააღმდეგე.

2. სასტიკი მოპყრობის ფორმები

სასტიკი მოპყრობა ყოველთვის ადვილი შესამჩნევია არაა. ამასთან, ბავშვები ყოველთვის როდი აცნობიერებენ, რომ მათ ზიანს აყენებენ.

ფიზიკური ძალადობა
როგორც წესი, ფიზიკური ძალადობა ადვილი და სწრაფი შესამჩნევია, რადგან ხშირად მისი კვალი ბავშვის სხეულზე ჩანს. ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობა არის ბავშვზე ძალის გამოყენება, რომელიც იწვევს ან პოტენციურად იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის, სიცოცხლის, განვითარების ან ღირსების შელახვას. ფიზიკურ ძალადობად შეგვიძლია ჩავთვალოთ: დარტყმა, ცემა, ჩაწიხვლა, ნჯღრევა, კბენა, მოხრჩობა, დამწვრობითი დაზიანებების მიყენება, მოწამვლა, მოგუდვა. ფიზიკური ძალადობის დიდი ნაწილი ხორციელდება, როგორც აღმზრდელობითი ღონისძიება.[4]

ფსიქოლოგიური ძალადობა
მისი აღმოჩენა უფრო რთულია, ვიდრე ფიზიკური ძალადობის, თუმცა ეს იმას ნამდვილად არ ნიშნავს, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა ნაკლებად საზიანოა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფიზიკურ ძალადობას ხშირად თან ახლავს ფსიქოლოგიური ძალადობაც (სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამცირება).

ფსიქოლოგიური ძალადობა შეიძლება იყოს როგორც ცალკე აღებული შემთხვევა, აგრეთვე მზრუნველის ან მშობლის მიერ ბავშვის განვითარებისათვის შეუფერებელი გარემოს შექმნა. ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელმაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ბავშვის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის, სულიერების, მორალის ან სოციალური კეთილდღეობის შელახვა, შეიძლება იყოს: მოძრაობის შეზღუდვა, დამცირება, ბრალდება, დაშინება, შეშინება, დამცირება, დისკრიმინაცია, უარყოფა ან მტრული დამოკიდებულება.[5]

სექსუალური ძალადობა
ბავშვზე სექსუალური ძალადობა არის სრულწლოვანების ასაკს მიუღწეველ ადამიანთან თანხმობის გარეშე სქესობრივი ურთერთობის დამყარება, იქნება ეს ხაზგასმულად სექსუალური მიმართვების გამოყენება, გარყვნის მცდელობა, ვოიერიზმი, ეგზიბიციონიზმი, პორნოგრაფია, ეროტიული ალერსი, სექსის დროს დამცირება, გაუპატიურება, ინცესტი და სხვა მრავალი.

[4] World Health Organization (WHO), Guide on preventing ill-treatment on children: intervention and data production, 2006, p10.
[5] Ibid.

შესაბამისად, ტერმინი „სექსუალური ძალადობა“ თავის თავში მოიაზრებს ბავშვის ჩაბმას ისეთ სქესობრივ აქტივობებში, რომლებისათვისაც ბავშვი არ არის მზად მისი განვითარების დონიდან გამომდინარე, ან ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ნორმებსა და ტაბუებს. ბავშვები, შესაძლოა, სექსუალურ ძალადობას განიცდიდნენ როგორ უფროსებისაგან, აგრეთვე სხვა ბავშვებისგანაც.[6]

უგულებელყოფა

ეს ალბათ ყველაზე რთულად განსამარტი ძალადობის ფორმაა. უმეტეს შემთხვევებში, უგულებელყოფა გამოწვეულია არა ბოროტი განზრახვებით, არამედ მშობლის/ მზრუნველის უუნარობით ან უცოდინრობით.

უგულებელყოფა რამდენიმე დონეზე იჩენს თავს: კვება, ჩაცმა, ყურადღების მიქცევა, ჰიგიენა, სწავლა-განათლება, წახალისება, ჯანმრთელობა და ასე შემდეგ.

უგულებელყოფა შეიძლება მოხდეს ერთხელ და ის შეიძლება ცხოვრების სტილიც იყოს. ის სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბავშვის კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, განათლებას, საზრდო-საბადებელს და უსაფრთხოებას.[7]

ინსტიტუციური ძალადობა

ინსტიტუციური ძალადობა არის დაწესებულების ნებისმიერი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც იწვევს ბავშვის თვალსაჩინო თუ ფარულ ტანჯვას (იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური) და ხელს უშლის მის ჰარმონიულ განვითარებას.

ეს შეიძლება იყოს: სკოლიდან გაგდება, აღმზრდელ-მასწავლებლებისათვის არასათანადო სამუშაო გარემოს შექმნა, სოციალური დახმარების მწვავე საჭიროების მქონე ღარიბი ოჯახისთვის დახმარების გაუწევლობა.

ინსტიტუციური ძალადობა უმეტესად თავს სწორედ იმ სახელმწიფო ორგანიზაციებში იჩენს, რომელთა უშუალო მოვალეობაცაა ბავშვისა და მისი ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენა.

თავად ბავშვის დახმარების და დაცვის პროცესი შესაძლოა იყოს ძალადობრივი და დამამცირებელი. მსგავს შემთხვევებს მიეკუთვნება არამდგრადი ფოსტერები, მოუმზადებელი ოჯახის შერიგებები, კონფლიქტები მეურვე ოჯახთან და ასე შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ბავშვს ხშირად ერთდროულად ყველა ფორმის ძალადობასთან უწევს გამკლავება. მაგალითად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხშირად აგრეთვე განიცდის ფიზიკურ ძალადობას, ხდება მისი ფსიქოლოგიური ტრავმირება და უგულებელყოფა.

[6] Ibid.
[7] Ibid

ფიზიკური დასჯა თუ „აღმზრდელობითი“ ძალადობა
გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ფიზიკურ დასჯას განმარტავს, როგორც: „გარკვეული ძალაუფლების მქონე ადამიანის მიერ მის პასუხისმგებლაბაში მყოფი ადამიანისადმი ფიზიკური ძალის გამოყენება ტკივილის ან დისკომფორტის გამოწვევის განზრახვით“.[8] ამგვარი დასჯა ბავშვის უფლებებისა და ღირსების შელახვაა. რიგი საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციებისა მკაცრად აკრიტიკებს მას და დანაშაულად მიიჩნევს.

ფიზიკური დასჯის ავთვისებიანობაზე ბავშვის უფლებათა კონვეციაშიც არის აღნიშნული და მისი აკრძალვა წევრი ქვეყნების მოვალეობაა.

BICE მიიჩნევს, რომ ბავშვისთვის უნდა შეიქმნას უსაფრთხო გარემო და სწავლა-აღზრდის იმგვარი პირობები, რომელიც არ გამოიწვევს შიშს, რაც ხაზგასმულია 2005 წელს მიღებულ მსოფლიო სამოქმედო გეგმაში (მე-8 მიზანი): „აუცილებელია, რომ საცხოვრებელი და საგანმანათლებლო სტრუქტურები არ იყოს დაფუძნებული შიშსა და ფრუსტრირებაზე, არამედ ხელს უწყობდეს ჩართულობას, უფლებადაცულობას და პიროვნების სრულფასოვან განვითარებას“.

ფიზიკური დასჯის გარდა (წამოთაქება, სილის გაწვნა, შენჯღრევა, თმის მოქაჩვა...) ბავშვის უფლებათა კომიტეტი ამატებს დასჯის რამდენიმე სახეს, რომლებიც არ არის დაკავშირებული ფიზიკური ძალის გამოყენებასთან, როგორიცაა „დამცირება, ადამიანური ღირსების შეურაცხყოფა, ცილისწამება, ბავშვების გადაქცევა დაცინვის საგნად, მუქარის გამოყენება, დაშინება ან აბუჩად აგდება“, რომლებიც ასევე წარმოადგენს სასტიკ, ღირსების შემლახავ მოპყრობას, და შესაბამისად, შეუთავსებელია ბავშვის უფლებათა კონვენციასთან. ამგვარად, დასჯა შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე - ფსიქოლოგიური.

3. სასტიკი მოპყრობა და სასტიკი მოპყრობის რისკი

იმ ბავშვების გარდა, რომლებმაც განიცადეს სასტიკი მოპყრობა, მეტად მნიშვნელოვანია „რისკ-ჯგუფის“ ბავშვების გამოვლენა, რომლებიც შეიძლება გახდნენ სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი. ზოგჯერ მათ უწოდებენ „საფრთხეში მყოფ არასრულწლოვნებს“.

სასტიკი მოპყრობის რისკის ქვეშ მყოფ ბავშვს ისეთ გარემოში უხდება ცხოვრება, რომელშიც საფრთხე ექმნება მის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას, ფსიქიკას, მორალს, მის აღზრდას და მოვლას, თუმცა, ამასთან, აუცილებელი არაა, რომ მას სასტიკად ეპყრობოდნენ. ბავშვის ჩვეული გარემოცვა (ოჯახი, ადგილები, სადაც დადის, ადამიანები, ვისთანაც ესა თუ ის ურთიერთობა აქვს...) ვერ უზრუნველყოფს/უკვე ველარ უზრუნველყოფს მის სასიცოცხლო საჭიროებებს. ბავშვი, შესაძლოა, განიცდიდეს სიყვარულის, სითბოს, ყურადღების ნაკლებობას, აგრეთვე მუდმივ გულგრილობას და ასე შემდეგ.

[8] General observations of the 8th UN Commission for children' right to protection against corporal punishment and other forms of cruel or degrading punishment, CRC/C/GC/8, 2 June 2006. http://www.ohchr.org/english/bodies/crc/docs/co/CRC.C.GC.8.pdf

ბარათი 3

ტერმინი „რისკ-ჯგუფის ბავშვი“ გულისხმობს, რომ პოტენციური საფრთხე ბავშვის გარემოცვიდან მომდინარეობს და საკმარისია ამა თუ იმ ჩარევის გასამართლებლად. ასეთ შემთხვევებში, აშკარა სასტიკი მოპყრობა არ არის, თუმცა ბავშვის გარემოცვა განგაშის საფუძველს იძლევა: სერიოზული კონფლიქტი მშობლებს შორის, ალკოჰოლიზმი, ნარკოდამოკიდებულება, ერთ-ერთი მშობლის ფსიქიკური აშლილობა, ოჯახური ძალადობა და სხვა მრავალი.

რისკ-ჯგუფის ბავშვების გამოვლენა ძალზედ მნიშნვლოვანია, რადგან ამით შესაძლებელი გახდება მათი გადარჩენა ძალადობისაგან.

ბავშვის დაცვის ეფექტური პოლიტიკა საშუალებას იძლევა, აღმოიფხვრას ძალადობის ყველა ფორმა ბავშვებთან მომუშავე ცენტრებსა და ორგანიზაციებში.

ბარათი 4: ღირსეული მოპყრობა

ღირსეული მოპყრობა - ეს არის დადებით ქმედებათა ერთობლიობა, პატივისცემის, ზრუნვის, ნდობის, წამახალისებელი სიტყვების და მხარდაჭერის გამოხატვა დაცვის საჭიროების მქონე პირების ან პირთა ჯგუფისადმი. ღირსეული მოპყრობა - ეს არის ურთიერთობის კულტურა, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის ღირსების პატივისცემაზე, მისი თავისებურებების, მოთხოვნილებებისა და პირადი ისტორიის გათვალისწინებით.

ღირსეული მოპყრობის კულტურის ფორმირება აუცილებლად იწყება მშვიდი, უსაფრთხო, სამართლიანი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნით.

ამას გარდა, ღირსეული მოპყრობა დამოკიდებულების უწყვეტი პროცესია, რომელშიც გამოხატულია სხვა ადამიანთან მორგების სურვილი, რომლის თვითგამოხატვას და დამოუკიდებლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ღირსეული მოპყრობის კულტურა ცენტრში აყენებს ინდივიდუუმს, და არა მის პრობლემებს, და ხელს უწყობს სუბიექტის მონაწილეობას გადაწყვეტილებების ძიებაში.

როგორია ბავშვისადმი ღირსეული მოპყრობის უზრუნველმყოფი გარემოს შედეგები? ღირსეული მოპყრობა არის ფაქტორი, რომელიც აუცილებელია:

1. ბავშვის ყოველმხრივი განვითარებისთვის (შესაბამისად, მოზრდილისაც, რომლადაც ის გაიზრდება). ღირსეული მოპყრობის უზრუნველმყოფი, ანუ ძალადობისგან თავისუფალი გარემო, რომელიც უპირატესობას ანიჭებს დიალოგს, ითვალისწინებს ბავშვის თავისებურებებს და საჭიროებებს, ბავშვს საშუალებას აძლევს, იყოს უფრო გახსნილი, თავისუფალი, ბედნიერი და ღირსეული მოპყრობის სქემა სხვების მიმართ გამოიყენოს.

2. მატრავმირებელი გამოცდილების შემთხვევაში, სიცოცხლისუნარიანობის განვითარებისათვის.[9]

ღირსეული მოპყრობის უზრუნველმყოფი გარემოს შექმნა, პირველ რიგში, მშობლების მოვალეობაა; ამ მოვალეობის შესრულებას კი კარგი მშობლობა ჰქვია.

ეს არის უნარი, მოეპყრა ბავშვს პატივისცემით, მაშინაც კი, როდესაც რთული გარემოებებია.

კარგი მშობლობა არ არის თანდაყოლილი ნიჭი, ეს არის სწავლის, განვითარების და ადაპტირების უწყვეტი პროცესი. უდიდეს როლს თამაშობს ის, თუ როგორ და რა გარემოში იზრდებოდა თავად მშობელი, იყო თუ არა ღირსეული მოპყრობა ჩვეული პრაქტიკა მის ოჯახში, განსაკუთრებით ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში.

[9] BARUDY, J., La violence individuelle comme organisatrice de la subjectivité individuelle, familiale et sociale : l'approche systémique de la maltraitance d'enfants. Neuropsychiatrie de l'enfance, 1992, 40, 7, p. 363-377 , http://www.cfwb.be/illtreatment

ბარათი 4

მშობლების ღირსეული მოპყრობა შვილების მიმართ, ან, თუ ბავშვი მშობლებთან არ ცხოვრობს, ღირსეული მეურვეობა/მხარდამჭერობა, ნიშნავს:

- მშობლების/მზრუნველების უნარს, ბავშვთან დაამყარონ ემოციური კავშირი;
- მშობლების/მზრუნველების უნარს, გააცნობიერონ და მართონ საკუთარი ემოციები;
- უნარს, გესმოდეს ბავშვის ემოციონალური ენა, რომლითაც ბავშვი თავის მოთხოვნილებებს გამოხატავს და შესაბამისად რეაგირებდე;
- ქმედებების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობით მშობლები/მზრუნველები ცდილობენ დააკმაყოფილონ თავიანთი შვილების მოვლის საჭიროებები;
- თემის რესურსების გამოყენების ან სოციალური ქსელების ფარგლებში ურთიერთქმედების უნარს.

პირები, რომლებიც ღირსეულად უნდა მოეპყრან ბავშვს:

ბავშვის გარემომცველი ყველა პირი:

1. მშობლები;
2. ნათესავები;
3. თემი;
4. ბავშვთან მომუშავე სპეციალისტები (მასწავლებლები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, ექიმები პოლიციელები და სხვა) — „სიცოცხლისუნარიანობის გამტარები“ (ზრდასრულები, რომლებიც ბავშვებს სირთულეებისა და ტრავმატული გამოცდილების დაძლევაში ეხმარებიან).

სოციალური მუშაკი და ღირსეული მოპყრობა

ღირსეულ მოპყრობაზე დაფუძნებული პროფესიონალური პოზიცია არის ცხოვრების წესი და ქცევების წესი, რომელიც გამოირჩევა სხვის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულებით, მზაობით, დააკმაყოფილოს მისი საჭიროებები და თხოვნები, მისი არჩევანის და უარის მიმართ პატივისცემით. ღირსეული მოპყრობა არ დაიყვანება მხოლოდ რაიმე ზომების მიღებაზე და განსაზღვრულ ქმედებებზე.

ღირსეული გარემო გულისხმობს ისეთი დაწესებულებების არსებობას, რომლებშიც მოქმედებს მკაფიო და უსაფრთხო წესები ყველასათვის და კატეგორიულად მიუღებელია ძალადობის ნებისმიერი ფორმა. ეს ნიშნავს, რომ თავად ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებსაც სჭირდებათ მხარდაჭერა და მათი გააზრებული ქმედებების დაფასება. მათ ეს ცხოვრების აზრის პოვნაში ეხმარება.[10]

ღირსეული მოპყრობა, როგორც კოლექტიური პასუხისმგებლობა

ბავშვების მიმართ ღირსეული მოპყრობა ოჯახის, თემის, ზოგადად, მოზრდილების

[10] Guide de bonnes pratiques en bientraitance (ANESM ; Agence nationale de l'évaluation et de la qualité des établissements et services sociaux et médico-sociaux), Juin 2008 (PDF, 51 pages), http://www.anesm.sante.gouv.fr/IMG/pdf/reco_bientraitance.pdf

მიზანი უნდა იყოს. ოჯახში ბავშვისადმი ღირსეული მოპყრობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მშობლების უნარზე, დააკმაყოფილონ ბავშვის საჭიროებები, არამედ თემის მიერ მშობლების მხარდაჭერის შესაძლებლობებზეც. ეს მთელი საზოგადოების ძალისხმევის შედეგია.

რა უწყობს ხელს ღირსეულ მოპყრობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარებას/ აღდგენას?

- ოჯახის და თემის რესურსების შექმნის/აღდგენის ხელშეწყობა, რათა მიღწეული იქნას შვილისადმი მშობლების დამოკიდებულებაში დადებითი ცვლილებები;
- ჯანსაღი მიჯაჭვულობის ფორმირების ხელშეწყობა და თერაპიული დახმარება მიჯაჭვულობის დარღვევების დასაძლევად;
- მშობლების/მზრუნველების უნარის განვითარება, დაადგინონ და დააკმაყოფილონ მათი შვილების ძირითადი საჭიროებები;
- ოჯახის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რადგან ღირსეული მოპყრობა ასევე შეიძლება დამოკიდებული იყოს ოჯახში არსებულ სიტუაციასა და ცხოვრების პირობებზე;
- სპეციალისტთა ყურადღების მიპყრობა ღირსეული მოპყრობის აუცილებლობაზე, მათი განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გზით.

ძირითადი საჭიროებები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ღირსეულ მოპყრობაზე დაფუძნებული გარემოს შესაქმნელად:

ა) ფიზიოლოგიური საჭიროებები:
- ფიზიკური საჭიროებები;
- ბიოლოგიური საჭიროებები.

ბ) ბავშვის ფსიქოსოციალური განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებები:

- სანდო და ხანგრძლივი ემოციური კავშირის საჭიროება: მიჯაჭვულობა, აღიარება/ დაფასება, თავდადება მოზრდილების მხრიდან;
- შემეცნების, ექსპერიმენტირების, უნარების ათვისების კოგნიტური საჭიროებები;
- სოციალური საჭიროებები:

განვითარების და შემეცნების წახალისება;
საზოგადოებრივი საჭიროებები: ურთიერთობის, ნორმების, ღირებულებებისა და ეთიკური პრინციპების ათვისების საჭიროებები.

ბავშვის ფსიქოსოციალური განვითარებისთვის აუცილებელი ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, უკიდურესად მნიშვნელოვანია ჯანსაღი და ჰარმონიული პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ფორმირების ხელშეწყობა.

მართლაც, სამოქმედო გეგმის, კვალიფიკაციის ამაღლების და სხვა ინსტიტუციური საშუალებების გარდა, აუცილებელია ადამიანებისათვის და მათი ურთერთობებისათვის ყურადღების დათმობა. ღირსეული მოპყრობა ყოველდღიური ქმედებით იწყება. შესაძლოა, ამგვარი ქმედებები უმნიშვნელოდ მოჩანდეს, თუმცა ეს ასე ნამდვილად არაა.

ბარათი 4

ცხოვრებისეული უნარები, რაღაც გაგებით, გარემოსთან ადაპტირებაა და მასთან გამკლავებაა. ცხოვრებისეული უნარები არის გამოცდილების, დამოკიდებულებისა და უნარების ერთობლიობა, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის კეთილდღეობას, დაცულობას, ჩართულობას და გახსნილობას.

ჩვენ შევარჩიეთ რამდენიმე საკვანძო უნარი, რომლებიც უნდა დაეხმარონ მშობლებს ან სპეციალისტს ბავშვთან კონსტრუქციული და თბილი ურთიერთობების დამყარებაში:[11]

1. პიროვნული და სოციალური ემპათია

ა) პიროვნული ემპათია:
უნარი, დაინახო სამყარო სხვისი გადმოსახედიდან; უნარი, გაიგო, რას გრძნობს სხვა; უნარი, სხვას ვაგრძნობინოთ, თუ რას ნიშნავს ის ჩვენთვის. ემპათია არის ცხოვრების წესი და არა საშემსრულებლო ოსტატობა.

ბ) სოციალური ემპათია:
უნარი, გესმოდეს სხვისი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ პოლიტიკური მდგომარეების და ამ ამ მდგომარეობისადმი მისი დამოკიდებულების.

2. პატივისცემა
უნარი, მოეპყრო სხვას პატივისცემით. ხედავდე სხვას, როგორც ღირსეულს და აფასებდე, მის ღირებულებს.

3. ბუნებრიობა, გულწრფელობა
უნარი, იყო ის, ვინც ხარ. არ გაურბოდე საკუთარ ემოციებს და არ გაშინებდეს მათი გამოხატვა.

4. შემოქმედებითობა
წარმოსახვის უნარი, განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება და იუმორის გრძნობა.

5. გახსნილობა და მოქნილობა
მოსმენის უნარი, უცხო იდეებისათვის ყურის გდება, იმის აღიარება, რომ სხვებს ჩვენზე რაღაც გავლენა აქვთ.
სიტუაციიდან გამომდინარე, ქცევისა და დამოკიდებულებების შეცვლა.

6. სხვების შეცნობის სურვილი
სხვა ადამიანების უკეთ გაცნობისა და მათი მსოფლმხედველობის თუ ცხოვრებისეული გამოცდილებების შესახებ მეტის გაგების სურვილი.

[11] Les habiletés de savoir être Clémence Gauvin et Emilienne Laforge, Module travail social université du Québec en Abitibi Témiscamingue 2004-2005.

7. კულტურის აღქმა

კულტურისა და მისი გავლენის აღქმის უნარი. უნარი, დაინახო კულტურული თავისებურებები, მითები, ცრურწმენები, პრივილეგიები...[12]

8. აქტიური მოსმენა

სხვა ადამიანისათვის განსაკუთრებული ყურადღებით მოსმენა, კონცენტრირების მოხდენა მხოლოდ თანამოსაუბრეზე და არა საკუთარ თავზე. ამ უნარს მოსაუბრე მოწვევად აღიქვამს და უფრო მეტს ამბობს, ვიდრე სხვა შემთხვევაში იტყოდა. აქტიური მოსმენა მზრუნველობის საწყისი ეტაპია. მისი საშუალებით შეიძლება გავიგოთ, რა აწუხებს სხვას, როგორ შეგვიძლია მას დავეხმაროთ და ასე შემდეგ. მაგალითად, რელევანტური კითხვების დასმისას, მოსაუბრის სიტყვების გამოყენება მოსაუბრეს ფიქრის პროცესში ძალიან ეხმარება.

ამ სხვადასხვა ელემენტმა, რომლებიც ცხოვრების წესს შეადგენენ, ბავშვის ნდობა უნდა გამოიწვიონ, საშუალება მისცენ, გამოთქვას, უკეთ ჩამოაყალიბოს ის, რისი თქმაც სურს, მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებების ძიებაში; ზოგადად, მათ ასევე უნდა შეუწყონ ხელი ღირსეული მოპყრობის კულტურის ფორმირებას დაწესებულების შიგნით, თემსა თუ ოჯახში.

[12] Ibid

ბარათი 5: სამართლებრივი ველი

ორგანიზაციის ბავშვთა დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა უნდა მოხდეს ბავშვთა დასაცავად მიღებული შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ნორმების დაცვით.

1. ბავშვის დაცვა, როგორც ფუნდამენტური უფლება

ბავშვი არის პიროვნება. 1989 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციის მიღებით, ბავშვი სამართლის სუბიექტი გახდა. ის განიხილება, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მქონე პიროვნება, დისკრიმინაციისა და რაიმე სხვა განსხვავებების გარეშე. ამგვარად, BICE-სათვის ბავშვის უფლებები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილია. ბავშვისადმი, როგორც სამართლის სუბიექტისადმი მიდგომით, ბავშვის ყველა საჭიროების დაკმაყოფილება - დაცვის, კვების, მკურნალობის, განათლების საჭიროებები, აგრეთვე საჭიროება, იყოს მოსმენილი და აღიარებული, ეძებოს ცხოვრების საზრისი - უფრო ყურადსაღები გახდა. ეს საჭიროებები შეესაბამება მათ აღიარებულ უფლებებს.

ბავშვის სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლება (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 6) პირდაპირ კავშირშია ორგანიზაციების ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის გატარებასთან. დაცვის პოლიტიკის ფარგლებში, ცენტრში უნდა იმყოფებოდეს ბავშვი. პოლიტიკა ბავშვის საჭიროებებს უნდა იყოს მორგებული და არა პირიქით. იმისათვის, რომ ბავშვის უფლებები სრულად იყოს დაცული, ამგვარი პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებელია საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ნორმებზე დაყრდნობა.

1. საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი სივრცე

ა) საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა

საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა, რომელიც შეეხება ბავშვთა მიმართ ძალადობას და ექსპლუატაციას, შეიცავს ბავშვის უფლებათა კონვენციას და მის ფაკულტატურ ოქმებს, აგრეთვე, სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე ან არმქონე სხვა დოკუმენტებს. მუხლები 19, 34, 35, 36 და 39 განსაკუთრებით ყურადსაღებია.

მე-19 მუხლში ნათქვამია, რომ:

1. „მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით.

2. დაცვის ასეთი ღონისძიებები აუცილებლობის შემთხვევაში მოიცავს ეფექტურ პროცედურებს სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის იმ მიზნით, რათა აუცილებელი მხარდაჭერა აღმოუჩინონ ბავშვს და იმ პირებს, ვინც მასზე ზრუნავს, აგრეთვე ხელი შეუწყონ ბავშვთა მიმართ სასტიკი დამოკიდებულების

ზემოთაღნიშნული გამოვლინებების თავიდან აცილების, წინასწარი გამომჟღავნების, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი - სასამართლო პროცედურის აღძვრას.“

34-ე მუხლის თანახმად:
„მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, დაიცვან ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ცდუნების ყველა ფორმისაგან. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, ორმხრივ და მრავალმხრივ ეროვნულ დონეებზე ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ:
ა) ბავშვის დაყოლიება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ ქმედებაზე ან ბავშვის იძულება, მონაწილეობდეს ასეთ ქმედებაში;
ბ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში;
გ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში.“

35-ე მუხლში ნათქვამია, რომ:
„მონაწილე სახელმწიფოები ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეებზე ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ ბავშვთა მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი კონტრაბანდა ნებისმიერი მიზნებით და ნებისმიერი ფორმით.“

მუხლი 36 ავალდებულებს:
„მონაწილე სახელმწიფოები ბავშვს იცავენ ექსპლუატაციის ყველა სხვა ფორმისაგან, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის კეთილდღეობის ნებისმიერ ასპექტს.“

39-ე მუხლში ხაზგასმულია, რომ:
„მონაწილე სახელმწიფოები ყველა ზომას იღებენ, რათა ხელი შეუწყონ იმ ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გაჯანსაღებას და სოციალურ რეინტეგრაციას, რომელიც ნებისმიერი სახის უგულებელყოფის, ექსპლუატაციის ან ბოროტად გამოყენების, წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის, სასჯელის ან შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლია. ასეთი გაჯანსაღება და რეინტეგრაცია უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის ჯანმრთელობის, საკუთარი თავის პატივისცემისა და ღირსების გრძნობის შენარჩუნების უზრუნველმყოფ პირობებში“.

ამას გარდა, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლში არის დებულება, რომელიც, მართალია, უშუალოდ არ არის დაკავშირებული სასტიკი მოპყრობის პრობლემასთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც საუბარია სასტიკი მოპყრობის შესახებ ოჯახში:

1. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი.
2. ბავშვს უფლება აქვს, კანონით იყოს დაცული მსგავსი ჩარევის ან ხელყოფისაგან.

ძალადობის არიდების და ძალადობის ყველა ფორმისგან ბავშვის დაცვის ვალდებულება, პირველ რიგში, სახელმწიფოს ეკისრება. სწორედ ამიტომ, ნებისმიერმა სახელმწიფომ ყველა აუცილებელი ზომა უნდა მიიღოს იმისთვის, რომ სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა, მათ შორის, მშობლებმაც, არ ხელყონ ბავშვის უფლებები და ღირსება, არ მიმართონ ძალადობას.

ბ) ეროვნული სამართლებრივი ბაზა

ეროვნული სამართლებრივი ბაზა, რომელიც შეეხება ბავშვთა მიმართ ძალადობას და ექსპლუატაციას, შესაბამისობაში უნდა იყოს რეგიონალურ ვალდებულებებთან (როგორიცაა, აფრიკის ქარტია ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ და ადამიანის უფლებათა აზიური ქარტია) და აგრეთვე სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებთან. საერთაშორისო ვალდებულებები - ეს არის ვალდებულებები, რომლებიც სახელწიფომ აიღო საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირებისას, როგორიცაა ბავშვის უფლებათა კონვენცია და მისი ფაკულტატური ოქმები.

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისოსთან შესაძლებელია ბავშვის კოდექსის მიღებით (მაგალითად, პერუს ბავშვის და მოზარდის კოდექსი), ორგანული კანონის მიღებით (მაგალითად, მოლდოვაში კანონი ბავშვის უფლებათა შესახებ №338-XIII), ასევე - დეკრეტის, ცირკულარის მეშვეობით და სხვა.

ნებისმიერ შემთხვევაში, იურიდიული ფორმა მნიშვნელოვანია, თუმცა გადამწყვეტი ნამდვილად არაა. მთავარი - ეს შინაარსია. კერძოდ, ეროვნული საკანონმდებლო ბაზა უნდა შეიცავდეს: სასტიკი მოპყრობის ზოგად განმარტებას, სპეციალიზებულ ინსტიტუტებს, როგორიცაა ბავშვთა და მოზარდთა სასამართლო, სასამართლო სისტემის დამხმარე სოციალური სამსახურები, მსხვერპლის დაცვის, დახმარების და ზარალის ანაზღაურების სისტემა.

მნიშვნელოვანია ეროვნული კანონების ცოდნა, რომლებიც არეგულირებენ სასტიკი მოპყრობის პრობლემას ქვეყანაში.

2. ორგანიზაციის შიდა პოლიტიკა, მიმართული ბავშვის დაცვაზე და დაფუძნებული სამართლებრივ მიდგომაზე

BICE-ს მუშაობა ეფუძნება ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპებს: ბავშვის ინტერესები (მუხლი 3); არადისკრიმინაციულობა (მუხლი 2); ბავშვის სიცოცხლის, გადარჩენის და განვითარების უფლება (მუხლი 6); გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 12 და 13); აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მუხლი 14) და ასოციაციის თავისუფლება (მუხლი 15). მატერიალური საჭიროებების დაკმაყოფილების გარდა, ჩვენს მიზანს წარმოადგენს ბავშვის განვითარება ყველა დონეზე, მათ შორის სულიერ დონეზეც. სახელმწიფოებს, რომლებსაც მიღებული აქვთ ბავშვის უფლებათა კონვენცია, შეგვიძლია მკაცრად მოვუწოდოთ ბავშვის უსაფრთხო გარემოს შექმისაკენ, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სამართლებრივი, საგანმანათლებლო და სოციალური ნაბიჯების გადადგმისაკენ.

ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებელია, უწინარესად, სამი რამ იყოს გათვალისწინებული: დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფა და ბავშვების მონაწილეობა.

დისკრიმინაციის დაუშვებლობა (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 2)

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვეციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყოველგვარ აუცილებელ ზომას ღებულობენ დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და მათ გამჟღავნებულ მრწამსს.

ზოგიერთი ბავშვი, მაგალითად, უნარშეზღუდული ბავშვები, განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან. ამგვარი დისკრიმინაცია დამღუპველია ბავშვებითვის, რომლებიც არ იღებენ ძირითად მომსახურებებს, რითაც მათი დაცვა და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა იქნება შესაძლებელი.

ორგანიზაციები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ იმ ბავშვების კეთილდღეობას, რომლებიც უმცირესობას მიეკუთვნებიან, სათანადო ყურადღება ექცევა. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ:

- ბავშვთა დაცვის მიზნით შემუშავებული პოლიტიკა და პროცედურები უნდა ასახავდეს თანასწორობისა და მრავალფეროვნებისაკენ სწრაფვას;
- ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციებს უნდა შეეძლოთ თითოეული ბავშვის საჭიროებების ინდივიდუალური შეფასება, მათი კულტურული მრავალფეროვნების პირობებში;
- საინფორმაციო მასალა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისათვის;
- აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბავშვთან დიალოგი და მისი აზრის გათვალისწინება.[13]

ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფა (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 3)

ბავშვის უფლებათა კომიტეტი, 2013 წლის 29 მაისის ზოგად კომენტარში № 14 აზუსტებს ბავშვის საუკეთესო იტერესების უზრუნველყოფის კონცეფციას. ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლ 3-ში ვკითხულობთ: „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა

[13] Keeping Children Safe Coalition, Standards for Child Protection, 2006, p.76.

განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას."

ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფის კონცეფცია მიმართულია კონვენციით აღიარებული ყველა უფლების ეფექტური რეალიზაცის უზრუნველყოფაზე, აგრეთვე - ბავშვის გლობალურ განვითარებაზე, რაც მოიცავს ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, ზნეობრივ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ განვითარებას. აღნიშნული კონცეფცია გათვალისწინებული უნდა იყოს იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებსაც გავლენა ექნებათ ბავშვის ცხოვრებაზე. ეს შეიძლება იყოს როგორც სახელისუფლებო ან სასამართლო ორგანოების მიერ კონკრეტული ბავშვის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე - გადაწყვეტილებები, რომლებიც კანონების, პოლიტიკური ზომების, სტრატეგიების, პროგრამების, სამოქმედო გეგმების, ბიუჯეტების შემუშავებისას მიიღება.[14]

ბავშვთა დაცვის პოლიტიკა, რომელიც სხვადასხვა პრინციპებს და პროცედურებს მოიცავს, პირველ რიგში, უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ამ პროცედურების შემუშავებისას, ისევე როგორც ეთიკის კოდექსის ან სასტიკი მოპყრობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების შიდა პროცედურების შემუშავებისას, ყურადღების ცენტრში უნდა იმყოფებოდეს ბავშვი.

ბავშვების მონაწილეობა (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 12)

ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი 12-ის თანახმად:
1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.
2. ამ მიზნით ბავშვს, კერძოდ, ეძლევა შესაძლებლობა, მოუსმინონ მას სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ბავშვს ეხება, როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით გათვალისწინებული წესით.

მეთორმეტე მუხლის გათვალისწინება გულისხმობს მოზრდილებისა და ბავშვების ურთიერთობების გადახედვას, ბავშვის აქტიურ მოსმენას, მისი შეხედულებების და გამოცდილების დაფასებას. იმის აღიარება, რომ ბავშვს უფლებები აქვს, არ ნიშნავს უფროსების უპასუხისმგებლობას მის მიმართ. პირიქით, ბავშვები მარტონი არ უნდა იყვნენ საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლის საქმეში. უფროსებმა უნდა ისწავლონ ბავშვებთან ერთად საჭირბოროტო საკითხებზე მუშაობა.[15]

---

[14] General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1), Convention on the Rights of the Child, May 2013, http://www.humanrights.ch/fr/Instruments/International/Divers-organes-de-lONU/idart_10080-content.html.
[15] LANDSDOWN, G., Promouvoir la participation des enfants au processus décisionnel démocratique, UNICEF, juillet 2001, p.7.

ბარათი 5

ბავშვების ჩართვა, მათი მონაწილეობა ბავშვის დაცვის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს, გავითვალისწინოთ მათი შეხედულებები, ხოლო ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ გაიგონ ის პოლიტიკა და შესაბამისი პროცედურები, რომლებიც მათ დასაცავად მუშავდება და ინერგება.[16]

[16] იხილეთ ბარათი 12

ბარათი 6: რა არის აუცილებელი დაცვის ეფექტური პოლიტიკისთვის?

ორგანიზაციის ბავშვის დაცვის ეფექტური შიდა პოლიტიკა უნდა მოიცავდეს პრევენციულ ზომებს, რომელთა მიზანია ძალადობის ნებისმიერი ფორმის არიდება, აგრეთვე, დადასტურებული ან სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში, დაცვითი ღონისძიებების გატარება.

ამგვარად, ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა უნდა შეიცავდეს დეტალურად განმარტებული პრევენციული და დაცვითი პროცედურების სიას.

ეს პროცედურები შესაბამისობაში უნდა იყოს ძირითად პრინციპებთან, რომლებმაც უნდა არეგულირონ ბავშვების დაცვასთან დაკავშირებული ყველა ქმედება და გადაწყვეტილება.

დაცვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ბავშვის საუკეთესო ინტერესები
ბავშვის საუკეთესო ინტერესები ორგანიზაციის დაცვის პოლიტიკის ძირითადი და ყოვლისმომცველი პრინციპია. ეს პრინციპი განსაკუთრებით ყურადსაღები ხდება სავარაუდო თუ დადასტურებული სასტიკი მოპყრობის დროს. მართლაც, შეტყობინების შიდა პროცედურები უნდა ასახავდეს მიდგომას, რომ ბავშვი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბიუროკრატია და ორგანიზაციის რეპუტაცია.

კონფიდენციალურობა
აუცილებელია, რომ ნებისმიერი ორგანიზაციის მუშაობის პროცესში, ბავშვებს და მოზრდილებს ჰქონდეთ იმის გარანტია, რომ მათ მიერ გაზიარებული პირადი ინფორმაცია მაქსიმალურად იქნება დაცული. ეს იმას ნიშნავს, რომ წვდომა პირად ინფორმაციაზე არ ექნება ორგანიზაციის ყველა სპეციალისტს, არამედ მხოლოდ იმ პროფესიონალებს, რომლებსაც პრობლემის მოგვარება ეხებათ. მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესი კონფიდენციალურობის დაცვისა და გამონაკლისების შესახებ, რომელიც ამ წესების დარღვევას დასაშვებს ხდის მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით.

სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში, ბავშვმა, შესაძლოა, ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა ისურვოს. თუმცა, ამგვარი შეთხვევების შეტყობინება მაინც უნდა მოხდეს. ოღონდ ბავშვს უნდა ავუხსნათ, რომ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია, ამის შესახებ სხვა ადამიანებმაც იცოდნენ. როდესაც ბავშვი სასტიკი მოპყრობის შესახებ გვიყვება, მას არ უნდა დავპირდეთ, რომ ამის შესახებ ვერავინ გაიგებს.

კონსულტირება
აუცილებელია, რომ ტარდებოდეს რეგულარული კონსულტაციები პროცესის ყველა მონაწილესთან (სპეციალისტებისთვის, ბავშვებისთვის, მათი ოჯახის წევრებისთვის და ასე შემდეგ), როგორც ბავშვის დაცვის პოლიტიკის შემუშავებისას, აგრეთვე საპასუხო ზომების მიღებისას დადასტურებული, საეჭვო ან სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში.

ამგვარი კონსულტირებების გარეშე, არსებობს რეალური საფრთხე, რომ შეტყობინების გათვალისწინებული წესი არასათანადოდ იქნება შესრულებული, ან მიღებული

გადაწყვეტილებები არ იქნება არსებული სიტუაციის შესაბამისი.

პრევენციული ღონისძიებები

პრევენცია დაცვის საუკეთესო საშუალებაა, როგორც ბავშვისათვის, აგრეთვე ორგანიზაციისთვის და თანამშრომლებისათვის.

დაცვის პოლიტიკაში პრევენციული კომპონენტების ჩართვა მინიმუმამდე უნდა ამცირებდეს ბავშვისადმი სასტიკი მოპყრობის რისკს.

ქვემოთ ჩამოთვლილია ეფექტური პრევენციისათვის აუცილებელი ზოგიერთი კომპონენტი:

1. სანდო ადამიანური რესურსი და საკადრო პოლიტიკა;
2. ნათლად გაწერილი რეგულაციები (ეთიკის კოდექსი, ქარტია, წესები);
3. პრევენციული ღონისძიებები, ძალადობის საკითხებზე ბავშვების ინფორმირებისა და გაძლიერების მიზნით;
4. პერსონალის სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება;
5. ორგანიზაციის ბავშვის დაცვის გამჭვირვალე შიდა პოლიტიკა.

1. სანდო ადამიანური რესურსი და საკადრო პოლიტიკა

უნდა არსებობდეს თანამშრომლების, მოხალისეების, კონსულტანტებისა და სტაჟიორების სამუშაოზე აყვანის შესაბამისი მეთოდები, აგრეთვე - მათი ბავშვებთან მუშაობის მიზანშეწონილობის შესაფასებელი მეთოდები. ამისათვის რეკომენდირებულია:

- კანდიდატებისთვის რეკომენდაციების მოთხოვნა;
- ნასამართლეობის ცნობის მოთხოვნა;
- კანდიდატის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლა, საბუთების ვალიდურობაში დარწმუნება;
- მისი კვალიფიკაციის შეფასება.

2. ნათლად გაწერილი რეგულაციები (ეთიკის კოდექსი, ქარტია, წესები), განკუთვნილი მოზრდილებისა და ბავშვებისთვის

- ბავშვებთან ადეკვატური ურთიერთობის ამსახველი ეთიკის კოდექსის შემუშავება;
- მისაღები და მიუღებელი ქცევის ნორმების განსაზღვრა;
- სპეციფიკური დირექტივების შემუშავება, ორგანიზაციის აქტივობებიდან გამომდინარე;
- სახელმძღვანელო პრინციპების დაზუსტება, განსაკუთრებით, ბავშვთან ფიზიკურ კონტაქტთან მიმართებაში;
- ზოგიერთი ძირითადი პრინციპის განსაზღვრა და მათი მუდმივად გათვალისწინება: კონფიდენციალურობა, ღირსების პატივისცემა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, აგრეთვე - უდანაშაულობის პრეზუმფცია;
- ორგანიზაციასთან და მის საქმიანობასთან გარეშე პირთა წვდომის განსაზღვრა (ბავშვის მშობლების, მეგობრებისა და ნათესავების ჩათვლით) და მისი შეზღუდვა;

ორგანიზაციასთან წვდომა კონტროლირებადი უნდა იყოს (რეგისტრაცია, პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა, შემომსვლელთა და გამსვლელთა სისტემატიური მონიტორინგი);
- თანატოლებთან ბავშვების ურთიერთობის ნორმების შემუშავება და ბავშვისთვის მათი სწავლება.

3. პრევენციული ღონისძიებები, ძალადობის საკითხებზე ბავშვების ინფორმირებისა და გაძლიერების მიზნით

- ბავშვებთან პრევენციული ხასიათის ინტერაქტიური შეხვედრების ჩატარება, რათა მათ იცოდნენ ძალადობის არსებული რისკებისა და მათთან გამკლავების საშუალებების შესახებ.

4. პერსონალის სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება

თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ:

- ბავშვის დაცვის პოლიტიკის შესახებ;
- პოზიტიური აღზრდის შესახებ: ბავშვებთან უშუალო შეხების მქონე თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ ბავშვების ქცევაზე ზედამხედველობის პოზიტიური მეთოდიკები, ფიზიკური დასჯისა თუ სხვა დამამცირებელი მოპყრობის გარეშე;
- ყველაფრის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომელთა პროფესიონალიზმის ამაღლებას და ღირსეულ მოპყრობაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას.

5. ორგანიზაციის ბავშვის დაცვის გამჭვირვალე შიდა პოლიტიკა

- ორგანიზაციამ უნდა შეიმუშავოს მექანიზმი, რომელზე დაყდნობითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება, თუ როგორ უზრუნველყონ ბავშვების უსაფრთხოება და ბავშვის აზრის გათვალისწინება;
- ამას გარდა, ბავშვები და მათი ოჯახის წევრებიც ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ბავშვის უფლების შესახებ - იყოს დაცული სასტიკი მოპყრობისგან.

6. ბავშვთა დაცვის პოლიტიკის გავრცელება და გაზიარება

იმ შემთხვევებში, როცა ორგანიზაცია ბავშვებთან უშუალოდ ან პარტნიორების მეშვეობით მუშაობს, ამ პარტნიორებმაც უნდა აიღონ ვალდებულება, რომ უცილობლად გაიზიარებენ და დაიცავენ ბავშვთა დაცვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს (იხილეთ ბარათი N13).

დაცვითი ღონისძიებები

ბავშვის დაცვის სისტემა უნდა მოიცავდეს ძალადობისგან ბავშვის დაცვის პოლიტიკას და პროცედურებს, იქნება ეს ბავშვზე ძალადობის სავარაუდო, საეჭვო თუ დადასტურებული შემთხვევა.[17] უნდა არსებობდეს პროცედურის აღსრულების ზუსტი

[17] JACKSON, E., WERNHAM, M., Politique et procédures de protection de l'enfance : guide pratique, 2005, p.65.

ინსტრუქცია, ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი, რათა ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებმაც და ბავშვებმაც ზუსტად იცოდნენ,როგორი უნდა იყოს მათი რეაქცია და როგორ უნდა მოიქცნენ. ეს პროცედურები უნდა იყოს გამჭვირვალე და ყველასათვის ცნობილი და უზრუნველყოფდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ზომებს, რომლებიც დადასტურებული, სავარაუდო ან საეჭვო ძალადობის შემთხვევაში გამოიყენება; და შესაბამისად, ეს ზომები პოლიტიკის დოკუმენტში უნდა ფიგურირებდნენ:

1. ორგანიზაციის შიგნით დაცვის პოლიტიკის განხორციელების უზრუნველმყოფი სამეთვალყურეო და აღმასრულებელი ინსტანციების შექმნა;
2. შეტყობინების შიდა პროცედურის შემუშავება ორგანიზაციის შიგნით სასტიკი მოპყრობის შემთხვევებისთვის;
3. სასტიკი მოპყრობის შედეგად დაზარალებული ბავშვების დაცვის მექანიზმის შექმნა;
4. სასტიკი მოპყრობის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ, სანქციების მიღება იმ პირის/ბავშვის მიმართ, ვინც ამ ქმედების ჩადენაშია ეჭვმიტანილი;
5. ადმინისტრაციული და სასამართლო ინსტანციებისთვის შეტყობინება;
6. მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე მონიტორინგი ორგანიზაციის დონეზე.

1. ორგანიზაციის შიგნით დაცვის პოლიტიკის განხორციელების უზრუნველმყოფი სამეთვალყურეო და აღმასრულებელი ინსტანციების შექმნა

აუცილებელია ორგანიზაციის შიგნით სპეციალური ინსტანციის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბავშვთა დაცვის პოლიტიკის გატარებაზე. ეს შეიძლება იყოს კომისია, მუშა ჯგუფი ან მულტიდისციპლინარული გუნდი, რომლის მისია იქნება ბავშვის დაცვის პოლიტიკის განხორციელება და განვითარება. ის უნდა იკრიბებოდეს გადაწყვეტილების მისაღებად აშკარა ან სავარაუდო სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მულტიდისციპლინარული კომისიის ამოცანაა სასტიკი მოპყრობის შესახებ ჩივილების და ეჭვების განხილვა, ის არანაირად არ ანაცვლებს კომპეტენტურ სასამართლო ორგანოებს.

2. შეტყობინების პროცედურა სასტიკი მოპყრობის შემთხვევების შესახებ ორგანიზაციის შიგნით

შეტყობინების პროცედურა სასტიკი მოპყრობის შემთხვევების შესახებ ორგანიზაციის შიგნით - ეს არის ბავშვთა მიმართ აშკარა, საეჭვო ან სავარაუდო ძალადობაზე რეაგირების გასაგები და დეტალური ინსტრუქცია. ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა სპეციალისტისა და აგრეთვე ბავშვებისათვის; ამასთანავე, ის უნდა იცავდეს შემტყობინებლის ინტერესებს, - ყოველი ადამიანისა, ვინც ამგვარ შემთხვევებს ამხელს, მიუხედავად იმისა, თუ რას დაადგენს გამოძიება.

შეტყობინების პროცედურა უნდა შეიცავდეს:

- შეტყობინების ოფიციალურ ფორმას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის.

ის უნდა იდოს მისაწვდომ ადგილზე, შესრულებული უნდა იყოს ადგილობრივ ენაზე (ენებზე), მის შესახებ ყველგან უნდა იყოს ცნობილი, სადაც ორგანიზაცია თავის საქმიანობას ანხორციელებს. რეკომენდირებულია, კონკრეტული ქვეყნის ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებში გამოყენებული ფორმის ანალოგის გამოყენება.

- კონკრეტულ ინფორმაციას ბავშვთა დაცვის სფეროში არსებული კომპეტენტური ორგანიზაციების, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, პოლიციის და სხვათა შესახებ;
- შეხსენებას ისეთი პრიციპების დაცვის აუცილებლობის შესახებ, როგორიცაა ბავ-შვის საუკეთესო ინტერესები, კონფიდენციალურობა და ბავშვების აზრის გათვალისწინება.

შეტყობინების პროცედურა ყველა თანამშრომელს ავალდებულებს, რეაგირება მოახდინონ ინციდენტთან დაკავშირებით და იცოდნენ, როგორ უნდა გაკეთდეს ეს. ადამიანებმა, რომლებიც პასუხისიმგებელნი არიან ორგანიზაციის შიგნით ბავშვთა დაცვის პოლიტიკის განხორციელებაზე, ასევე უნდა იზრუნონ პროცედურის დაცვაზე და შეტყობინების სისტემის ეფექტურობაზე.

მოცემული პროცედურა საშუალებას იძლევა, მოხდეს სისტემის პასუხისმგებელ პირთა და მათი ფუნქციების, მოვალეობებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება. ძალზე მნიშვნელოვანია ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომლებიც ბავშვების დაცვაზე არიან პასუხისმგებელნი - საჯარო დაწესებულებები, სამედიცინო ცენტრები და ასე შემდეგ. ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, შესაძლოა, საჭირო იყოს ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობისა და ძალადობის ცნების განმარტება.[18]

3. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დაცვის ღონისძიებები და/ან სანქციები სავარაუდო მოძალადე პირის მიმართ

სასტიკი მოპყრობის შესახებ შეტყობინების შიდა პროცედურის შემუშავების შემდეგ, ბავშვზე აშკარა, საეჭვო ან სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში, ორგანიზაციამ ამ პროცედურის შესაბამისად უნდა იმოქმედოს. მიღებული გადაწყვეტილებები, უწინარესად, სასტიკი მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლ ბავშვს უნდა იცავდეს, მაგრამ, ამავე დროს, არ არღვევდეს სავარაუდო მოძალადის უდანაშაულობის პრეზუმფციას. პრევენციული მიზნით, მოკვლევა/გამოძიების დასრულებამდე, უნდა მოხდეს ბრალდებულის განრიდება სამუშაო გარემოდან. ძალიან მნიშვნელოვანია, პასუხისგებაში მიეცეს ნებისმიერი პირი, რომელიც არღვევს ბავშვის დაცვის წესებს. თუკი საუბარია წვრილმანი დარღვევის შესახებ, შესაძლოა, ამ პირს საშუალება მიეცეს, გაიაროს გადამზადება, ტრენინგები; სერიოზული დარღვევის შემთხვევაში კი მისი საქმე შეიძლება გადაეცეს ადმინისტრაციულ ან სასამართლო ინსტანციებს. სანქციები, რომლებიც შეიძლება გატარდეს, გაწერილი უნდა იყოს ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის დოკუმენტში. მაგალითად, შესაძლებელია, განხილული იყოს სამსახურიდან გათავისუფლება, თუ სასტიკ მოპყრობას ადგილი ჰქონდა ორგანიზაციის სპეციალისტის მხრიდან, ანდა დაფინანსების ან თანამშრომლობის შეწყვეტა, თუ

[18] იხილეთ ბარათი N3 სასტიკი მოპყრობის განმარტება

საუბარია პარტნიორ ორგანიზაციაზე; კონსულტანტთან კონტრაქტის გაუქმება. ეს სანქციები ჩადენილი დანაშაულის პროპორციული უნდა იყოს. ავიღოთ სპეციალისტის შემთხვევა, რომელიც ამცირებს ბავშვს (თუ ეს არ არის წინასწარ განზრახული აქტი და თუ ეს ხდება პირველად). ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, არ იყოს მისი სამსახურიდან გათავისუფლების აუცილებლობა. უპრიანი იქნება ზეპირი მითითება და განსაზღვრული ვადით მის მუშაობაზე დაკვირვება, ბავშვის დაცვის პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ.

ბავშვის მიერ სხვა ბავშვზე სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში, უნდა მოხდეს საგანმანათლებლო და დაცვითი ღონისძიებების გატარება. აგრეთვე, უნდა გადაიდგას ნაბიჯები მსგავსი ქმედების განმეორების აღმოფხვრისათვის.[19]

ბავშვი, რომელიც, შესაძლოა, სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი გახდა, პირველ რიგში, დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სხვა შემდგომი ზიანისაგან. ნებისმიერი მიღებული გადაწყვეტილების მიზანი უნდა იყოს ამ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა. მისი ოჯახისა და უახლოესი გარემოცვის მხარდაჭერა ძირითად როლს ასრულებს მულტიდისციპლინარული მუშაობის დროს. ბავშვის ოჯახი და ახლობლები დაუყოვნებლივ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი შექმნილი სიტუაციის შესახებ, რადგან მათი მხარდაჭერა ბავშვისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

ტრავმატული ეფექტების შესამცირებლად, ძალიან მნიშვნელოვანია იმაში დარწმუნებაც, რომ ორგანიზაციაში ყველა სპეციალისტს და ბავშვს შესაძლებლობა აქვს, გამოთქვას თავისი მოსაზრება ამ სიტუაციასთან დაკავშირებით. საჭიროა ყველას მოსმენა და კითხვებსა თუ ეჭვებზე კონკრეტული პასუხების მიღება, რასაკვირველია, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. შესაძლოა, აუცილებელი გახდეს ძალადობის სიტუაციის საპასუხოდ მიღებული ზომების ახსნა და გამართლება.

4. შეტყობინება ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ინსტანციებისთვის

სასტიკი მოპყრობის შესახებ შეტყობინების შიდა პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს საქმის გადაცემას ადმინისტრაციული ან სამართალდამცავი ინსტანციებისთვის. ძალადობის აქტის თუ თავისი ეჭვების შესახებ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისთვის შეტყობინება თითოეული მოქალაქის მოვალეობაა.[20] სასურველია, რომ ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა ეყრდნობოდეს ადგილობრივ კანონმდებლობას, ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ინსტანციებისთვის შეტყობინების ვალდებულების შესახებ.

5. მონიტორინგი მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე

ბავშვის დაცვის პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს მკაცრი კონტროლის განხორციელებას საქმის განხილვის მსვლელობაზე სიტუაციის სრულ გარკვევამდე, ასევე იმაზე, რომ ბავშვი შესაბამის სერვისებს ღებულობს.

---

[19] ბარათი 8
[20] ბარათი 9

6. ორგანიზაციაში შეტყობინების შიდა პროცედურის სქემა[21]

ვინ გააკეთა შეტყობინება?

მშობელი | ბავშვი | სპეციალისტი

რისი შეტყობინება მოხდა?

- ორგანიზაციის ეთიკის კოდექსის დარღვევა
- ბავშვის მიმართ დადასტურებული, საეჭვო ან სავარაუდო სასტიკი მოპყრობის და/ან სექსუალური ძალადობა

რა გზით მოხდა შეტყობინება?

სიტყვიერად, წერილობით, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით, შეხვედრის დროს

ბავშვის დაცვის კომისიას, ბავშვის დაცვის პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელს; დირექციას

ვის გადაეცა ინფორმაცია?

ბავშვის დაცვის კომისია, ბავშვის დაცვის პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი და დირექცია უზრუნველყოფს, რომ მოხდეს:

- ბავშვის, მშობლების ან სპეციალისტის დახმარება, რომელმაც გააკეთა შეტყობინება მოცემული სიტუაციის შესახებ, აგრეთვე ძალადობის აქტის განხორციელებაში ეჭვმიტანილის თანხლება;
- შიდა პროცედურების გატარება ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის დაცვის მიზნით; მოკვლევების ჩატარება სიტუაციაში გასარკვევად (გამოკითხვები, შეხვედრები); აუცილებლობის შემთხვევაში, სავარაუდო მოძალადის წინააღმდეგ დისციპლინარული ღონისძიებების გატარება;
- ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის თანხლება მის ოჯახთან და ახლობლებთან ერთად;
- ეროვნული და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, აგრეთვე ბავშვის უფლებებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღება ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ინსტანციებისათვის შეტყობინების შესახებ;
- დისციპლინარული ზომების მიღება იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებმაც სასტიკი მოპყრობა დაუშვეს;
- ადმინისტრაციული ან სამართლებრივი პროცესების დროს ბავშვთან ერთად ყოფნა და მისი მხარდაჭერა.

რა გადაწყვეტილებები მიიღება?

მიღებული გადაწყვეტილებების მონიტორინგი

- არსებული პოლიტიკისა და პროცედურების მონიტორინგი და შეფასება. დაცვითი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება;
- დაინტერესებული პირებისა და ძალადობა განცდილი ბავშვისა და მისი ოჯახის წევრების შეხედულებების გათვალისწინება;
- შეფასების მიხედვით, დაცვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა.

[21] FHI 360 The science of improving lives, Becoming a safe organization for children, 2012, gv.46.

7. სასტიკი მოპყრობის შესახებ განაცხადის ნიმუში, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის შიგნით

რეკომენდირებულია, რომ დოკუმენტს, რომელშიც გადმოცემულია ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა, დანართის სახით ერთვოდეს განცხადების ნიმუში, რომლის შევსება და შიდა ინსტანციაში გაგზავნა შეუძლია ამ პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ნებისმიერ პირს.

განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1. განცხადების თარიღი;
2. მომართვის მიზეზი (ეჭვი სასტიკ მოპყრობაზე, სექსუალურ ძალადობაზე და ასე შემდეგ);
3. მომხდარის დრო და ადგილი;
4. ბავშვის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
5. დახმარების ან დაცვის უკვე მიღებული ზომები;
6. მომხდარის ზუსტი აღწერა ან ბავშვის მონათხრობის სიტყვასიტყვით აღდგენა, ტრანსკრიპტი. თუ ბავშვი დაიკითხა/გამოიკითხა, მითეთებული უნდა იყოს დასმული კითხვებიც და პასუხებიც. მართლაც, პასუხს აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც ცნობილია დასმული შეკითხვა.
7. თუკი ცნობილია, ინფორმაცია მოძალადის შესახებ.

ბარათი 7: სიტუაციის შეფასება: საქმე სასტიკ მოპყრობასთან გვაქვს?

ეს ნაწილი შეეხება სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას. ის ეფუძნება უკვე განხილულ ბარათს, რომელშიც მოცემულია განმარტებები სასტიკი მოპყრობის და მისი სხვადასხვა ფორმის შესახებ.

ნიშნების გამოვლენა, რომელთა დახმარებით ბავშვი გვაგებინებს, რომ მას სასტიკად ეპყრობიან

როდესაც ბავშვი სასტიკ მოპყრობას განიცდის, ის იშვიათად თუ იტყვის პირდაპირ ამის შესახებ. ხილული, თვალით შესამჩნევი ფიზიკური ნიშნების გარდა (სისხლჩაქცევები, ჭრილობები, დამწვრობები, მოტეხილობები და ასე შემდეგ), არსებობს ქცევითი ნიშნებიც, რომლებიც, შესაძლოა, ძალადობაზე მიგვითითებდნენ.

ზოგადი სიმპტომები: ძილის დარღვევები, ჰიპერაქტიურობა, მუდმივად შფოთვის რეჟიმში ყოფნა; ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური დაღლილობა; ობსესიური მდგომარეობები; სელექციური მეხსიერება; ცხოვრების ზოგიერთი მომენტის იდეალიზება; ფსიქოსომატური გამოვლინებები და პიროვნული აშლილობები, და სხვა.

სიმპტომები ბავშვებში: მუცლის ტკივილი; რეგრესი განვითარებაში; კვებითი დარღვევები; ძილის დარღვევები; სკოლაში აკადემიური ჩამორჩენა; ემოციური დარღვევები (დეპრესია, გაღიზიანება); სხვადასხვა ფობიები (წყლის, დახურული სივრცის, კვებითი ფობიები); ჰიპერეროტიზირებული ქცევა; ძალადობა (მათ შორის, სექსუალურიც) სხვა ბავშვებზე; ენურეზი და სხვა.

სიმპტომები მოზარდებში: თვითდესტრუქციული ქცევა, თვითშეფასების დაქვეითებასთან ერთად; თვითმკვლელობის მცდელობები; ნარკოტიკების ჭარბი მოხმარება; ალკოჰოლიზმი; პროსტიტუცია; თვითდაზიანებები; მსხვერპლად ჩამოყალიბების საფრთხე და ასე შემდეგ.

1. სასტიკი მოპყრობის თუ სექსუალური ძალადობის ზოგიერთ მსხვერპლს ეს სიმპტომები, შესაძლოა, საერთოდ არ აღენიშნებოდეს;

2. არ არსებობს სპეციფიკური ქცევითი ნიშნები, რომელიც ამა თუ იმ გადატანილი ტრავმისთვის იქნება დამახასიათებელი. სავსებით შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე სიმპტომები დამახასიათებელი იყოს როგორც კონფლიქტური განქორწინებისას, ისე - სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევაში.

ამ სიმპტომების ინტერპრეტირება განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოხდეს.

რატომ სდუმს ხოლმე მსხვერპლი?

მსხვერპლის დუმილი რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას. დუმილი არ ნიშნავს, რომ ის არ იტანჯება. სწორედ იმიტომ, რომ ბავშვი ხშირად სიჩუმეს არჩევს, მოზრდილი ადამიანი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს ზემოთ ჩამთვლილ სიმპტომებს. რამდენიმე მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიძლება ბავშვმა არაფერი თქვას ძალადობის შესახებ;

- ჩადენილი ქმედების სიმძიმის, სერიოზულობის არცოდნა და არასათანადოდ აღქმა;
- მოზრდილთა მოთხოვნა, მომხდარი საიდუმლოდ დარჩეს;
- ოჯახის წევრის, ნათესავის დაცვის სურვილი.

ძალადობის გამხელა

ბავშვმა ძალადობა შეიძლება ნებისმიერ ადამიანს გაუმხილოს: მასწავლებელს, სოციალურ მუშაკს, მეგობარს... ეს ნიშნავს, რომ ბავშვი მას ენდობა. ბავშვისათვის რთულია იმის მოყოლა, თუ რა გადახდა მას თავს. ამიტომაც ამ მომენტში თანამოსაუბრემ არასდროს უნდა აარიდოს თავი, არ უნდა გადაიტანოს ეს საუბარი სხვა დროისათვის. ბავშვისთვის ეს ძალზე მტკივნეული მომენტია. მოსმენისას მნიშვნელოვანია თავის ხელში აყვანა, არ შეიძლება ბავშვისთვის იმის ჩვენება, რამდენად შეძრწუნებულები ვართ მისი მონათხრობით, მაგრამ, ამავე დროს, ზედმეტად დისტანცირებაც არ უნდა მოვახდინოთ მისგან და გულგრილი არ გამოვჩნდეთ.

როგორ მოვუსმინოთ?

- გავამხნევოთ ბავშვი საუბრისათვის, არ გავაწყვეტინოთ;
- არ დავეჭვდეთ მის სიტყვებში. ბავშვს უნდა ჰქონდეს შეგრძნება, რომ მისი ესმით და სჯერათ;
- გამოვიყენოთ ბავშვისათვის გასაგები სიტყვები, ფრაზები. გავითვალისწინოთ მისი განვითარების დონე და არ ავაჩქაროთ;
- საუბრისას დავიცვათ პაუზები; არ დავუსვათ პირდაპირი კითხვები; არ ვილაპარაკოთ ბავშვის მაგივრად; არ ჩავუტაროთ „დაკითხვა“; არაფერი ვუკარნახოთ; ამ შემთხვევაში მთავარი მოსმენაა.
- გავითვალისწინოთ ბავშვის ნათქვამი სიტყვები, მაშინაც კი, როცა ეს სიტყვები არადამაჯერებლად ჟღერს;
- დავარწმუნოთ ბავშვი, რომ ამ საიდუმლოს შესახებ ვერავინ გაიგებს, გარდა სხვა სანდო ადამიანებისა, ვისაც მისი დახმარება შეუძლია;
- მნიშვნელოვანია ბავშვის მიერ ნათქვამი ფრაზების გულდასმით ჩაწერა, მის მიერ ნათქვამი სიტყვების რაც შეიძლება ზუსტად გამოყენება;
- დოკუმენტში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული საუბრის თარიღი, დრო და ადგილი;
- დოკუმენტს ხელი უნდა მოეწეროს, აუცილებელია მისი შენახვა უსაფრთხო ადგილას;
- არ მისცეთ ბავშვს იმის იმედი, რომ ყველაფერი უმალ მოგვარდება. მან უნდა იცოდეს, რა მოხდება შემდეგ.[22]
- მნიშვნელოვანია მიღებული ინფორმაციის კომპეტენტური ორგანოებისთვის გადაცემა, არ შეეცადოთ კერძო გამოძიების ჩატარებას.

[22] BRUN, J. & MAURICE, O., es Cawerili iyo seminarze:seqsualuri Zaladoba:fsiqologiri midgoma da multidiciplinaruli TanamSromloba, BICE, Centre Otradnoie, moskovi, 2013.

ბარათი 7

სიმართლე და ტყუილი

ფსიქოლოგების აზრით, ექვს წლამდე ბავშვისთვის ძნელია ერთმანეთისგან განასხვავოს ტყუილი, თამაში და ფანტაზია. ტყუილი შეგნებულ ქმედებად მხოლოდ 8 წლის ასაკის შემდეგ ხდება.[23] მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ გამხელის მომენტში ბავშვს უჭირს მომხდარის ზუსტად გადმოცემა. როგორც წესი, მას კარგად ახსოვს სასტიკი მოპყრობის ემოციური მხარე.

ყოველივე ზემოთქმულს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ადეკვატური გადაწყვეტილების მისაღებად ბავშვის დაცვის პოლიტიკის განხორციელებისას.

აწონ-დაწონილი და შეთანხმებული შეფასების გაკეთება საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ ბავშვის დაცვის პოლიტიკის საჭირო პროცედურები და გავააქტიუროთ შეტყობინების მექანიზმები, რომელთა შესახებ დაწვრილებით იქნება საუბარი მომდევნო ბარათებში.

[23] PIAGET, J., Psychologie et pédagogie (1935, 1965), Paris, Denoël, Bibliothèque Médiations, 1969.

ბარათი 8: არასრულწლოვანი აგრესორები: როცა ბავშვი თვითონ ავლენს სისასტიკეს

ბავშვებს შორის ძალადობა - ეს არ არის უწყინარი ფაქტი და არ შეიძლება ყურადღების გარეშე მისი დატოვება.

როდის შეიძლება ბავშვის ქმედებას სასტიკი მოპყრობა ეწოდოს?

დ. ოლვეუსის[24] თანახმად, ბავშვებში სისასტიკის გამოვლინებები „ბავშვური თამაშისგან“ შემდეგი ნიშნებით განსხვავდება:

- ძალადობის გამოვლინებები განმეორებადია და დიდი ხნის განმავლობაში გრძელ-დება;
- აგრესორი და მისი მსხვერპლი უთანასწორო მდგომარეობაში არიან;
- აგრესორი აცნობიერებს, რომ მსხვერპლს ზიანს აყენებს.

სასტიკი მოპყრობის ფორმები ბავშვებში:

- ფიზიკური ძალადობა (დარტყმა, თმის მოქაჩვა...);
- სიტყვიერი ძალადობა (გამოჯავრება, შეურაცხყოფის მიყენება, საწყენი ზედმეტსა-ხელების შერქმევა);
- თანატოლებისაგან გარიყვა (იგნორირება, თავის არიდება, ჭორების გავრცელება და სხვა);
- სექსუალური ძალადობა;
- სხვა.

უწყინარი თამაში თუ სექსუალური ძალადობა?

არ არსებობს ბავშვის „ნორმალურ“ სექსუალურ ქცევასა („ექიმობანას“ თამაში, ეგზიბიციონიზმი, კოცნაობა, თოჯინებთან სექსუალური აქტის გათამაშება და სხვა) და „პრობლემურ“ სექსუალურ ქცევას შორის მკვეთრი განსხვავება.

ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი კრიტერიუმი, რომლებიც შეიძლება (არა აუცილებ-ლად) მიუთითებდეს სექსუალურ ძალადობაზე:

- ფიზიკური ძალის გამოყენება;
- ფსიქოლოგიური მანიპულაცია, დაშინება, მუქარა;
- არათანაბარუფლებიანი დამოკიდებულება ძალის გამოყენების მუქარით;
- ასაკობრივი სხვაობა.

ბავშვები, რომლებიც ძალადობას მიმართავენ, ხშირად თავად არიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი. ამიტომაც აუცილებელია, ყოველთვის გვახსოვდეს მოძალადის შესაძლო სექსუალური გამოცდილების შესახებ წარსულში.

---

[24] OLWEUS, D., Psychology professor in Norway;bulingis koncepciis mama, Violences entre élèves, harcèlements et brutalités, les faits, les solutions, ESF publishers, Paris, 1999.

დაზარალებული ბავშვები ხშირად თვითონაც არ არიან „დარწმუნებულები“, რომ მათი სექსუალური გამოცდილება ძალადობრივია.

მშობლებმა და თქვენი ორგანიზაციის წევრებმა უნდა იცოდნენ, რომ არსებობს სექსუალური ხასიათის თამაშები, რომლებიც, შესაძლოა, ძალადობას ჰგავდეს.

სანქციები (სასამართლო და სხვა) დანაშაულის სიმძიმეს უნდა შეესატყვისებოდეს.

ა) ბავშვი-აგრესორი: რისკ ფაქტორები[25]

ფაქტორები, რომლებიც ბავშვებს შორის ძალადობის შესაძლებლობას ზრდიან, კომპლექსური ბუნებისაა.

პიროვნული რისკ-ფაქტორები: ჰიპერაქტიურობა, იმპულსურობა, არასაკმარისი თვითკონტროლი, ყურადღების კონცენტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, აგრესიული ქცევის შემთხვევები წარსულში, ალკოჰოლის, ნარკოტიკების და თამბაქოს მოხმარება ადრეული ასაკიდან, ანტისოციალური შეხედულებები და ქცევა, დაბალი ინტელექტი და განათლების დონე, სკოლაში აკადემიური ჩამორჩენა და სწავლის სურვილის არქონა, მარტოხელა მშობლის შვილობა, მშობლების განცალკევებულად ცხოვრება ან განქორწინება, ძალადობა ოჯახში.

ახლობელ ადამიანებთან დაკავშირებული რისკ- ფაქტორები (ოჯახის წევრები, მეგობრები, კლასელები): მშობლების მხრიდან სუსტი კონტროლი და ყურადღების ნაკლებობა; აღზრდის მკაცრი, სუსტი ან არათანმიმდევრული მეთოდები; მიჯაჭვულობის დაბალი ხარისხი მშობლებსა და შვილებს შორის; მშობლების ნაკლები მონაწილეობა შვილების საქმიანობებში; მშობლების ნარკო/ალკოდამოკიდებულება ან კრიმინალური საქმიანობა; სიღარიბე, დანაშაულებრივ ქმედებებში ჩართულ, ცუდი გავლენის მქონე თანატოლებთან ურთიერთობა.

სოციალური რისკ-ფაქტორები: ცუდი სოციალური ჩართულობა, კრიმინალური სამყარო და არალეგალური საქონელი (ნარკოტიკი, იარაღი), კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების შეუძლებლობა, ფინანსური უთანასწორობა, სწრაფი დემოგრაფიული ცვლილებები, ურბანიზაცია, ქვეყნის მმართველობის დაბალი ხარისხი (კანონები და მათი აღსრულება, აგრეთვე განათლება, სოციალური სერვისები და მისთანები).

ბ) ბავშვი-მსხვერპლი

რომელი ნიშნები უნდა მივიჩნიოთ საგანგაშოდ?

როგორც წესი,სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი უმეტესად არიან 6-16 წლის ბავშვები, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო მცირე ასაკისანიც.

[25] La violence chez les jeunes, Aide-mémoire N°356, Août 2011, Centre des médias, Organisation mondiale de la Santé, http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs356/fr/.

ბავშვის ფსიქოლოგიური რეაქცია ბევრნაირი შეიძლება იყოს. ყურადსაღებია სხვამხრივ აუხსნელი **ცვლილებები ქცევაში.** მაგალითად: განცალკევება, სომატური შფოთვითი ეპიზოდები (მუცლის ტკივილი, თავის ტკივილი და სხვა), სკოლაში წასვლაზე უარის თქმა, ძილის დარღვევები. მანამდე კარგი მოსწავლე სწავლაში ჩამორჩება და სასკოლო გაკვეთილების გაცდენას იწყებს. ბავშვი შეიძლება აგრესიული გახდეს ახლობელი ადამიანების მიმართ, დაიწყოს ქურდობა. ასევე საგანგაშოა ძალადობის ფიზიკური კვალი: ჰემატომები, დახეული ტანისამოსი, სისტემატურად „დაკარგული“ ნივთები, ტანსაცმელი.

თუ სიტუაცია არ გაუმჯობესდა, ბავშვს შესაძლოა ჩამოუყალიბდეს შფოთვით-დეპრესიული სინდრომი, რაიმე ფობია; მოზარდებში არსებობს სუიციდის რისკიც. შფოთვით-დეპრესიული სინდრომს (მოწყენილობა, სევდა, ინდიფერენტულობა) ხშირად თან სდევს სომატური დარღვევები (მადის დაკარგვა, ძილის დარღვევა, ენურეზი), რაც ბავშვის ტანჯვაზე მიუთითებს. შესაძლებელია ასევე შეინიშნებოდეს დეპრესიული სინდრომისგან „დაცვის“ რეაქტიული ნიშნები, როგორიცაა მაღალი მოტორული აქტივობა, აგრესიული ქცევა, რისხვა.[26]

როგორია მოზრდილების როლი?

პრევენცია

ძალადობის პირველადი პრევენცია უწინარესად გულისხმობს ბავშვების ინფორმირებას.[27] ბავშვებმა უნდა იცოდნენ ძალადობის სხვადასხვა ფორმის არსებობისა და მათი დაუშვებლობის შესახებ. ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ ამგვარი ქმედებების უსამართლობა და სიმძიმე, რომელიც, შესაძლოა, მათ ან მათ მეგობრებს შეემთხვეთ. ეს გაცნობიერება და მსგავსი შემთხვევებისათვის მზაობა საშუალებას მისცემთ, უფრო ჩქარა მოახდინონ შესაბამისი რეაგირება და გამოააშკარავონ სიტუაციები, რომელთა მსხვერპლი ან მოწმენი შეიძლება გამხდარიყვნენ. მსხვერპლის მიერ ასეთ სიტუაციასთან გამკლავების საუკეთესო სტრატეგიაა აგრესორისათვის უმალ წინააღმდეგობის გაწევა, „არას“ თქმა დ ამავე დროს, მომხდარის შესახებ სანდო მოზრდილისათვის მოყოლა.[28]

---

[26] LE LOUËT, A., Harcèlement entre camarades en milieu scolaire : repérer les signes d'alerte. Le quotidien du médecin n°8409, 2 septembre 2008.

[27] Grain de Sable dans Prévenir la maltraitance et l'abus sexuel à l'encontre des enfants : recueil de bonnes pratiques de prévention et prise de position sur l'abus et l'exploitation sexuels, BICE, 2013, gverdebi. 78-83.

[28] LE LOUËT, A., Harcèlement entre camarades en milieu scolaire : repérer les signes d'alerte, Le quotidien du médecin n°8409, 2 septembre 2008.

პიროვნებასთან დაკავშირებული ღონისძიებები	ურთიერთობებთან დაკავშირებული ღონისძიებები	ღონისძიებები თემის დონეზე	ღონისძიებები საზოგადოების დონეზე
პიროვნების განვითარების სკოლამდელი პროგრამები	ბავშვის მონახულება სახლში	გარემოს გაუმჯობესება (სწავლების მეთოდები, სასკოლო პოლიტიკა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა)	საინფორმაციო კამპანიების ჩატარება
სოციალური განვითარების პროგრამები (ცხოვრებისეული უნარების სწავლება)	„მშობელთა სკოლა“	სკოლისგარეშე აქტივობები	მედია ძალადობის შემცირებისათვის მუშაობა
თანატოლთა მხრიდან დევნის პრევენცია	ოჯახური თერაპია	კრიმინალური აქტივობის შემამცირებელი პროგრამები	პოლიციელების და სამართალდამცავ ორგანოთა სხვა წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა
რჩევები	მონიტორინგის პროგრამა	მოზრდილთათვის რისკ-ჯგუფის ახალგაზრდების გამოვლენისა და დახმარების მეთოდების სწავლება	სოციალური უთანასწორობის შემცირება
პროფესიული სწავლება	მედიაცია/ თანატოლების ჩართვა	ალკოჰოლის ხელმისაწვდომობის გამკაცრება	საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება

გამოვლენა და ადრეული ჩარევა

სასურველია, თუ პრევენციული ღონისძიებები კავშირში იქნება ბავშვის აგრესიული ქცევის გამოვლენის შემთხვევებთან და მოზრდილების დაუყოვნებლივ ჩარევასთან.

ამას გარდა, ჩარევა აუცილებელია, როდესაც, როცა პრობლემები უკვე არსებობს და დგას მათი გაღრმავებისა და განმტკიცების დაუშვებლობის საჭიროება. ამავდროულად, ჩარევის შესაბამის ზომებს პრევენციული მნიშვნელობა იმიტომ აქვთ, რომ ისინი ხელს

[29] *La violence chez les jeunes,* Word Health Organisation, 2002. http://www.who.int/violence_injury_prevention/violence/world_report/factsheets/en/youth_fr.pdf

უშლიან აგრესიული ქცევის ახალი შემთხვევების გაჩენას. ამგვარად, ინტერვენციული ღონისძიება პრევენციული ღონისძიებაცაა.

ასეთი სამუშაოს შესრულებისას, აუცილებლია გავითვალისწინოთ ახალგაზრდა ადამიანის პირადი, ოჯახურის, სკოლის, სამსახურის გარემოებები, აგრეთვე ის, თუ როგორ ატარებს თავისუფალ დროს.

ადეკვატური გამოსასწორებელი ღონისძიებები

ეს ტერმინი მოიცავს ყველა იმ ღონისძიებას, რომლებიც შეიძლება გატარებული იყოს პოლიციის, სამართალდამცავი ორგანოების, სკოლის ადმინისტრაციის და სხვა პედაგოგიური ინსტანციების მიერ, მოზარდის აგრესიული ქცევის საპასუხოდ. ადეკვატური გამოსასწორებელი ღონისძიებები შეიძლება შეეხოს როგორც ცალკეულ ინდივიდებს, აგრეთვე მთელ ჯგუფებს, მაგალითად, როგორიცაა, ღამის საათებში არასრულწოვანთათვის კომენდანტის საათის დაწესება.

საყურადღებოა: გამოსასწორებელი ღონისძიებები ეფექტურია მხოლოდ პედაგოგიურ და პრევენციულ ღონისძიებებთან ერთობლიობაში.

გამოსასწორებელი ღონისძიებების მთავარი მიზანია აგრესიული ქცევის გამეორების შეჩერება. ზედმეტად მკაცრი და არაადეკვატური სასჯელის შემთხვევაში, პრობლემა შესაძლოა გაუარესდეს. ამიტომ ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს არა დასჯა, არამედ დაცვა და აღზრდა იმ ბავშვებისა, რომლებიც ძალადობას მიმართავენ.

ბარათი 9: ადმინისტრაციული და სამართლებრივი პროცედურა, შეტყობინება სასტიკი მოპყრობის შესახებ და საგვირის შეტანა

რა არის შეტყობინება სასტიკი მოპყრობის შესახებ?

სასტიკი მოპყრობის შემთხვევის შესახებ შეტყობინება - ეს არის ქმედება, რომლის მეშვეობით ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოებისთვის ცნობილი ხდება რეალური ან სავარაუდო სასტიკი მოპყრობის შესახებ. შეტყობინება უნდა გაკეთდეს ადმონისტრაციული ან სასამართლო შედეგების შიშის გარეშე

როდის უნდა გაიგზავნოს შეტყობინება?

აქ ძალზედ მნიშვნელოვანია ტერმინი „სავარაუდო“. შეტყობინებისათვის საკმარისია ეჭვის არსებობა. ხოლო იმის გარკვევა, საფუძვლიანი არის თუ არა ეს ეჭვი, სწორედ ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების საქმეა - მოკვლევით ან გამოძიებით მათ შეუძლიათ უარყონ ან მოხსნან ეს ეჭვები.

ეჭვების დადასტურებაც ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების პრეროგა-ტივაა. სწორედ მათ გააჩნიათკანონიერი, მატერიალური და მეცნიერული საშუალებები, აგრეთვე ადამიანური რესურსი იმისთვის, რომ შეამოწმონ ფაქტები და საქმეს ადეკვატური მსვლელობა მისცენ.

როდესაც სასტიკი მოპყრობა რეალურ საფრთხეს წარმოადგენს ბავშვისთვის, შესაბამისი შეტყობინება უმოკლეს ვადებში უნდა გაკეთდეს.

ვინ უნდა გააკეთოს შეტყობინება?

ბავშვის მიმართ რეალური ან სავარაუდო სასტიკი მოპყრობის შემთხვევის შესახებ კომპეტენტური ორგანოებისთვის შეტყობინება ნებისმიერი ადამიანის მორალური პასუხისმგებლობაა.

ზოგიერთ ქვეყანაში ეს კანონიერი ვალდებულება ასახულია სისხლის სამართლის კოდექსში.

ასეთი შემთხვევის შესახებ შეუტყობინებლობა ასევე შესაძლო საფრთხეში მყოფი ადამიანისთვის დახმარების გაუწევლობასთან.

ბავშვთან მომუშავე სპეციალისტებს განსაკუთებით მოეთხოვებათ მყისიერი რეაქცია და კომპეტენტური სამსახურებისთვის შეტყობინება ეჭვის გაჩენის შემთხვევაში.

შეტყობინების შედეგები

ადმინისტრაციულ ინსტანციებში მიმართვის მიზანი ბავშვის დაცვაა. ისინი ახდენენ რთულ სიტუაციაში მყოფი ბავშვისა და ოჯახის იდენტიფიცირებას და მათთვის დახმარების გაწევას: სოციალური მუშაკის თანხლება, მშობლების მხარდაჭერა და ასე შემდეგ.

უფრო სერიოზულ შემთხვევებში,სოციალურ სამსახურებს შეუძლიათ საქმე გადასცენ სამართალდამცავ ორგანოებს (პროკურორს, მოსმართლეს ან პოლიციას).

პროფესიული კონფიდენციალურობა

სპეციალისტები (ექიმები, სოციალური მუშაკები და სხვა), სასტიკ მოპყრობაზე ეჭვის შემთხვევაში, პროფესიული კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან, მიუხედავად იმისა, რომ საიდუმლოს შენახვა და კონფიდენციალურობის დაცვა ამ პროფესიების განუყოფელი ნაწილია. ასეთ შემთხვევებში, აღნიშნული სპეციალისტების საქმიანობაში უპირატესობა ბავშვის ინტერესების დაცვას ენიჭება.

სასტიკ მოპყრობაზე ეჭვის შემთხვევაში, კონფიდენციალურობის დაცვაზე ჩაჭიდება ბევრ ქვეყანაში კანონით ისჯება.

როგორ შევატყობინოთ - შეტყობინების ფორმა

სასურველია, ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი შეიცავდეს შეტყობინების ფორმას (ბარათი). თუკი სოციალურ სამსახურებში არსებობს ცენტრალიზირებული შაბლონი, სასურველია სწორედ მისი გამოყენება.

მსგავსი შაბლონის არარსებობის შემთხვევაში, შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. ბავშვის პერსონალური მონაცემები (სახელი, დაბადების თარიღი, სკოლა)
2. მიმართვის მიზეზი, რომელიც მიუთითებს მოვლენებზე, რომელთა გამოც მოხდა მიმართვა
3. სარწმუნო ფაქტების აღწერა
4. წყარო: ბავშვის მიერ გამხელა, სხვისგან გაგება
5. წინაისტორია, თუ სიტუაცია უკვე ცნობილია.

შეტყობინება უნდა იყოს ნათელი, გასაგები და მომხდარს ობიექტურად ასახავდეს. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ არის გადმოცემული ფაქტები.

მაგალითად, შესაძლებელია მისი შემდეგნაირად შედგენა:
„ვადასტურებ, რომ .....“

ბავშვის ან სხვების ნათქვამის გადმოცემისას, უმჯობესია ზუსტი ფრაზირების შენარჩუნება: *ბავშვმა თქვა: „.....“*

როცა, მომხდარის შესახებ სხვამ გვითხრა : *„მასწავლებელმა მითხრა, რომ .....“*

როცა ვარაუდების შესახებ ვსაუბრობთ, გამოვიყენოთ სიტყვები, როგორიცაა *„თითქოსდა“, „სავარაუდოდ“, „ალბათ“: „სავარაუდოდ, მამა სახლიდან წავიდა“*.[30]

სასტიკი მოპყრობის შესახებ შეტყობინების პროცედურა და ადგილობრივი კანონმდებლობა

მნიშნველოვანია იმის ცოდნა, თუ სასტიკი მოპყრობის შესახებ შეტყობინების კანონით გათვალისწინებული რა პროცედურებია იმ ქვეყანაში, სადაც ბავშვი ცხოვრობს.

არსებობს რამდენიმე მოდელი იმისა, თუ ვის ეხება ძალადობის შესახებ შეტყობინების მიღება:

- ცენტრალიზებული საქალაქო, რეგიონალური ან ეროვნული სამსახური, რომელიც იღებს შეტყობინებებს სკოლებისაგან, ექიმებისაგან, მეზობლებისაგან და ასე შემდეგ. შემდგომ, ეს სამსახური თვითონ მიმართავს სოციალურ სამსახურებს ან სამართალდამცავ ორგანოებს;
- ბავშვზე ზრუნვის სოციალური ან ადმინისტრაციული ორგანოები;
- პროკურორი;
- არასრულწლოვანთა საქმეების მოსამართლე;
- გამომძიებელი;
- არასრულწლოვანთა პოლიციის დეპარტამენტი (თუ ასეთი არსებობს);
- პოლიცია.

ხშირად ადმინისტრაციული და სამართალდამცავი სისტემები ერთმანეთის დუბლირებას ახდენენ. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე თითოეულმა სპეციალისტმა დეტალურად იცოდეს სასტიკი მოპყრობის შესახებ შეტყობინების ყველა პროცედურა.

ასევე სასურველია, რომ ეს პროცედურა გადმოცემული იყოს ორგანიზაციის ბავშვის დაცის შიდა პოლიტიკის დოკუმენტში.

საჩივარი

ადმინისტრაციული სამსახურებისათვის შეტყობინების შემდეგ, მათ მიერ გამოძიებისა და სიტუაციის შეფასების შემდეგ, საქმე შეიძლება გადაეცეს პროკურორს ან მოსამართლეს.

ასევე შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება საჩივრის შეტანის შესახებ უშუალოდ სამართალდამცავ ორგანოებში (უმეტესად, პოლიციაში ან პროკურორთან, ან არასრულწლოვანთა საქმეების მოსამართლესთან), ადმინისტრაციული ორგანოებისთვის შეტყობინების გარეშე.

[30] *Lènfance en danger, que faire ?,* Tribunal de grande instance Protection judiciaire de la jeunesse, Inspection Académique, Département Ardèche. http://ardecol.inforoutes.fr/pjj/pdf/pjj.pdf

თუ დანაშაული ჩადენილია თვითონ ორგანიზაციის შიგნით მისი ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ, ამ პირზე საჩივრის შეტანა ორგანიზაციის მორალური ვალია.

ამ შემთხვევაში, ადგილობრივი კანონმდებლობისდა მიხედვით, ორგანიზაციამ, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვზე, ასევე უნდა შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი.

შიდაორგანიზაციული სანქციები ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი.

საჩივრის შეტანით ხელს ვუწყობთ:

- ბავშვის დაცვას;
- დამნაშავის გაუვნებელყოფას და მისი მხრიდან შესაძლო რეციდივის შესაძლებლობის არდაშვებას;
- ბავშვის ცნობას დაზარალებულად;
- მოძალადის მიმართ კანონით გათვალისწინებული სანქციების მიღებას;
- მოძალადის რეაბილიტაციას.

ამ რთულ პერიოდში ბავშვი აუცილებლად უნდა გრძნობდეს მხარდაჭერას, ხოლო რეფერენტული სოციალური მუშაკი ყურადღებით უნდა ადევნებდეს თვალს გამოძიების მსვლელობას და იმას, თუ რამდენად ოპერატიულად მოქმედებენ სამართალდამცავები.

სამართალწარმოების მნიშვნელობა ბავშვის სიცოცხლისუნარიანობისთვის

ხშირ შემთხვევაში, სამართლებრივი ღონისძიებიები დიდ როლს თამაშობენ ბავშვის სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებაში, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის შემთხვევაში. ეს საშუალებას აძლევს ბავშვს, მიიღოს დაზარალებულის სტატუსი, მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე პასუხისმგებლობა სრულად დაეკისროს მოძალადეს, ხელს უწყობს მიყენებული ზიანის აღიარებას, რაც რეაბილიტაციის პირველი ნაბიჯია.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ სამართლებრივი პროცედურები საკმარისი არ არის. უმეტეს შემთხვევებში, ბავშვისა და მისი ოჯახის სიცოცხლისუნარიანობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაზარალებულ ბავშვთან და მის ოჯახთან თერაპიულ მუშაობას, მიღებულ სოციალურ, ადმინისტრაციულ და სამართლებრივ ღონისძიებებთან ერთობლიობაში. მხოლოდ ასე შეძლებს ის, გახდეს საზოგადოების ჯანსაღი წევრი.

საჩივრის შეტანამ შეიძლება ბავშვი გაათავისუფლოს იმისგან, რაც მას ამძიმებდა და აწუხებდა (მომხდარიდან მრავალი წლის შემდეგაც კი); ეს ქმედება ხშირად ამხნევებს ბავშვს და ყველაფერს თავის ადგილს უჩენს. ბავშვისთვის ეს არის სიმბოლური გამარჯვება და რაც მთავარია, - სამართლიანობა.

თუმცა, საქმის სასამართლოში განხილვა დაზარალებული ბავშვისთვის, შესაძლოა, მძიმე გამოცდა აღმოჩნდეს.

შესაძლოა, ბავშვი შეეჯახოს სამართალდამცავებისაგან უნდობლობას, ოჯახის წევრებისაგან - გარიყვას, ტყუილში დადანაშაულებას და ჰქონდეს ბრალეულობის განცდა. ასევე შეიძლება, რომ გამოძიებამ საქმე დახუროს მტკიცებულებათა

არარსებობის გამო, რაც ბავშვის ხელახალ ტრავმირებას გამოიწვევს.

ამ მეტად რთული და დამღლელი პროცედურის დროს, ბავშვს სჭირდება მხარდაჭერა სპეციალიზებული მოზრდილის მხრიდან, რომელსაც ის ენდობა.

ბავშვის დაკითხვა მისადმი პატივისცემით

შესაბამისი სპეციალისტები ასევე უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ მართლმსაჯულების აღსრულება ბავშვისათვის მეგობრულ გარემოში მიმდინარეობს.

ბავშვზე ადაპტირებული სამართლებრივი სისტემა სასამართლო პროცესამდე, პროცესის დროს და შემდეგ უნდა შეიცავდეს შემდეგ მომენტებს:

- საქმეების მაქსიმალურად სწრაფად და გულდასმით განხილვა;
- მხოლოდ დახურული სხდომების ჩატარება;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების არსებობა (ცალკე კანონი ან კოდექსი, სპეციალური სასამართლოები, სპეციალიზირებული დაწესებულებები და სამსახურები, და ასე შემდეგ);
- სპეციალიზირებული მოსამართლეების და სპეციალური სოციალური სამსახურების თანამშრომელთა აუცილებელი სწავლება;
- ბავშვის ადვოკატის/მრჩევლის ჩართულობა პროცედურის ყველა ეტაპზე;
- სოციალური მუშაკებისა და სოციალური პედაგოგების ჩართულობა პროცედურის ყველა ეტაპზე;
- სამართლებრივ პროცედურებზე დაკვირვება ბავშვის თანმხლები სოციალური მუშაკის მხრიდან;
- ბავშვზე მორგებული პროცესუალური ნორმები;
- სპეციალისტთა ქსელური მუშაობა პროცედურის ყველა ეტაპზე;
- სასტიკი მოპყრობის შესახებ შეტყობინების მკაფიოდ სტრუქტურირებული პროცედურა;
- პროცედურის ცოდნა და დაცვა;
- პოლიციელთა მხრიდან ფსიქოლოგიური ასპექტისადმი ყურადღება;
- დაზარალებულის სტიგმატიზაციის თავიდან აცილება;
- ბავშვზე მორგებული პროცედურა;
- ბავშვზე ძალადობის საკითხებში მომზადებული პოლიცია;
- სპეციალისტების მომზადება, მათ შორის, ბავშვის უფლებათა დამცველებისა;
- ბავშვის მოსმენა;
- პოლიციის განყოფილებებში ბავშვის ტრავმირების რისკის მინიმალიზირება;
- ბავშვის ჩვენების ჩაწერა/გადაღება ბავშვზე მორგებულ გარემოში;
- მიღწევა იმისა, რომ ბავშვს არ მოუხდეს მატრავმირებელი შემთხვევის შესახებ გამეორებით მოყოლა;
- სპეციალური დაცვის მექანიზმების გარანტირება, მაგალითად, როგორიცაა ძალადობა განცდილ ბავშვთა თავშესაფარი;
- სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულებაზე მონიტორინგის მექანიზმები.

ბარათი 10: ფსიქოლოგიური და თერაპიული მხარდაჭერა

1. სასტიკი მოპყრობისა და სექსუალური ძალადობის ფსიქოლოგიური შედეგები

სასტიკი მოპყრობის ყველა ფორმამ შეიძლება შეუქცევადი დამღუპველი ზემოქმედება მოახდინოს ბავშვის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე. სასტიკი მოპყრობა იწვევს სტრესს, რომელთანაც დაკავშირებულია თავის ტვინის ადრეული განვითარების დარღვევა; ძალიან ღრმა სტრესი გავლენას ახდენს ნერვული და იმუნური სისტემების განვითარებაზე.

კვლევები ცხადყოფს, რომ მათ, ვინც ბავშვობაში სასტიკი მოპყრობა და ძალადობის სხვა ფორმები განიცადეს, ექმნებათ სარისკო, მათ შორის, ვიქტიმური ქცევის დემონსტრირების, ან ძალადობის ჩადენის საფრთხე; აგრეთვე, ხშირად ადგილი აქვს დეპრესიას, თამბაქოდამოკიდებულებას, ჭარბწონიანობას, პრობლემურ სექსუალურ ქცევას, არასასურველ ორსულობას, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიას.[31] გარდა ამისა, ძალადობა განცდილ ბავშვებს ხშირად მთელი ცხოვრება უწევთ იცხოვრონ სირცხვილის, დანაშაულის გრძნობებით, გარიყვით, უარყოფით, ღალატით, თავდაჯერებულობის დეფიციტით, შიშით, ღრმა დეპრესიით, შფოთვით, სტრესით და ასე შემდეგ. ამდენად, ფსიქო-სოციალური დახმარება აუცილებელია ძალადობაგანცდილი ბავშვების სრულფასოვანი რეაბილიტაციისათვის.

სამწუხაროდ, ბევრ რეგიონში ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი ფსიქოლოგიური დახმარება. ასეთ შემთხვევებში, უნდა გამოინახოს ალტერნატივა-მხარდაჭერა გარემოცვისა და საზოგადოების მხრიდან, რომელიც, შესაძლოა, არაფორმალური ხასიათისა იყოს. ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მკურნალობა და მხარდაჭერა, ოფიციალური იქნება თუ არაფორმალური, თანხვედრაში უნდა იყოს სამართლებრივ პროცედურასთან და ბავშვის დაცვაზე მიმართულ ნებისმიერ სამუშაოსთან. მძიმე შემთხვევებში, თერაპია პირველ პლანზე უნდა იყოს და წინ უნდა უსწრებდეს სამართლებრივ პროცედურას.

2. მხარდაჭერა

შეფასება / დიაგნოსტირება

სოციალური მუშაკების მოვალეობაში არ შედის ფაქტების გადამოწმება ან ბავშვის ჩვენების დამაჯერებლობის განსაზღვრა. მათი მოვალეობაა, ბავშვს დაეხმარონ თავს გადამხდარი ამბების სიტყვიერ გადმოცემაში პასუხისმგებელი მოზრდილის თანდასწრებით, რომელიც მზად არის, იმდენი დრო დახარჯოს ბავშვის ნდობის მოსაპოვებლად, რამდენიც საჭიროა. ვინც არ უნდა იყოს ეს მოზრდილი კონფიდენტი, პირველი, რაც მან უნდა გააკეთოს, - ეს ბავშვის მოსმენაა. ბავშვს უნდა მივმართოთ ღია და არაჩამაგონებელი კითხვებით და საშუალება მივცეთ, მომხდარის შესახებ თავისი სიტყვებით გადმოსცეს. ამგვარად ის უფრო მეტ სიმართლეს იტყვის. ბავშვის

[31] *Guide sur la prévention de la maltraitance* des enfants : intervenir et produire des données, OMS & ISPCAN, 2006. http://whqlibdoc.who.int/publications/2006/9789242594362_fre.pdf

მონათხრობი, ისევე როგორც ქცევა, მაქსიმალური სიზუსტით უნდა იყოს აღწერილი რეპორტში, რომელიც შეიძლება გადაეცეს სამართალდამცავ ორგანოებს, პროფესიული იერარქიის დაცვით.

სიტუაციის პირველადი შეფასება, როგორც წესი, ბავშვთან, მის მშობლებთან და მასზე პასუხიმგებელ პირებთან გასაუბრებით ხდება. აუცილებლობის შემთხვევაში, მყარდება კონტაქტები სპეციალისტებთან ან ნათესავებთან, რომლებსაც მოცემული სიტუაცია შეეხებათ. მათი ნათქვამი შემდგომში ბავშვის ოჯახის შესახებ სხვადასხვა შეხედულებების გამთლიანებასა და მისი შიდა რესურსების გამოვლენაში გვეხმარება. ძალზედ მნიშვნვლოვანია სიტუაციის სრული გაანალიზება, რაც, თავის მხრივ, მოიცავს როგორც თავად ბავშვს, აგრეთვე გარემოსაც, რომელშიც ის ცხოვრობს: ოჯახი, ასაკი, ურთიერთობა მოძალადესთან, სასტიკი მოპყრობის ფორმა და სხვა.

ასევე უნდა განისაზღვროს ძალადობის სიმძიმე, მისი გავლენა ბავშვზე, გაანალიზდეს რისკ-ფაქტორები ოჯახის ისტორიაში და მათი განმეორებადობა, მშობლობის უნარები, მშობლების პიროვნებები, სპეციფიკური სტრესები ბავშვის ცხოვრებაში და სხვა. ასევე, უნდა ტარდებოდეს დაკვირვება ურთიერთობებზე ოჯახში, ოჯახურ გარემოზე. ამგვარი ანალიზით, სოციალური მუშაკი მოიპოვებს ბავშვის, მის მიერ გადატანილი ძალადობისა და ოჯახის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას, ასევე მოახდენს დიაგნოსტირებას, რაც აუცილებელია ეფექტური დახმარების გაწევისათვის. კარგი დიაგნოსტირება, რომელიც ერთობლივად უნდა ჩატარდეს სოციალური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების (მედიკოსები, ფსიქოლოგები...) მიერ, შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს, რა ტიპის დახმარება ესაჭიროება ბავშვს.

ინტეგრირებული და მულტიდისციპლინარული ზრუნვა

ბავშვზე ზრუნვა დაფუძნებული უნდა იყოს ეთიკის პრინციპების დაცვაზე და ბავშვის უფლებების პატივისცემაზე. ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპების თანახმად, თერაპია უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ინტერესებსა და უსაფრთხოებას, არ უნდა ახდენდეს მის სტიგმატიზირებას.

სასტიკი მოპყრობის შემთხვევების ანალიზი რამდენიმე დონეზე უნდა მოხდეს: სამედიცინო, ფსიქოპათოლოგიური (ინდივიდუალური, ოჯახური, თაობათა შორის), სოციალური და სამართლებრივი. ამიტომაც არის აუცილებელი ბავშვთა მიმართ სასტიკი მპოყრობისა და სექსუალური ექსპლუატაციის სფეროში მომუშავე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მულტიდისციპლინარული მუშაობა. ის უნდა ტარდებოდეს როგორც ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან, ასევე მის ოჯახთან და უნდა ემსახურებოდეს სამ ძირითად მიზანს: ბავშვის „მკურნალობა“, ოჯახურ ურთიერთობათა მოწესრიგება და რეციდივის პრევენცია.

ამ მულტიდისციპლინარულმა გუნდმა უნდა გადაწყვიტოს, რომელი სამსახურების ამოქმედებაა საჭირო ბავშვის დასაცავად და მისთვის სათანადო დახმარების გასაწევად. საჭიროებისამებრ, გუნდს შეუძლია სხვა სამსახურებს მიმართოს, რომელთა პროფილი ზოგჯერ უკეთ შეესაბამება მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი დახმარების ტიპს.

ბავშვის ოჯახისა და გარემოცვის მხარდაჭერა ძირითად როლს ასრულებს გადატანილი

ტრავმის დაძლევაზე მუშაობის პროცესში. თუმცა, მწვავე ემოციური ძალადობის დროს, შესაძლოა, საჭირო გახდეს საცხოვრებელი გარემოდან ბავშვის დროებით გამოყვანა და სპეციალიზირებულ გარემოში მისი გადაყვანა. ამგვარი გადაწყვეტილება კარგად აწონდაწონილი უნდა იყოს და საჭიროებს სიტუაციის ანალიზს სხვადასხვა დონეზე: დიაგნოსტიკა, სოციალური ანკეტა, ბავშვის სამედიცინო-ფსიქოლოგიური შეფასება, მშობლების ფსიქიატრიული ექსპერტიზა, ჩვენებები თერაპიის ჩასატარებლად და ასე შემდეგ.

დახმარება

ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დახმარების პროცესი ემსახურება „უსაფრთხო სივრცის“ შექმნას, რაც მათთან უსაფრთხო გარემოში მუშაობის საშუალებას იძლევა. სხვადასხვა სპეციალისტები (სოციალური მუშაკები, პოლიციელები, სამართალდამცავები, მედიკოსები, ფსიქოლოგები...), ერთობლივად, შეძლებისდაგვარად ბავშვთან და ოჯახთან ერთად, განსაზღვრავენ პირველი რიგის ამოცანებს და ადგენენ სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს ძალადობის ახალი შემთხვევების ასარიდებელ პრევენციულ ზომებს, დაზარალებული ბავშვის დაცვის (ძალადობის შესახებ შეტყობინება, ბავშვის დროებითი გადაყვანა უსაფრთხო ადგილზე, სამედიცინო დახმარება) და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებებს.

სოციალურმა მუშაკებმა ბავშვსა და მის ოჯახს ყოველთვის უნდა გააცნონ, თუ რა პროცედურები მიმდინარეობს და რა ხდება მათ თავს. ეს მეტად მნიშვნელოვანია მსხვერპლის მორალური გაძლიერებისათვის, დაცვისთვის და გადაწყვეტილების მიღებისათვის. ბავშვთან ყოველი საუბარი უნდა დაეხმაროს მას განვითარებისთვის აუცილებელი პოზიტიური გამოცდილების შეძენაში.

დაზარალებულ ბავშვს გააჩნია შინაგანი რესურსები და ძალები, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სოციალური მუშაკი. პრობლემის მიზეზებზე კონცენტრირების ნაცვლად, ყურადღების აქცენტირება ხდება გადაწყვეტილებების ძიებასა და ბავშვის წარმატებებსა და მიღწევებზე, რომლებიც ამხნევებენ მას და ხელს უწყობენ ბავშვის სრულფასოვნების აღდგენას. ბავშვთან ერთად მის სამომავლო გეგმებზე საუბარი საშუალებას აძლევს მას, რომ არ ფოკუსირდეს გადატანილ ტრავმაზე და მზერა მომავალს მიაპყროს. ცხოვრების პროგრამა უნდა შედგეს ბავშვისთვის მნიშვნელოვან ადამიანებთან ერთად, რათა უპირატესობა კომპლექსურ მიდგომას მიენიჭოს. ეს პროგრამა ითვალისწინებს ყველა შესაძლო ქმედებას, რომლებიც ბავშვის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს შეეხება (ასაკი, სქესი, სასკოლო მოსწრება, ოჯახური გარემოცვა, უნარ-ჩვევები, აგრეთვე სიძნელეები...) და ასევე - მის მიერ გადატანილ ძალადობას (ფორმა, ხანგრძლივობა, შედეგები...).

ბავშვის გვერდით უნდა იმყოფებოდეს სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მუშაობის კოორდინირებასა და ბავშვის ინდივიდუალური სამოქმედო პროგრამის განხორციელებაზე. ეს სპეციალისტი უზრუნველყოფს ბავშვის საჭიროებებზე მორგებული, სტრუქტურირებული და დაბალანსებული გარემოს შენარჩუნებას, რაც ბავშვს საკუთარი ემოციების მართვასა და სიძნელეების გადალახვაში დაეხმარება. სხვადასხვა ადამიანების მიერ ბავშვთან ერთად შემუშავებული ეს პროგრამა მიმართულია ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და მის სოციალურ და

პროფესიულ ინტეგრაციაზე.

ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია დაეხმარება ბავშვს, სხვაგვარად შეხედოს თავის მდგომარეობას, გამოხატოს თავისი რისხვა და სიძულვილი და მოახდინოს დისტანცირება იმისაგან, რაც გადაიტანა. ის ასევე შეეხება სასკოლო გარემოში ან სამუშაო ადგილზე ბავშვის რეინტეგრაციასთან დაკავშირებულ პირობებს.

დახმარების პროცესი სრულდება მაშინ, როდესაც სოციალური მუშაკი და სხვა სპეციალისტები დარწმუნდებიან, რომ ბავშვს საფრთხე აღარ ემუქრება და მან სიცოცხლისუნარიანობა შეიძინა: მზად არის, შეხვდეს ახალ გამოწვევებს; ისწავლა თავის დაცვა და დაიბრუნა მოზრდილთა სამყაროს მიმართ ნდობა; ისწავლა საკუთარი ემოციების მართვა; და რაც მთავარია, დახმარება სრულდება, როდესაც ბავშვი თავზე საუბრობს არა როგორც მსხვერპლზე, არამედ როგორც ჩვეულებრივ ბავშვზე. ის ხომ არის კიდეც ბავშვი და ბავშვად ყოფნის სრული უფლებაც აქვს.

დოქტორ სელიბის[32] რეკომენდაციები

დოქტორმა სელიბიმ დააკავშირა თერაპევტის მუშაობა ბავშვის სიცოცხლისუნარიანობასთან და შეიმუშავა ძალზედ საინტერესო სქემა, რომელიც ეჭიდება თერაპიასა და ბავშვის სიცოცხლისუნარიანობას შორის ხიდჩატეხილობის პრობლემას. ქვემოთ მოყვანილია მისი რეკომენდაციები საექიმო პრაქტიკის მეთოდების შეცვლის შესახებ, რომლებიც სპეციალისტმა უნდა გაითვალისწინოს დაზარალებული ბავშვის სიცოცხლისუნარიანობის გასაძლიერებლად:[33]

- სიმპტომებზე ყურადღების აქცენტირების ნაცვლად, გამოვავლინოთ ადამიანის შინაგანი რესურსები, ნიჭი და უნარ-შესაძლებლობები;
- თერაპია დავაფუძნოთ ადამიანის შესაძლებლობებზე და არა - მის პრობლემებზე;
- ადამიანის ნოვაციურ წინადადებებს მოვუსმინოთ კეთილგანწყობით და არა-სკეპტიციზმით;
- ჩავთვალოთ, რომ ბავშვობაში გადატანილი ტრავმა აუცილებლად არ მოასწავებს პათოლოგიას ზრდასრულ ასაკში;
- თერაპია უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა სპეციალისტების სურვილებს და არა - მხოლოდ ერთი თერაპევტის;
- მივიჩნიოთ, რომ თერაპიის სფეროში ექსპერტი არის პაციენტი, მისი ოჯახი და თემი, და არა - თერაპევტი. თერაპევტს არ აქვს ყველაფერზე მზა პასუხი;
- თერაპიისთვის საჭირო რესურსი აქვს პაციენტსაც და მის გარემოცვასაც. არ გვეგონოს, რომ ამ საშუალებებს მხოლოდ თერაპევტი ფლობს;
- დავეხმაროთ ადამიანს, იპოვოს თავისი ადგილი ცხოვრებაში, ნაცვლად იმისა, რომ სიმპტომები შევუმსუბუქოთ;
- პაციენტის ოჯახს და ახლობლებს მოვეკიდოთ, როგორც თერაპიის თანამონაწილეებს და არა - როგორც ხელისშემშლელებს.

[32] Dr. Saleebey
[33] SALEEBEY D., The strengths perspective in social work practice, Pearson/Allyn Bacon, 2006.

3.თერაპიული დახმარების შესაძლო მეთოდები

არ არსებობს თერაპიის იდეალური ფორმულა სასტიკი მოპრობის და/ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვებისათვის. ამ ბავშვების დახმარება უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, ბავშვის ასაკსა და განვითარების დონეზე, სტრესულ ფაქტორებზე, გარემოზე. დაზარალებულ ბავშვებთან გამოყენებული უნდა იქნას ყველა თერაპიული მეთოდი, რომლებიც მას მიღებული ტრავმისგან განკურნებაში დაეხმარება.

ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი არსებული მეთოდი:

ინდივიდუალური თერაპია
სასტიკი მოპყრობისა თუ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთ ხშირად უჭირთ ჯგუფში საკუთარი განცდებისა და გამოცდილებების შესახებ საუბარი. ინდივიდუალური თერაპიული მიდგომა ბავშვს უფრო მეტ დროს უთმობს და ხშირად სიმამაცესაც სძენს. ამიტომაც, ჯგუფური თერაპიის დაწყებამდეც კი, სანამ ბავშვს ჯგუფის მიმართ ნდობა გაუჩნდება, ხშირად ინდივიდუალური თერაპია გამოიყენება. ინდივიდუალური თერაპიის სეანსები ბავშვს ეხმარება საკუთარ თავზე წარმოდგენის შეცვლაში და ხელს უწყობს შემდგომში მის ჩართვას სხვა ტიპის თერაპიაში (ოჯახური, ჯგუფური...).

სისტემური ოჯახური თერაპია
სისტემური ოჯახური თერაპია მიმართულია ბავშვის ტკივილის გაგებაზე, იმ სისტემის ფარგლებში მისი ანალიზის გზით, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს და ვითარდება. მსგავსი სესიები ძალზედ პრაგმატული და პრაქტიკულია, რადგანაც ამ დროს ხდება ოჯახის თითოეული წევრისა და მათი რეაქციების შესწავლა. ოჯახურმა თერაპევტმა პრობლემის მიზეზები წარსულში უნდა ეძებოს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება საჭიროა მხოლოდ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე. მისთვის მნიშვნელოვანია გაიგოს, თუ როგორ გაჩნდა ეს სიმპტომები და რა ფუნქციას ასრულებენ ისინი სისტემაში: რას უწყობენ ხელს, რას - უშლიან, ვის რა ძალას სძენენ. თერაპევტმა უნდა შეისწავლოს ტანჯვის მიზეზები, გამოხატვის ფორმები, ხელისშემწყობი და პრევენციული ფაქტორები.

სასტიკი მოპყრობისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ჯგუფური თერაპია
ჯგუფური თერაპია იდეალურია დაზარალებულის დასახმარებლად და მის მიერ მარტოობის გრძნობის დასაძლევად, რადგანაც ამგვარი თერაპიისას მსხვერპლი ხედავს და უსმენს სხვა ადამიანებს, რომლებსაც მსგავსი რამ შეემთხვათ (ამგვარად ხდება სირცხვილის გრძნობის შემცირება). ასევე, ხდება ახალი კომუნიკაციური უნარების შეძენა და იმ უნარების შეცვლა, რომლებიც მსხვერპლს ხელს უშლიან სხვა ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებაში. ბავშვი ხედავს გაუმჯობესების მოდელებს, განვითარებას, მიღწევევებს, განვლილ ეტაპებს, მოსალოდნელ სირთულეებს და იღებს მსგავსი გამოცდილების მქონე ადამიანების თანაგრძნობას.

სასტიკი მოპყრობის თაობათაშორისი ციკლის მკურნალობა
სამწუხაროდ, ზოგიერთ ოჯახში ძალადობა ცხოვრების წესია: მშობლები სასტიკად

ეპყრობიან თავიანთ შვილებს; ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, ასევე სასტიკად მოეპყრობიან მომავალში თავიანთ შვილებს, და ასე, უსასრულოდ.[34]

თაობიდან თაობაში ძალადობის ეს გამეორება საკმაოდ ხშირია. თუმცა, როგორც კვლევები აჩვენებენ, ამგვარი ურთიერთკავშირი გარდაუვალობა არ არის. ძალადობის ბევრი მსხვერპლი არ გადაიქცევა მოძალადედ ზრდასრულ ასაკში, ხოლო ბევრი მოძალადე არასდროს ყოფილა მსხვერპლი ბავშვობაში. საჭიროა თერაპიული ალტერნატივის მოძიება მთელი ოჯახისათვის, მათ შორის, მოძალადე მშობლებისთვისაც.

გენოგრამა

გენოგრამა არის გენეალოგიური ხის გრაფიკული გამოსახულება, რომელშიც დეტალურად არის ასახული, სულ მცირე, სამი თაობის წარმომადგენელთა ურთიერთობები.

ის საშუალებას იძლევა, უფრო ადვილად გავიგოთ ოჯახის ისტორიაში ამა თუ იმ ნათესავის ქცევის თავისებურებები, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა ბავშვის ამჟამინდელ ფსიქიკურ მდგომარეობაზე. გენოგრამა, რომელიც რამდენიმე თაობის ოჯახურ ისტორიას მოიცავს, ბავშვს მასთან კავშირის დანახვასა და მასში საკუთარი ადგილის განსაზღვრაში ეხმარება.

ხატვა

ისევე, როგორც მეტყველება და თამაში, ხატვა ბავშვისთვის ურთიერთობის საშუალებაა. ნახატში ბავშვი გამოხატავს სამყაროს მისეულ ხედვას. საჭიროა მხოლოდ, რომ ის კი არ ვარკვიოთ, თუ რა არის დახატული, არამედ უნდა გავაანალიზოთ, - რის თქმა სურს ამით ბავშვს. ნახატის ინტერპრეტირებისათვის, პირველ რიგში, მისი „წაკითხვა“ და ვერბალურ ენაზე თარგმნა უნდა შეგვეძლოს. ამისათვის მნიშვნელოვანია გამოსახული საგნების კავშირის გათვალისწინება მათ სიმბოლურ მნიშვნელობებთან.[35]

ნახატი პიროვნების სარკეა. ბავშვი სპონტანურად ხატავს იმას, რაც მისთვის მნიშვნელოვანია, დადებითი იქნება ეს თუ უარყოფითი. თუმცა, მხოლოდ ნახატი დასკვნის გამოტანის საფუძველი ვერ იქნება, საჭიროა მისი გაანალიზება ბავშვთან და მის ოჯახთან დაკავშირებით მიღებული სხვა ინფორმაციის კონტექსტში.

ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის ფარგლებში, მასზე პასუხისმგებელი სპეციალისტები უნდა დარწმუნდნენ, რომ ბავშვთან ადეკვატური თერაპიული მუშაობა ტარდება. ამისათვის ორგანიზაციას შეუძლია გარე წყაროებსა და რესურსებზე დაყრდნობა, სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რათა ბავშვმა ეფექტური დახმარება მიიღოს.

ეს შესაძლებლობა გაწერილი უნდა იყოს ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის დოკუმენტში.

---

[34] BARUDY, J., L'approche systémique de la maltraitance d'enfants. http://www.cfwb.be/maltraitance

[35] JONCKHEERE, S., eqimi da fsiqologi, Centre SOS Enfants de l'ULB-CHU Saint-Pierre–rue Haute 322 in 1000 Brussels.

ბარათი 11: ბავშვის მონაწილეობა ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკაში

ბავშვების მონაწილეობა არის ბავშვის უფლება, გამოთქვას მოსაზრება მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, და რაც მთავარია, მის მოსაზრებას მოუსმინონ, იქნება ეს სახლი, სკოლა, სოფელი თუ უბანი, ასევე - მის ინტერესებთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული პროცედურა.

მონაწილეობა გაეროს კონვენციის ოთხ ძირითად პრინციპთაგან ერთ-ერთია. კერძოდ, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლი განსაზღვრავს ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება.

მონაწილეობა არა მხოლოდ ფუნდამენტური უფლებაა, არამედ ბავშვის უკეთესი დაცვის საშუალებაც, რადგან მისი წყალობით ხდება:

- ბავშვების მოზიდვა ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესებში. ამგვარად, თქვენი ორგანიზაცია დარწმუნებული იქნება, რომ პოლიტიკა და შემუშავებული პროცედურები სათანადო და ეფექტური იქნება;
- ბავშვების მიერ სპეციფიკური ცოდნისა და უნარების შეძენა იმისათვის, რომ მათ თავად შეძლონ დაიცვან თავი ძალადობისგან.

ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის განხორციელებისას გამოვლინდა ბავშვების მონაწილეობის ოთხი ასპექტი:

1) ბავშვების აზრის გათვალისწინება საკვანძო დოკუმენტების ერთობლივი შემუშავებისას;
2) ინტერაქტიური პრევენცია;
3) ბავშვები, როგორც დაცვის აქტიური მონაწილეები;
4) ბავშვების პოსტ-ფაქტუმ მონაწილეობა.

ბავშვების მონაწილეობა მრავალგვარი ფორმის შეიძლება იყოს. მომდევნო ნაწილებში რამდენიმე იდეა იქნება განხილული. თუმცა, რასაკვირველია, ორგანიზაციამ, თავისი ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის ფარგლებში, თვითონ უნდა განსაზღვროს ბავშვების მონაწილეობის შესაბამისი ფორმები და ისიც, თუ როგორ განხორციელდება ეს.

1. ბავშვების აზრის გათვალისწინება საკვანძო დოკუმენტების ერთობლივი შემუშავებისას

ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში, დანერგვასა და მონიტორინგში ბავშვების ჩართულობის გაზრდა:

ა) ბავშვებთან ერთად შეიმუშავეთ ქარტია, რომელიც შეიცავს დაწესებულების შიგნით არსებული გარემოს დამარეგულირებელ პრინციპებსა და ღირებულებებს;

ბ) ბავშვებთან ერთად შეიმუშავეთ დაწესებულების შინაგანაწესი;

გ) ბავშვებთან ერთად შეიმუშავეთ ეთიკის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ბავშვების დაცვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პროცედურებს;

დ) ბავშვებთან ერთად შეადგინეთ ცხრილი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება ძალადობის ფორმები (შეურაცხყოფა, ცემა, სექსუალური ძალადობა, დევნა, დამცირება და სხვა), ძალადობის პოტენციური ავტორები (მეგობარი, მასწავლებელი, მშობელი, მეზობელი, სოციალური მუშაკი და სხვა) და რეაგირების ნაირსახეობები (გაფრთხილება, გამოსასწორებელი ღონისძიებები, დათხოვნა, სასამართლოში გადაცემა და ასე შემდეგ);

ე) ბავშვებთან ერთად შეადგინეთ დაწესებულებაში მომუშავე ბავშვისთვის სანდო ადამიანებისა და სხვა რეფერენტული პირების სია, ვისაც ბავშვი შეძლებს მიმართოს ძალადობის შემთხვევაში.

2. ინტერაქციური პრევენცია

ბავშვებისათვის უსაფრთხო და ღირსეულ მოპყრობაზე დაფუძნებული გარემოს შექმნა აგრეთვე გულისხმობს მათი უნარ-შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

ბავშვებმა არამხოლოდ მონაწილეობა უნდა მიიღონ ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაში, არამედ მათ საკმარისი უნარ-ჩვევებიც უნდა გააჩნდეთ იმისთვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში მათი გამოყენებაც შეეძლოთ.

ბავშვების ინტერაქციური მონაწილეობის უამრავი პროგრამა არსებობს,[36] მაგრამ ყველა ისინი ეფუძნება ხუთ ძირითად უნარს:

ა) გაცნობიერება: გაგება იმისა, რა არის ძალადობა და მისი მიზეზები, ძალადობის აქტების იდენტიფიცირების უნარი, აგრეთვე - საკუთარი აგრესიული ქცევის დანახვის უნარი;

ბ) იდენტიფიცირება: რისკის შემცველი ან სახიფათო სიტუაციების იდენტიფიცირების უნარი;

გ) წინააღმდეგობის გაწევა/გამკლავება: რისკის შემცველ სიტუაციებში სათანადო შეწინააღმდეგების და გამკლავების უნარი („არა“-ს თქმა, თანატოლთა და მოზრდილთა ზეწოლისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ძალადობაზე მშვიდობიანი მეთოდებით რეაგირება, თვითკონტროლი, მიზანდასახულობა, გაბედულება და სხვა);

დ) რეაგირება: ცოდნა იმისა, თუ ვის უნდა მიმართონ ძალადობის შემთხვევაში, ძალადობის გაგრძელების დაუშვებლობა;

[36] *Prévenir la maltraitance et l'abus sexuel à l'encontre des enfants, Bonnes pratiques de prévention et recommandations,* BICE, Bruxelles, 2013.

ე) მხარდაჭერა: სხვათა გრძნობების გაგების უნარი, ემპათიის გამოვლენა.

ინტერაქციური პრევენციის ეს პროგრამები უნდა იყოს გასართობი ხასიათის, დაფუძნებული როლურ თამაშებზე, სიმულაციებზე და ხელს უწყობდეს ბავშვების რეალურ მონაწილეობას. ამას გარდა, ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების სენსიტიურობის გამო, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პრევენციული სესიები არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენდნენ შფოთვის წყაროს. მათ ყოველთვის პოზიტიური დატვირთვა უნდა ჰქონდეთ და ამასთანავე, ბავშვს უნდა აქცევდნენ პრევენციის აქტიურ შემოქმედად.

3. ბავშვი, როგორც დაცვის აქტიური მონაწილე

იმისათვის, რომ ბავშვი დაცვის აქტიური მონაწილე გახდეს, აუცილებელია, რომ ყურადღება მიექცეს ინფორმაციის სათანადოდ გავრცელებას და სხვადასხვა პროცედურებს:

- ბავშვების ინფორმირება სხვადასხვა პროცედურების შესახებ;
- რეგულარული შემოწმება იმისა, თუ რამდენად კარგად იციან ბავშვებმა წესები, ეთიკის კოდექსი, აგრეთვე - სასტიკი მოპყრობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების შიდა პროცედურები;
- ბავშვებსა და ზრდასრულ რეფერენტებს შორის პოზიტიური და კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარების უზრუნველყოფა;
- ბავშვებისათვის მოსახერხებელი შეტყობინების მექანიზმის დანერგვა (განცხადების გამარტივებული ფორმები, „სოფოსტო ყუთები“ სადაც ბავშვებს შეეძლებათ შეტ-ყობინების გაკეთება დირექტორისთვის ან დაცვის კომისიისთვის და სხვა).

4. ბავშვების პოსტ-ფაქტუმ მონაწილეობა

დადასტურებული ან სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დაზარალე-ბული ბავშვის აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა ყველა პროცედურასა და გადაწყვეტილების მიღებაში, რომლებიც მის ინტერესებს შეეხება. ხშირად სწორედ ყველაზე მძიმე მომენტებში, თითქოსდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინა-რე, მას საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება ერთმევა. ბავშვის აზ-რის მოსმენა და გათვალისწინება მნიშვნელოვანია.

ეს შეეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც ძალადობის აქტს ბავშვი სჩადის თანატოლის მიმართ: მას ასვე უნდა ჰქონდეს აქტიური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, მათ შორის, ზარალის ანაზღაურებაშიც.

ეს ოთხი ელემენტი: ბავშვების აზრის გათვალისწინება საკვანძო დოკუმენტების ერთობლივი შემუშავებისას, ინტერაქტიური პრევენცია, ბავშვები, როგორც დაცვის აქტიური მონაწილეები და ბავშვების პოსტ-ფაქტუმ მონაწილეობა - შესაძლებელია,

ბარათი 11

ჩართული იყოს ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკაში. ოღონდ, უწინარესად, აუცილებელია ბავშვებთან გასაუბრება იმის გასარკვევად, თუ კიდევ როგორ შეუძლიათ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ პოლიტიკის გატარებაში.

ბავშვების ეფექტური მონაწილეობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომლებიც სპეციალისტებმა თანდათანობით უნდა გააძლიერონ (აღმზრდელთა პროფესიონალიზმი, ბავშვების მოტივაცია, მეცადინეობების ჩატარება და სხვა). ამიტომაც თანამშრომლებმა მუდმივად უნდა იზრუნონ საკუთარი ცოდნის გაღრმავებაზე ბავშვების მართლაცდა ეფექტური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.[37]

[37] რეკომენდირებულია ბიბლიოგრაფიაში მითითებული წიგნების წაკითხვა, რომლებიც ბავშვის ჩართულობას შეეხება

ბარათი 12: ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის დანერგვისას წამოჭრილი ძირითადი სირთულეები

ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის დანერგვა ახალ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. აუცილებელია მათ შესახებ ცოდნა და მზაობა. მოცემულ ბარათში საუბარია იმ ოთხი ძირითადი წინაღობის შესახებ, რომლებმაც, შესაძლოა, შეამცირონ შიდა პოლიტიკის ეფექტურობა:

1. ცვლილებებისათვის წინააღმდეგობის გაწევა;
2. სასტიკი მოპყრობის უარყოფა;
3. დაწესებულების რეპუტაციის შესაძლო შელახვის შიში;
4. სოციალური მუშაკებისათვის დამატებითი ემოციური დატვირთვა ძალადობის ფაქ-ფაქტების გამოვლენისას.

1. ცვლილებებისათვის წინააღმდეგობის გაწევა

ცვლილებებისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეიძლება განიმარტოს, როგორც „ცვლილებებისადმი ღიად ან ფარულად გამოხატული დაცვითი რეაქცია“ , ან როგორც „აქტიურ ან პასიურ, კოლექტიურ ან ინდივიდუალურ ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც ხელს უშლის ცვლილებებს“ .

ინდუსტრიულ და ორგანიზაციულ ფსიქოლოგიაში ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა ბუნებრივ ფენომენად განიხილება და თანამშრომლის საკუთარ თავში დაურწმუნებ-ლობითა და უსაფრთხოების განცდის დაკარგვით აიხსნება.
ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის ნაირსახეობებს, რისკებსა და სტრატეგიებს ასახავს, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია წინააღმდეგობის დასაძლევად და ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის ეფექტურად დანერგვის უზრუნველსაყოფად.

[38] COLERETTE, P., Le changement organisationnel, Presse Université Québec, 1997.
[39] BAREIL, C., La résistance au changement: synthèse et critique des écrits, Montréal, 2004

ბარათი 12

წინააღმდეგობის ტიპი	რისკი	სტრატეგია
თანამშრომელი ვერ გრძნობს თავის თანამონაწილეობას ბავშვის დაცვის ახალ პოლიტიკაში	ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა ყველა თანამშრომლის მიერ თანაბრად არ არის გაზიარებული/ მიღებული	პროცესის დასაწყისშივე, სრული პერსონალის ჩართვა და ყველა შეკრებაზე მათი მონაწილეობის წახალისება (მათ შორის, (მძღოლების, დამლაგებლების, მზარეულების და სხვა). დარწმუნდით, რომ თითოეული მათგანი გრძნობს ბავშვის დაცვის ახალ პოლიტიკაში თავის მონაწილეობას და გააზრებული აქვს მისი საფუძვლიანობა.
თანამშრომელი გრძნობს, რომ მისი მუშაობა ეჭვქვეშ დგება: აქამდე ვერ ვახერხებდი ბავშვების დაცვას?“ „აღარ მენდობით, რომ მათ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა შემიძლია?“	აღიქმება, როგორც ნდობისა და აღიარების დეფიციტი, ცვლილებები უკუგდებულია და დანახულია, როგორც უარყოფითი მოვლენა. რის შედეგადაც ბავშვის დაცვის პოლიტიკა ან ცუდად ხორციელდება, ან საერთოდ არ ხორციელდება.	აუცილებლობის შემთხვევაში, საჭიროა სპეციალისტთა ღირსებების ხაზგასმა, წახალისება და მხარდაჭერა მათთვის ახალი პროცესის ყველა ეტაპზე.
თანამშრომელი დაცვის პოლიტიკას მიიჩნევს შეუფერებლად, ზედმეტად რთულად და არარეალისტურად.	ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის დისკრედიტირება ხდება; ცინიკური ან კრიტიკული შენიშვნებით თანამშრომელი უარყოფით ზეგავლენას ახდენს თავის კოლეგებზე და საფრთხის ქვეშ აყენებს პროცედურების კორექტულ დაცვას.	ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის დანერგვაში სრული პერსონალის მონაწილეობის უზრუნველყოფა; ბავშვის დაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვის ინტერაქციური პროცესის ხელშეწყობა, მისი ჯეროვანი გამოყენების მიზნით.
თანამშრომელი შიშობს, რომ ახალი პროცედურები მის სამსახურეობრივ დატვირთვას გაზრდიან.	ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა აღიქმება, როგორც დამატებითი დატვირთვა, რომელიც ბევრ დროს წაართმევს. დროისა და მოტივაციის არქონის გამო, პროცედურების დაცვა არ ხდება.	ბავშვის დაცვის პოლიტიკის ინტერაქციური შემუშავების შემდეგ, მისი დანერგვის დაწყებისთანავე, ზრუნვა მთელი პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად; ეს პროცესი არ უნდა იყოს ერთჯერადი, არამედ განგრძობადი და უწყვეტი. თანამშრომლებს საშუალება მიეცეთ, ისაუბრონ სირთულეებისა და კონკრეტული შემთხვევების შესახებ ბავშვის დაცვის პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების პროცესში.

2. სასტიკი მოპყრობის უარყოფა

უარყოფა ნიშნავს ინდივიდუუმის მიერ რეალობის ნაწილის არარეალურად დანახვას. უარმყოფელი შეიძლება იყოს რაიმე მოვლენის უშუალო მსხვერპლი, ირიბი მოწმე ან თვითმხილველი.

ჩვეულებრივ, საუბარია ხანმოკლე, საშუალო ხანგრძლივობის ან დროში გახანგრძლივებულ დაბრმავებაზე, რომელიც ხელს უშლის ადამიანს, აღიაროს და შეაფასოს მოულოდნელი, შოკისმომგვრელი, მატრავმირებელი ან იმგვარი სისასტიკით გამორჩეული მოვლენა, რომ ის სინამდვილის ნაწილობრივ ან მთლიან შენიღბვას იწვევს.

თუმცა, ადამიანის შეხედულებები რეალობას არ ცვლის; არც უარყოფა ხდის სისასტიკეს არარსებულად. როდესაც ადამიანის მიერ რეალობის ერთი, თუნდაც დიდი ფრაგმენტის სრული უარყოფა და იგნორირება ხდება და ადამიანი ისე იქცევა, თითქოს ეს რეალობა არ არსებობს, ამ დროს მან კარგად იცის, რა მოხდა, მაგრამ მომხდარის სერიოზულობას ან ნამდვილობას არ ცნობს.

პროფესიონალთა მიერ სასტიკი მოპყრობის უარყოფის შემთხვევები საკმაოდ ხშირია.

ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებსაც კი უჭირთ იმის წარმოდგენა, რომ რომელიმე მათი ნაცნობი ბავშვი ძალადობის მსხვერპლია, განსაკუთრებით - სექსუალური ძალადობის. კიდევ უფრო რთულადაა საქმე, როცა ძალადობა ბავშვებთან მომუშავე დაწესებულებაში ხდება და მოძალადე კოლეგა, მეგობარი ან თანამშრომელია. ასეთ შემთხვევებში, სპეციალისტი, რომელიც შეტყობინებას იღებს, ინფორმაციას საერთოდ ვერ აღიქვამს, მომხდარის უარყოფას ახდენს, ბავშვს ვერ იცავს და მის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს: ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა პრაქტიკულად განუხორციელებელი ხდება.

ამ საფრთხესთან გასამკლავებლად, აუცილებელია ბავშვის დაცვის პოლიტიკაში კონკრეტული ელემენტების ჩართვა: სპეციალისტებმა უნდა იცოდნენ უარყოფის ფენომენის შესახებ და მეტნაკლებად მომზადებულნი უნდა იყვნენ ამისათვის (იქნება ეს ტრენინგები ბავშვთა დაცვის პოლიტიკის საკითხებზე თუ რამე სხვა); გადაწყვეტილების მიმღები უნდა იყოს არა ცალკე აღებული ადამიანი, არამედ სპეციალისტთა მულტიდისციპლინარული ჯგუფი. უნდა არსებობდეს სადისკუსიო და მხარდამჭერი ჯგუფებიც. ამ ყველაფრის წყალობით, თანამშრომლები ეჭვებსა და სირთულეებს უფრო ადვილად გაუმკლავდებიან.

3. დაწესებულების რეპუტაციის შესაძლო შელახვის შიში

დაწესებულაბაში სავარაუდო ან დადასტურებული ძალადობის შემთხვევები მის რეპუტაციას ბღალავს. დაწესებულება აღარ არის უსაფრთხო, იკარგება ნდობა. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დადასტურებული ან სავარაუდო ძალადობის შემთხვევა ეჭვქვეშ აყენებს თავად დაწესებულების არსებობას. სწორედ ამ ყველაფრის გამო, ამგვარი შემთხვევების მიჩქმალვის ტენდენცია ხშირად პრევალირებს ბავშვის საუკეთესო

ინტერესების დაცვაზე. ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა არ უნდა ითვალისწინებდეს დაწესებულების რეპუტაციასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. შესაბამისი დაწესებულების დირექციისა და თანამშრომლებისათვის ყოველთვის პრიორიტეტული უნდა იყოს ბავშვთა დაცვის უზრუნველყოფა, და არა ლაქა მოცემული ორგანიზაციის რეპუტაციაზე. თითოეული მათგანი, პირველ რიგში, უნდა ზრუნავდეს ბავშვზე და არა იმიჯზე. აქ ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ისეთი ცნებები, როგორიცაა „მთავარი მოქმედი პირების კონფიდენციალურობის დაცვა“ და „ხელის დაფარება“. მაშინაც კი, როცა სასტიკი მოპყრობის შესახებ შეტყობინება თავდაპირველად შეიძლება უარყოფითად აისახოს ორგანიზაციის რეპუტაციაზე, შემდგომში მისი რეპუტაცია აღდგება, რადგანაც ის კვლავ ჩაითვლება სანდო დაწესებულებად, რომლისთვისაც ბავშვების უსაფრთხოება და ინტერესები უპირველესია.

4. სოციალური მუშაკებისათვის დამატებითი ემოციური დატვირთვა ძალადობის ფაქტების გამოვლენისას

ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის, უგულებელყოფისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევებთან შეჯახება, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დაწესებულებაში ბავშვების მოხვედრამდე ან დაწესებულებაში ყოფნისას, ემოციურად ძალზე მძიმედ განიცდება. ემოციური გადაწვის თავიდან ასაცილებლად, როგორც ბავშვისთვის, ისე სპეციალისტისთვის მნიშვნელოვანია აუცილებელი ჯანსაღი და უსაფრთხო დისტანციის დაცვა. ამისათვის საჭიროა კონკრეტული ღონისძიებების გატარება, რომ-ლებიც ყველა თანამშრომლის პროფესიულ კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

არსებობს მრავალრიცხოვანი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა ფარგლებში სპეციალისტები სწავლობენ საკუთარ სტრესთან გამკლავებას და საკუთარი ემოციების მართვას: ძალზე სასარგებლო იქნება, თუკი დაწესებულების ხელმძღვანელობა მის თანამშრომლებს ამგვარ პროგრამებში მონაწილეობის საშუალებას მისცემს, უმჯობესია, თუ ეს ჯგუფურად მოხდება, ამ ორგანიზაციის შიგნით.

პარალელურად, თავად სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისათვის აუცილებე-ლია, მიიღონ სპეციალისტთა მხარდაჭერა, რომლებსაც ისინი გაუზიარებენ თავიანთ ყოველდღიურ სიძნელეებს. შესაძლებელია დაწესებულებაში სპეციალური, დისკუსიური შიდა ჯგუფების შექმნა, ამ მეტად სპეციფიკური ემოციური სირთულეების განხილვის მიზნით. ასევე შესაძლოა, რომ დაწესებულების ხელმძღვანელობამ მოწვეულ ექსპერტს მიმართოს დახმარებისა და სუპერვიზიის რეგულარული ჩატარებისათვის.

ბარათი 13: ბავშვის დაცვის პოლიტიკის გავრცელება

ვალდებულებები

თუ ორგანიზაცია თანამშრომლობს ბავშვებთან მომუშავე პარტნიორებთან (თავშესაფრები, დღის ცენტრები, საბავშვო ბაღები, საგანმანათლებლო ცენტრები და სხვა), ამ პარტნიორებს უნდა გააჩნდეთ ბავშვთა დაცვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც თანხმობაში უნდა იყოს ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკასთან.

რატომ არის საჭირო ბავშვის დაცვის პოლიტიკის პრინციპების გავრცელება?

ნებისმიერ სხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობისას, ორგანიზაციის მოვალეობაა დარწმუნდეს იმაში, რომ მისი პარტნიორები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან ბავშვთა დაცვის პრობლემას და ყველაფერს აკეთებენ, რომ ბავშვი ყოველთვის მეგობრულ გარემოში იმყოფებოდეს. ბავშვის დაცვის პოლიტიკა პარტნიორებისთვის თავსმოხველი არ უნდა იყოს, მაგრამ ის მკაფიოდ უნდა იყოს აღნიშნული, როგორც თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ასპექტი.

საერთო სივრცის შექმნა ბავშთა დაცვის სფეროში

ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკაზე მუშაობა საშუალებას იძლევა, შეიქმნას ბავშვებზე ორიენტირებული საერთო სივრცე. პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპების ცოდნა და დაცვა ყველა იმ პირის მიერ, ვინც ბავშვთა დაცვაზეა მიმართული (იქნება ეს სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, ტრადიციული ლიდერები, თემი თუ ოჯახი), სასტიკი მოპყრობის ეფექტური პრევენციის, ასეთ შემთხვევებზე უკეთ მუშაობისა და მათი რიცხვის შემცირების საშუალებას იძლევა.

თქვენს რეგიონში მთავარი დაინტერესებული პირების დადგენა ამ პოლიტიკის გასავრცელებლად

თქვენ შეგიძლიათ დაადგინოთ სხვადასხვა დონის უამრავი ორგანიზაცია, რათა გაავრცელოთ ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა.

გავრცელების საშუალებები

ტრენინგები, ბლოგები, ცოდნის ფესტივალები, ინტერნეტი, საინფორმაციო ბიულეტენები, ადგილობრივი რადიოსადგურები, ვიდეოები, ვებსაიტები და სხვა.

რჩევები გავრცელებასთან დაკავშირებით:

- უკვე არსებულ ქსელებზე დაყრდნობა;
- პროფილის მიხედვით ერთმანეთის შემავსებელი პარტნიორი ორგანიზაციების შერჩევა;
- სუბიექტების განვითარების დონის გათვალისწინება, რომლებიც თქვენ გავრცელებისთვის შეარჩიეთ.

ბარათი 14: ბავშვის დაცვის პოლიტიკის შეფასების რატარება

ბავშვის დაცვის პოლიტიკის შეფასების მიზანია, ხელი შეუწყოს ბავშვებისა და მათი ოჯახების დაცვისა და მხარდაჭერის სრულფასოვანი, ეფექტური, კარგად სტრუქტურირებული და საკმარისი დაფინანსების მიმღები სისტემის შექმნას. შეფასების ინსტრუმენტები უნდა დახმაროს ორგანიზაციებს, მოახდინონ სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება, განსაზღვრონ ქმედებების პრიორიტეტულობა და ამის მიხედვით დაგეგმონ მუშაობა.

შეფასების პროცესის მოსალოდნელი შედეგები

- გამოვლენილია ძირითადი რისკები ბავშვის დაცვის სფეროში, ორგანიზაციისა და ბავშვებთან მომუშავე პარტნიორი ორგანიზაციების შიგნით;
- ჩატარებულია ბავშვთა დაცვის არსებული სისტემის (ფორმალური და არაფორმალური) შესაძლებლობების ანალიზი;
- გამოვლენილია არსებული შესაძლებლობები, რომელთა მეშვეობით მოხდება ბავშვის დაცვის პოლიტიკის გაუმჯობესება და სრულყოფა.

ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შეფასების ეფექტურობის გასაზრდელად, ყველაზე დიდი გამოწვევაა ამ პოლიტიკის განმახორციელებელი ადამიანებისა და ორგანიზაციების ჩართვა შეფასების პროცესში.

თითოეულმა ორგანიზაციამ თავად უნდა განსაზღვროს შეფასებისადმი მისი მიდგომა.

შეფასების პროცესისადმი ერთ-ერთი შესაძლო მიდგომა

- **მოსამზადებელი პერიოდი:** ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის განმახორციელებელი პირებისა და ორგანიზაციების პირველი შეხვედრა.

- **საორიენტაციო სესია:** შეფასების მიზნების, შინაარსისა და პროცესის განმარტება.

- **შეფასების შკალის შემუშავება:** ეს არის შეფასების გადამწყვეტი ეტაპი. აღნიშნული შკალა უნდა იყოს ზუსტი, ხოლო შეფასების ჩატარება - რეალისტური.

- **შეფასების ინსტრუმენტები:** შეფასების ჩატარება სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა კითხვარები, ფოკუს-ჯგუფები, ინტერვიუ, აუდიტი, დაკვირვება და ასე შემდეგ. შეფასების ინსტრუმენტის რაობაცა და რაოდენობაც დამოკიდებულია ორგანიზაციას ადამიანურ და ფინანსურ რესურსებზე.

- **შედეგების შეჯამება:** შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ, მისი შედეგების შეჯამება და ანალიზი.

- **განხილვა/გადახედვა/დაგეგმვა:** შედეგების შემაჯამებელი განხილვა, პოლიტიკის სრულყოფის სტრატეგიის შემუშავება, ქმედებათა კალენდარული გეგმა.

---

[40] UNICEF, Carte et outils d'évaluation pour l'analyse d'un système de protection de l'enfance, http://www.unicef.org/french/protection/index_54229.html

ბავშვებისა და მათი ოჯახების ჩართულობა

ბავშვის დაცვის პოლიტიკის შეფასების პროცესში ბავშვებისა და მათი ოჯახების ჩართვა ძალზედ მნიშვნელოვანია. რაც მთავარია, ეს ჩართულობა არ უნდა იყოს უბრალო ფორმალობა. მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა ეტაპზე: დაგეგმვაში, მონაცემთა შეგროვებაში, რეკომენდაციების შემუშავებაში, შემაჯამებელი ანგარიშის შედგენაში. ამისათვის მათ უნდა გაიარონ სათანადო მომზადება, დაესწრონ სპეციალურ კურსებს/ ტრენინგებს შეფასების საკითხებზე, რათა შეძლონ თავიანთი შეხედულებების უფრო თამამად გამოხატვა და მათ აზრს მეტი წონა ჰქონდეს. შეფასების პროცესში მათი ჩართულობის გაზრდის სტრატეგია შეიძლება ორიენტირებული იყოს „ფოკუს-ჯგუფების შექმნასა და მუშა ჯგუფში მათ ჩართვაზე.

შეფასების ჩატარების სიხშირე

რეკომენდირებულია შეფასების პერიოდულად ჩატარება, მაგალითად, ბავშვის დაცვის პოლიტიკის დანერგის პირველ სამ წელიწადში ყოველწლიურად, შემდეგ - ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის მონიტორინგი

ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის მონიტორინგის ერთჯერადი მონიტორინგი ასევე მნიშვნელოვანია, მაგრამ ორგანიზაციის შიგნით და პარტნიორ ორგანიზაციებში უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად საკმარისი არ არის.

ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის ეფექტური დანერგვისათვის საჭიროა პროცესის მიმდინარეობაზე მუდმივი მონიტორინგის ინიცირება.

მონიტორინგი გულისხმობს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვების დაცვის დონის მაჩვენებელ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მუდმივ პროცესს. ეს პროცესი მოიცავს ორგანიზაციის შიგნით და პარტნიორ ორგანიზაციებში ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის ყველა შემთხვევის რეგისტრაციას, ასევე, მას თან უნდა ახლდეს ადეკვატური რეაგირება ძალადობის შემთხვევაში ან ძალადობის რისკის შემთხვევაში.

მონიტორინგის მსვლელობისას მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენება იმის გადასაწ-ყვეტად, არის თუ არა პოლიტიკასა და დადგენილ პროცედურებში ცვლილებების შეტანის ან მათი გადახედვის აუცილებლობა. კონტროლის ეფექტური სისტემა უნდა მოიცავდეს როგორც ბავშვის დაცვის პოლიტიკის ყოველდღიურ მონიტორინგს, მისი შედეგების შეფასებას გრძელვადიან პერიოდში.

ბარათი 15: ბავშვის დაცვის პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა

სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში ჩვენ წარმოგიდგინეთ ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის ზოგიერთი სტანდარტი.

ქვემოთ ჩამოთვლილია 10 მინიმალური სტანდარტი, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ბავშვის დაცვის ეფექტური შიდა პოლიტიკა:

1. ღირსეული მოპყრობის საყოველთაოდ მიღებული კულტურა, რომელიც დაფუძნებულია უნივერსალურ ნორმატიულ ბაზაზე და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფაზე;
2. ბავშვებისა და მათი გარემოცვის აქტიური მონაწილეობა;
3. ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული საკადრო პოლიტიკა;
4. სპეციალისტები, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს სასტიკი მოპყრობისა და სექსუალური ძალადობის საკითხებში;
5. მუდმივი პრევენციული ღონისძიებები ბავშვებისათვის, მათი გარემოცვისათვის და სპეციალისტებისათვის;
6. მკაფიო და ყველასთვის ცნობილი შიდა პროცედურები;
7. მკაფიო და ყველასთვის ცნობილი ეთიკური კოდექსი;
8. აქტიური მულტიდიციისპლინარული და შიდა ინსტანციები;
9. სასტიკი მოპყრობის შემთხვევის შესახებ კანონით გათვალისწინებული შეტყობინების პროცედურის დაცვა;
10. სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში, ბავშვისათვის მულტიდისციპლინარული მხარდაჭერის აღმოჩენა.

ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის დანერგვა დიდად არის დამოკიდებული ორგანიზაციის არსზე, პროფილსა და სპეციფიკაზე. შეუძლებელია, რომ ბავშვის დაცვის ეფექტური პოლიტიკა იყოს უნივერსალური. სწორედ ამიტომ ესოდენ მნიშვნელოვანია მისი შემუშავება დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე.

ამგვარად, ბავშვის დაცვის ეფექტური პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელია:

- ბავშვის დაცვის არსებული პოლიტიკის გაანალიზება, ან, თუ ასეთი რამ ჯერ არ არსებობს, ორგანიზაციაში არსებული ბავშვთა დაცვის ფორმალური ან არაფორმალური ფორმების იდენტიფიცირება;

- ზემოთ ჩამოთვლილ სტანდარტებთან მიმართებაში, სუსტი ადგილების გამოვლენა და ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკაში მათი ჩართვის შესაძლებლობა;

- რეალისტური სამოქმედო გეგმის შედგენა ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვისათვის, ყველა თანამშრომლის ჩართულობისა და აგრეთვე ამ პოლიტიკის გავრცელებისა და შეფასების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

პრაქტიკული ნაწილი

ერთობლივი მუშაობა
ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკაზე

პრაქტიკული ნაწილი
ერთობლივი მუშაობა ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკაზე

ბარათი 1: ერთობლივი მუშაობა თემაზე - ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის მიზნები

მიზანი: ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა.

პროცედურა:

- ბავშვის დაცვის პოლიტიკის მიზნების შესახებ ხუთი ადამიანისაგან შემდგარ ჯგუფებში იდეების გაცვლა, ორგანიზაციის შიდა პოლიტიკის სამი ძირითადი მიზნის არჩევა. არჩეულ მიზნებს მხარს უნდა უჭერდეს უმრავლესობა. შემდეგ ჩამოწერეთ მიზნები ფურცელზე.

- თითოეული ჯგუფის მიერ მომზადებული ფურცლების წარდგენა, მსგავსი მიზნების დაჯგუფება, გაითვალისწინეთ ნიუანსური განსხვავებები.

- გამოჰყავით დროს განმარტებებისათვის და დებატებისათვის. დატოვეთ მხარდაჭერილი მიზნები

დრო: 15 წუთი

ბარათი 2: ერთობლივი მუშაობა თემაზე - უფლება, სიცოცხლისუნარიანობა და სულიერება

მიზანი: „სახლის“ მყარ საძირკველზე აგება. იმ მიდგომათა მნიშვნელობის გაგება, რომლებიც ბავშვს ქმედებათა ცენტრში აყენებს და ბავშვისავე დაცვისა და განვითარების აქტიურ მონაწილედ აქცევს.

პროცედურა:

ა. შესავლის სახით BICE -ს მიდგომების წარდგენა

ბ. მონაწილეებისათვის შეთავაზება, ინვიდუალურად ან მცირე ჯგუფებში პასუხი გასცენ შემდეგ კითხვებს:

- ჩამოთვლილი მიდგომებიდან არის რომელიმე, რომელსაც თქვენი ორგანიზაცია უპირატესობას ანიჭებს?
- რომელი მიდგომები აირჩია თქვენმა ორგანიზაციამ, მისთვის ბავშვთა დაცვის საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე?
- როგორ ხედავს თქვენი ორგანიზაცია ბავშვის როლს საკუთარი განვითარებისა და კეთილდღეობისკენ სწრაფვის პროცესში?

ც. მიღებულა პასუხებსა და CRC-ზე დაყრდნობით, მცირე ჯგუფებში, აღწერეთ მიდგომა, რომელიც „იდეალური იქნებოდა“ თქვენი ორგანიზაციისათვის (მიდგომა უნდა იყოს პლასტიური და ჯგუფურად მუშაობის პროცესში ახალი იდეების გაჩენის შემთხვევაში, ცვალებადი)

დ. ყოველი ჯგუფური ნამუშევრის წარდგენა. კითხვები, პასუხები, გადახედვის გზები და/ან მიდგომათა შეცვლა ინდივიდუალურ დონეზე და თითოეული ორგანიზაციის დონეზე.

დრო: 45 წუთი

ბარათი 3: ერთობლივი მუშაობა თემაზე - სასტიკი მოპყრობის განსაზღვრა

მიზანი: სასტიკი მოპყრობის შეთანხმებული განმარტების მიღება (სასტიკი მოპყრობის ნაკლებად აშკარა ფორმების გათვალისწინებით)

პროცედურა:

ა) სავარჯიშო 1:

- სასტიკი მოპყრობის ზოგადი განმარტების ერთობლივი შემუშავება, მონაწილეთა მიერ მოწოდებული საკვანძო სიტყვების გამოყენებით.
- თითოეულმა მონაწილემ, სასტიკი მოპყრობის განსამარტად, უნდა დაწეროს ექვსი სიტყვა.
- მოწოდებული სიტყვების განხილვა ჯგუფში და მათგან ექვსი ყველაზე მისაღების არჩევა.
- ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში, მონაწილეებმა უნდა დაწერონ სასტიკი მოპყრობის თავიანთი განმარტება.

ბ) სავარჯიშო 2

სთხოვეთ მონაწილეებს, მოყვნენ სასტიკი მოპყრობის შემთხვევის შესახებ მათი სამუშაო ან პირადი გამოცდილებიდან, რომელიც აქამდე არ არის ყველას მიერ მიჩნეული სასტიკ მოპყრობად (ამბავი უნდა იყოს მოკლე და გასაგები). დააკვირდით, რამდენად თანხმდებიან მონაწილეები სასტიკი მოპყრობის რაობაზე.

დრო: 45 წუთი

ბარათი 4: ერთობლივი მუშაობა თემაზე - ღირსეული მოპყრობის ცნება

მიზანი: ღირსეული მოპყრობის განმარტება, პრაქტიკაში მისი დანერგვის გზები და კონკრეტული პროცედურები მისი შემდგომი დამკვიდრებისათვის

პროცედურა:

- რა არის ღირსეული მოპყრობა: კულტურა, ეთიკა, მიდგომა, მეთოდოლოგია?

პრაქტიკული ნაწილი ეროვნული მუშაობა ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკაზე

ჯგუფური ბრეინშტორმი

- როგორ გამოიხატება ღირსეული მოპყრობა პრაქტიკაში?
- ღირებულებებისა და ქმედებების დასახელება, რომლებიც ღირსეული მოპყრობის კულტურის ფორმირებას უწყობენ ხელს.

ჯერ - მცირეოდენი დრო ფიქრისათვის, შემდეგ - ჯგუფური ბრეინშტორმი: დაწერეთ ყველა ტერმინი ბარათზე ან დაფაზე (ფლიპჩარტზე). შეეცადეთ დაახარისხოთ საკვანძო ტერმინები კატეგორიების მიხედვით, მაგალითად, რომელი შეეხება გარემოცვას, რომელი - სპეციალისტებს, რომელი - ბავშვთა უფლებებს.

თანმიმდევრულობა	სამართლიანობა	მდგრადობა
თანასწორობა	ღიმილი	მოსმენის უნარი
გამხნევება	დიალოგი	ჩართულობა
თანამონაწილეობა	ზრუნვა	დაფასება
გაგება	იუმორი	შრომა
გაზიარება	სოლიდარობა	ადამიანური სითბო
თვითგამოხატვა	განვითარება	ნდობა
პატივისცემა	სიმართლე	და ასე შემდეგ

- რა კავშირია ღირსეული მოპყრობის დამკვიდრებასა და CRC-ის მიხედვით აღიარებულ ბავშვის უფლებებს შორის?
- სავარჯიშო: მცირე ჯგუფებში CRC-ის გამარტივებულ ვერსიაზე და ღირსეული ყრობის პრინციპებზე მუშაობა.
- ზემოთ წარმოდგენილ ცხოვრებისეულ უნარებთან მიმართებაში, თქვენი აზრით, კიდევ რის დამატება შეიძლება, რაც მშობლებს ან სპეციალისტს დაეხმარება ბავშვთან კონსტრუქციული და თბილი ურთიერთობების დამყარებაში?
- როგორც დაწესებულების, სამსახურის ან ბავშვთა ჯგუფის ხელმძღვანელი, რა კონკრეტულ ზომებს მიიღებდით ღირსეული მოპყრობის დანერგვისათვის და რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს? პერსონალის მართვის, გარემოცვის, პროცედურების, ბავშვებს შორის ან სპეციალისტებს შორის კონფლიქტების გადაჭრის დონეებზე?

მცირე ჯგუფებში მუშაობა, კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება ღირსეული მოპყრობის დანერგვისათვის სამსახურის, დაწესებულების ან რომელიმე ჯგუფის შიგნით. ამ სექციაში მუშაობის შედეგი შეიძლება იყოს დაწესებულების ღირსეული მოპყრობის ქარტიის პროექტი, რომელიც საერთო იქნება ბავშვებისა და სპეციალისტებისათვის.

დრო: 2 საათი

ბარათი 5: ერთობლივი მუშაობა თემაზე - იურიდიული საკითხები

წინაპირობა: ბლოკის წამყვანმა კარგად უნდა იცოდეს ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული ეროვნული საკანონმდებლო ნორმები; მან უნდა მოამზადოს დასარიგებელი მასალა, რომელშიც მოცემული იქნება ეროვნული კანონმდებლობის მუხლები, სადაც ასახულია CRC-ის სამი ფუნდამენტური პრინციპი (დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბავშვის ინტერესების საუკეთესო უზრუნველყოფა და ბავშვების მონაწილეობა).

მიზანი: საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული ნორმებისა და ძირითადი პრინციპების უკეთ გაცნობა, რომლებიც შეეხება ძალადობას, მათ შორის სექსუალურს და სექსუალურ ექსპლუატაციას ბავშვთა მიმართ.

პროცედურა:

- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო და ეროვნული ნორმების შედარება.
- მცირე ჯგუფებში მუშაობა მსგავსებებზე/განსხვავებებზე/სამართლებრივ ხარვეზებზე

გამოსაყენებელი მასალა: ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლები (დანართი 4). დოკუმენტები, რომლებიც შეეხება ეროვნულ ნორმებს ბავშვთა დაცვის სფეროში.

დრო: 30 წუთი

ბარათი 6: ერთობლივი მუშაობა თემაზე - ბავშვთა დაცვის პოლიტიკის კომპონენტები

მიზანი: ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის პრევენციის, შეტყობინებისა და რეაგირების პოლიტიკისა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრა.

პროცედურა:

- მცირე ჯგუფებში მუშაობა, ბავშვთა დაცვისა და სასტიკი მოპყრობის პრევენციის პოლიტიკის შემადგენელი კომპონენტების განსაზღვრისათვის.
- მცირე ჯგუფებში მუშაობა, დოკუმენტების ჩამონათვლის შესადგენად, რომელთა შემუშავებაც აუცილებელია ბავშვთა დაცვის ეფექტური პოლიტიკის მისაღებად.
- მცირე ჯგუფებში მუშაობა, ორგანიზაციის შიგნით ბავშვის დაცვის პოლიტიკის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის/ინსტანციის განსასაზღვრად.
- გაერთიანებულ ჯგუფში თითოეული ქვეჯგუფის მიერ მომზადებული ნამუშევრის წარდგენა., იდეების გაცვლა.

დრო: 2 საათი

ბარათი 7: ერთობლივი მუშაობა თემაზე - სიტუაციის შეფასება

მიზანი: სახიფათო სიტუაციების ნიშნების ამოცნობა

პროცედურა:

ა) სავარჯიშო 1:

- ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის ნიშნების ჩამოთვლა ბრეინშტორმის ფორმით.
- მოზარდების მიმართ სასტიკი მოპყრობის ნიშნების ჩამოთვლა ბრეინშტორმის ფორმით.

ბ) სავარჯიშო 2:

- რომელიმე მონაწილის მიერ წარმოდგენილ მაგალითზე დაყრდნობით, განიხილეთ შესაძლო ტყუილის აღმოჩენის სირთულე: შეახსენება იმისა, რომ გამოძიება უნდა აწარმოონ მხოლოდ შესაბამისმა ორგანოებმა და არასოდეს - ორგანიზაციის თანამშრომლებმა.

დრო: 45 წუთი

ბარათი 8: ერთობლივი მუშაობა თემაზე - არასრულწლოვნის აგრესიული ქცევის საპასუხო ღონისძიებები

მიზანი: თანატოლთა მიმართ ბავშვის ძალადობის გამოვლენა და მისი შეჩერების უნარი

პროცედურა:

1. უბრალოდ უხეში თამაში თუ ძალადობა?

განიხილეთ შემდეგი შემთხვევები იმისათვის, რომ ა) გაიგოთ, შეიძლება თუ არა, მონაწილეთა ქცევას ეწოდოს სასტიკი მოპყრობა; ბ) გადაწყვიტოთ, როგორი უნდა იყოს მოზრდილთა ჩარევა, თუ ეს აუცილებელია:

ა) გიორგი, 9 წლის, ხშირად რჩება მშიერი დიდი დასვენების დროს, რადგან მოზარდი ბიჭები მას ფულს/საჭმელს ართმევენ და ფიზიკური ძალის გამოყენებით ემუქრებიან. არის ეს ძალადობა?

თქვენ გიორგის კლასის დამრიგებელი/მასწავლებელი ხართ, რას მოიმოქმედებთ?

- არაფერს. ბიჭებმა თავის დაცვა უნდა ისწავლონ.
- ფულს/საკვებს ჩემს კაბინეტში შევუნახავ.
- გავესაუბრები მოზარდებს, და თუ საჭირო გახდება, მათ მშობლებს.
- პოლიციას გამოვიძახებ.

ბ) მარიამი, 7 წლის, იმყოფება თქვენს დღის ცენტრში სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისთვის. ერთხელაც ის გიმხელთ, რომ მასზე სექსუალურად იძალადა 13 წლის

ბიჭმა, რომელიც აგრეთვე დადის თქვენს დღის ცენტრში.

არის ეს ძალადობა?
რას მოიმოქმედებთ?

- არაფერს. ისინი არასრულწლოვანები არიან, მათ სექსუალურობის უფლება აქვთ.
- ისე გავაკეთებ, რომ ორივე ყოველთვის სხვადასხვა ჯგუფებში იყვნენ.
- იმ ბიჭს ჩვენი ცენტრიდან გავრიცხავ.
- ორივე ბავშვის მშობელს გამოვიძახებ და გავესაუბრები მომხდარის შესახებ.
- შესაბამის ინსტანციას მივმართავ.

გ) კლასში ორმა ახლო მეგობარმა გოგონამ იჩხუბა. ერთ-ერთმა მათგანმა მეორეს ზურგჩანთაზე „ძუკნა“ დააწერა.

არის ეს ძალადობა?
რას მოიმოქმედებთ?

- არაფერს, თუ, რა თქმა უნდა, სიტუაცია არ გამძაფრდება.
- დაველაპარაკები გოგონებს და მათ შერიგებაში დავეხმარები. ავუხსნი, რომ სხვანაირადაც, შეურაცხყოფის გარეშეც შეიძლება აზრის გამოხატვა.
- მშობლებს გამოვიძახებ.
- გოგონებს დირექტორთან წავიყვან.
- დავურეკავ პოლიციას.

2. რას ვაკეთებთ ორგანიზაციაში თანატოლთა მიმართ ბავშვის სასტიკი მოპყრობის პრევენციისათვის?
გვიამბეთ ფორმალური და არაფორმალური მეთოდების შესახებ.

3. რატომ მიგაჩნიათ რთულად თანატოლთა მიმართ ბავშვის სასტიკი მოპყრობის შესახებ შეტყობინება?
ჯგუფში განსაზღვრეთ მიზეზები და მათი გადაჭრის გზები.

შესაძლო პასუხების მაგალითები:
- ორგანიზაციის რეპუტაცია;
- მშობელთა უკმაყოფილება და ნდობის დაკარგვა;
- შედეგების არასათანადო შეფასება
- ბავშვებს შორის ძალადობის შედეგებისა და საფრთხეების არასათანადოდ შეფასება;
- და სხვა.

4. შეადგინეთ მარტივი წესები

დიახ	არა
თანატოლთა მიმართ ბავშვის სასტიკი მოპყრობის შესაძლებლობის გაცნობიერება	ბავშვებისათვის სექსუალური ხასიათის თამაშებში მონაწილეობის შესაძლებლობა
განსაკუთრებით მოწყვლადი ბავშვებისთვის დაცვის მექანიზმების შემუშავება	სხვადასხვა სქესის/ასაკის ბავშვების დატოვება სათამაშოდ მეთვალყურეობის გარეშე
...	...

დრო: 45 წუთი

ბარათი 9: ერთობლივი მუშაობა თემაზე - ადმინისტრაციული და სამართლებრივი პროცედურები

მიზანი: ადმინისტრაციულ და სამართლებრივ პროცედურებში თითოეულის როლისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა (მოქალაქეების, სპეციალისტების, ადმინისტრაციული სამსახურების, სამართალდამცავი ორგანოების) ადმინისტრაციულ და სამართლებრივ პროცედურებში.

პროცედურა:

1. შეტყობინების სისტემის სქემის შედგენა შემდეგი ნიმუშის მიხედვით - პრეზენტაცია ჯგუფში

ბავშვზე სავარაუდო ძალადობის შეტყობინების მოდელი საფრანგეთში: სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურები



2. მუშაობის ეს ეტაპი მოითხოვს წინასწარ მომზადებას ადგილობრივ იურისტთან ერთად:

ა) **წარადგინეთ** სქემა, რომელზეც ასახული იქნება პასუხისმგებელ პირთა როლები.
ბ) **გამოავლინეთ** სისტემის სუსტი და ძლიერი ადგილები.
ც) **შეეცადეთ მოიძიოთ**, რა ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ცვლილებები გახდის შეტყობინებას უფრო ეფექტურს.
დ) **შედეგი** შეიძლება იყოს ბავშვებზე მორგებული ადმინისტრაციული და სამართლებრივი სისტემების შექმნაზე მიმართული საქმიანობების მონახაზი.

მუშაობა შესაძლებელია, როგორ მთლიან ჯგუფთან, ასევე მცირე სამუშაო ჯგუფებშიც.

3. შემთხვევების შესწავლა

როგორც მოქალაქე
როდესაც ფანჯარა ღია გაქვთ, ხშირად გესმით ყვირილის ხმები მეზობელი სახლიდან. თქვენ ხვდებით, რომ ეს 3-დან 10 წლამდე ასაკის ორი ან სამი ბავშვის ხმებია. განსაკუთრებით ბევრს ყვირის დედა. ბავშვებიც ერთმანეთთან ყვირილით ურთიერთობენ. სიტყვების გარჩევა ძნელია, მაგრამ თქვენამდე ბევრი ყვირილი, შეურაცხყოფები, ძლიერი ტირილი აღწევს. თქვენ ასევე სხვა ხმებიც გესმით, რომლებიც, შესაძლოა, სილის გაწვნის ან დარტყმის ხმები იყოს, რასაც აუცილებლად მოსდევს ტირილი. მსგავსი რამ თითქმის ყოველდღიურად ხდება. იმ ადგილიდან, სადაც თქვენ იმყოფებით, მეტი არაფერი მოსჩანს და თქვენ ზუსტად არ იცით, რა ხდება.
რა უნდა გაკეთდეს?

როგორც სოციალური მუშაკი
თქვენს ორგანიზაციაში შემოვიდა ტანია. ძალიან მალე მას აღმოაჩნდა სექსუალური ძალადობის ნიშნები, რომელსაც, წინასწარი მონაცემებით, ის მამინაცვლისგან განიცდის.
რა უნდა გაკეთდეს?

ბავშვზე ზრუნვის თქვენს დაწესებულებაში ძალადობას ახორციელებს არასრულწლოვანი.
9 წლის თომა თქვენს დაწესებულებაში ექვსი თვის წინ მოვიდა, მას შემდეგ, რაც მისი მშობლები ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისათვის დააპატიმრეს. თომა მორცხვი, თავშეკავებული ბიჭია, თუმცა ის სულ უფროდა უფრო ხშირად ავლენს სექსუალურ ქცევას. ერთ დღეს, თქვენ თომა და 13 წლის თემო ერთად იპოვეთ ცალკე ოთახში; ორივენი შიშვლები იყვნენ

რა უნდა გაკეთდეს?

ბავშვზე ზრუნვის თქვენს დაწესებულებაში ძალადობას ახორციელებს თქვენი თანამშრომელი.
ბატონი დვალი თქვენი ორგანიზაციის ფსიქოლოგია ბოლო 2 წლის განმავლობაში. ის კარგი თანამშრომელია, არაკონფლიქტური, გუნდს კარგად მოერგო და ბავშვებსაც უყვართ.

პრაქტიკული ნაწილი ერთობლივი მუშაობა ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკაზე

14 წლის მარია, რომელიც თქვენს დაწესებულებაში ცხოვრობს, ერთ დღეს გიტყდებათ, რომ ბატონი დვალი მას ცუდი რაღაცების გაკეთებას სთხოვს და ამის ატანა უკვე აღარ შეუძლია.

რა უნდა გაკეთდეს?

მუშაობა მცირე ჯგუფებში; გაანალიზება იმისა, როგორ გამოიყენება სასტიკი მოპყრობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების პროცედურები, აგრეთვე - ორგანიზაციის შიდა რესურსები.

დრო: 1.5 საათი

ბარათი 10: ერთობლივი მუშაობა თემაზე - სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი ბავშვის თერაპიული დახმარება

მიზანი: სასტიკი მოპყრობის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის თერაპიული დახმარების სხვადასხვა ფორმის განსაზღვრა.

პროცედურა

- ბრეინშტორმი ეფექტური თერაპიული დახმარების პრინციპების ჩამონათვლის შესადგენად.
- ბრეინშტორმი ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკაში ამ მიმართულების ჩართვის გზების განსასაზღვრად.

დრო: 30 წუთი

ბარათი 11: ერთობლივი მუშაობა თემაზე - ბავშვების მონაწილეობის პრობლემა

მიზანი: ბავშვის დაცვის პოლიტიკის შემუშავებაში ბავშვების მონაწილეობის გაზრდის გზების გაგება

პროცედურა:

- როგორია თქვენი გამოცდილება ბავშვების მონაწილეობის მხრივ? რა კრეატიული იდეები გაქვთ ბავშვების მონაწილეობასთან დაკავშირებით? ბრეინშტორმი მთლიან ჯგუფში ან ქვეჯგუფებში.
- რა უშლის ხელს ბავშვების მონაწილეობას? როგორ შეიძლება ამ სირთულეების გადალახვა? ბრეინშტორმი მთლიან ჯგუფში ან ქვეჯგუფებში.

მაგალითები: პედაგოგებმა არ იციან, როგორ დააინტერესონ, ჩართონ ბავშვები დაცვის პოლიტიკის შემუშავების პროცესში; თავად ბავშვები თავს იკავებენ, რადგან მიზანი არ ესმით; ბავშვის მონაწილეობა არასავალდებულოდ არის მიჩნეული.

- რა ეტაპებზე (დაცვის პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება) არის ბავშვის მონაწილეობა სასურველი? ბრეინშორმი მთლიან ჯგუფში ან ქვეჯგუფებში.

მაგალითები: ქცევის წესები; მითითებები ბავშვების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შესახებ; ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების პროცედურები და ასე სხვა.

დრო: 45 წუთი

ბარათი 12: ერთობლივი მუშაობა თემაზე - ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის დანერგვისას წამოჭრილი სირთულეები

მიზანი: ბავშვთა დაწესებულებებში ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის დანერგვისას წარმოქმნილი სირთულეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენა.

პროცედურა:
- ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი მთავარი გამოწვევის SWOT/SWOC ანალიზი: „ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, არსებული შესაძლებლობები და რისკები/შეზღუდვები“.
- მონაწილეები საუბრობენ (ბრეინშტრომი), თუ რა სირთულეებს შეიძლება წააწყდნენ ისინი საკუთარ ორგანიზაციაში ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის დანერგვისას.

დრო: 45 წუთი

ბარათი 13: ერთობლივი მუშაობა თემაზე - ბავშვის დაცვის პოლიტიკის გავრცელება

მიზანი: პარტნიორების მიერ ბავშვის დაცვის პოლიტიკის დანერგვის მნიშვნელობის გაგება

პროცედურა:
- ორგანიზაციის ყველა უშუალო ან არაპირდაპირი პარტნიორის იდენტიფიცირება, რომლებსაც აუცილებლად უნდა გააჩნდეთ ბავშვის დაცვის პოლიტიკა
- განსჯისათვის: თქვენი პარტნიორი, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვებთან, უარს აცხადებს ბავშვის დაცვის თქვენი პოლიტიკის გაზიარებაზე, რადგან, მისი

აზრით, 12 წელს ზემოთ გოგონებთან სექსი არ არის აუცილებლად პოლიციისათვის შესატყობინებელი. რას მოიმოქმედებთ?

დრო: 30 წუთი

ბარათი 14: ერთობლივი მუშაობა თემაზე - ბავშვის დაცვის პოლიტიკის შეფასება

მიზანი: ქვემოთ მოცემული ცხრილი განკუთნვილია იმ მინიმალური მოთხოვნების აღსანიშნად, რომლებსაც ბავშვის დაცვაზე მომუშავე ნებისმიერი ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს.[41] ცხრილი არ არის უნივერსალური, ამიტომაც უნდა მოხდეს მისი ადაპტირება ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე.

პროცედურა: ამ სავარჯიშოსათვის, ჩვენ გირჩევთ შეიმუშავოთ თქვენი, თქვენსავე გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეფასების ცხრილი

შესაფასებელი არეალი	დიახ	ნაწილობრივ	არა
1. ბავშვები და ორგანიზაცია			
ორგანიზაციას კარგად აქვს გაცნობიერებული მისი პასუხისმგებლობა ბავშვთა დაცვაზე და აცნობს მას ყველას, ვინც მასთან კონტაქტში შედის.			
ბავშვებისადმი თანამშრომლების დამოკიდებულება იმაზე მიუთითებს, რომ მათ აიღეს ვალდებულება, დაიცვან ბავშვები ძალადობისგან.			
ბავშვის უფლებათა კონვენცია და/ან ბავშვთა უფლებების დაცვის სხვა ინსტრუმენტები კარგად არის ცნობილი ორგანიზაციაში და მიჩნეულია ბავშვთა დაცვის საფუძვლად.			

[41] KEEPING CHILDREN SAFE, Assurer la sécurité des enfants : la boîte à outils pour la sauvegarde des enfants, Outil 2 : Assurer la sécurité des enfants – Comment mettre en oeuvre les normes, http://www.keepingchildrensafe.org.uk/sites/default/files/Tool%202%20-%20%20French_0.pdf

ხელმძღვანელობა ზრუნავს იმაზე, რომ ბავშვებს ჰქონდეთ აზრის გამოთქმის საშუალება, იყონ მოსმენილი, ხოლო მათი უფლებები დაცული იყოს.			
ორგანიზაცია მკაფიოდ აცხადებს, რომ ყველა ბავშვს აქვს თანასწორი უფლება, იყოს დაცული.			
ორგანიზაცია აკონტროლებს ბავშვების ქცევას ისე, რომ არ მიმართავს ძალადობას. ის არ ამცირებს ბავშვების ღირსებას.			
ორგანიზაცია აკონტროლებს ბავშვების ქცევას ისე, რომ არ მიმართავს ძალადობას. ის არ ამცირებს ბავშვების ღირსებას.			

შესაფასებელი არეალი	დიახ	ნაწილობრივ	არა
2. პოლიტიკა და პროცედურები			
ორგანიზაციას გააჩნია ბავშვის დაცვის პოლიტიკის წერილობითი დოკუმენტი ან ზუსტი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების უსაფრთხოებას.			
პოლიტიკა და შესაბამისი პროცედურები აღიარებული და სანქცირებულია მმართველი ორგანოების (მაგალითად, გამგეობის, კომიტეტის) მიერ.			
ყველა, გამონაკლისის გარეშე, ანხორციელებს ბავშვის დაცვის პოლიტიკას და იცავს შესაბამის პროცედურებს.			

ბავშვის კეთილდღეობის ან უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევისათვის, არსებობს დაცვითი პროცედურები და გასაგები ინსტრუქციები			
ერთ ან რამდენიმე დანიშნულ პირს გააჩნია ვალდებულებები ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებით.			
ბავშვის დაცვის პროცედურები შემუშავებულია აგრეთვე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.			
ბავშვის დაცვის პროცედურები შემუშავებულია აგრეთვე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.			

შესაფასებელი არეალი	დიახ	ნაწილობრივ	არა
3. ბავშვებისთვის ზიანის მიყენების პრევენცია			
არსებობს თანამშრომლის სამსახურში მიღების და ბავშვებთან მათი მუშაობის შესაბამისობის განმსაზღვრელი პოლიტიკა და აღიარებული პროცედურები ან მეთოდიკები; შეძლებისდაგვარად, მოწმდება, ხომ არ აქვს კანდიდატს ნასამართლეობა და წარმოდგენილი რეკომენდაციების სანდოობა.			
არსებობს წერილობითი დირექტივები ან თანამშრომელთა მისაღები და მიუღებელი ქცევის აღწერა, განსაკუთრებით, ბავშვების მიმართ.			
ქცევის წესების დარღვევის შედეგები ყველასთვის გასაგებია და მჭიდროდაა დაკავშირებული ორგანიზაციის დისციპლინარულ ზომებთან.			

არსებობს ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაბამისი გამოყენების ძირითადი პრინციპები, კერძოდ, ინტერნეტ-საიტების, მთლიანად ინტერნეტის, ციფრული ფოტოაპარატების და სხვა, რაც ბავშვებისთვის საფრთხის არიდების საშუალებას იძლევა.			
იმ შემთხვევებში, როდესაც ორგანიზაცია უშუალოდ პასუხისმგებელია დაწესებულებაზე და რაიმე ღონისძიებების გატარებაზე, მათ შორის მოვლაზე, ბავშვები მუდმივი მეთვალყურეობისა და დაცვის ქვეშ იმყოფებიან.			
არსებობს ყველა თანამშრომლისთვის ცნობილი შესაძლებლობა, რომ გამოთქვან ეჭვი სხვა თანამშრომლების დაუშვებელი ქცევის შესახებ, თუ საჭიროა, სრული კონფიდენციალურობის პირობებში.			

შესაფასებელი არეალი	დიახ	ნაწილობრივ	არა
4. დანერგვა და სწავლება			
არსებობს თანამშრომლებისათვის, პარტნიორებისათვის და სხვა ორგანიზაციებისათვის (მათ შორის დამფინანსებლისათვის) განკუთვნილი ინსტრუქცია, თუ როგორ ხდება ბავშვთა დაცვის უზრუნველყოფა.			
ბავშვის დაცვა კულტურული კონტექსტის პატივისცემით უნდა ხდებოდეს, მაგრამ ბავშვებისათვის ზიანის მომტანი ტრადიციების გამართლების გარეშე.			

არსებობს იმ ზომების წერილობითი გეგმა, რომლებიც იქნება მიღებული ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.			
ყველა ახალი თანამშრომელი და მოხალისე გადიან ტრენინგებს ბავშვთა დაცვის საკითხებზე, რაც მოიცავს ორგანიზაციის ბავშვის დაცვის პოლიტიკის და შიდა პროცედურების გაცნობას.			
ყველა თანამშრომელს შესაძლებლობა აქვს, ისწავლოს სასტიკი მოპყრობის საფრთხის სიგნალების ამოცნობა და მათზე რეგირება.			
ტარდება მუშაობა ყველა პარტნიორთან, ამ ნორმებზე დაფუძნებული ეფექტური პრაქტიკის დასანერგად.			

შესაფასებელი არეალი	დიახ	ნაწილობრივ	არა
5. ინფორმირება და კომუნიკაცია			
ბავშვებმა იციან ძალადობისგან დაცვის საკუთარი უფლების შესახებ.			
ორგანიზაციის ყოველმა წევრმა იცის იმ პირის ვინაობა, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვების უსაფრთხოებაზე ორგანიზაციის შიგნით, და ისიც, თუ როგორ შეიძლება მასთან დაკავშირება.			
ბავშვთა დაცვის ადგილობრივი სამსახურების კოორდინატები, მაგალითად, სანდო თავშესაფრების, სახელისუფლებო სტრუქტურების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების, - მისაწვდომია ყველასთვის.			

ბავშვებმა იციან, თუ სად შეიძლება მიიღონ დახმარება და რჩევები ძალადობის, იძულების და ბულინგის შემთხვევაში.			
ეროვნულ და/ან ადგილობრივ დონეზე დამყარებულია კონტაქტები ბავშვთა დაცვის/ კეთილდღეობაზე ზრუნვის სტრუქტურებთან.			
ბავშვების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ მიმართონ რჩევისთვის, მიიღონ მხარდაჭერა და საჭირო ინფორმაცია.			

შესაფასებელი არეალი	დიახ	ნაწილობრივ	არა
6. მონიტორინგი და განხილვა			
შემუშავებულია ორგანიზაციის ბავშვის დაცვის ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის მექანიზმი.			
ბავშვებსა და მათ მშობლებს/ მეურვეებს შესაძლებლობა აქვთ, რეგულარულად გამოთქვან თავიანთი აზრი ბავშვის დაცვის პოლიტიკის, მისი განხორციელების მექანიზმებისა და მათი ეფექტურობის შესახებ.			
ორგანიზაცია იყენებს ბავშვთა დაცვის სისტემების მართვის გამოცდილებას, რათა ხელი შეუწყოს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას.			
სასტიკი მოპყრობის ყველა შემთხვევა, ეჭვი და ჩივილი რეგისტრირდება და შეისწავლება.			

ბავშვის დაცვის პოლიტიკა და მისი გამოყენების პრაქტიკა რეგულარულად გადაიხედება, მინიმუმ სამ წელიწადში ერთხელ.		
ბავშვებისა და მათი მშობლების/მეურვეების აზრის გათვალისწინება ხდება პოლიტიკისა და მისი გამოყენებისპრაქტიკის გადახედვის დროს.		

დრო: 1½ საათი

ბარათი 15: ერთობლივი მუშაობა თემაზე - ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავება

მიზანი: ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავებაზე/სრულყოფაზე მუშაობა

პროცედურა:

a) სავარჯიშო 1
- გააანალიზეთ, პრაქტიკაში, ფორმალური ან არაფორმალური ფორმით, როგორ ხორციელდება დაწესებულებაში ბავშვის დაცვა.
- იმუშავეთ ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში, რომლებიც შედგება მხოლოდ ერთ ორგანიზაციაში მომუშავე პირებისაგან.

b) სავარჯიშო 2
- გამოავლინეთ მნიშვნელოვანი ნაკლული კომპონენტები და ჩართეთ ისინი ამ პოლიტიკაში; თუ შესაძლებელია, გამოიყენეთ არსებული დადებითი მაგალითები.
- იმუშავეთ ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში, რომლებიც შედგება მხოლოდ ერთ ორგანიზაციაში მომუშავე პირებისაგან.

c) სავარჯიშო 3
- შეადგინეთ ორგანიზაციის ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვისათვის მოქმედების რეალისტური გეგმა.
- იმუშავეთ ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში, რომლებიც შედგება მხოლოდ ერთ ორგანიზაციაში მომუშავე პირებისაგან.

d) სავარჯიშო 4
- წარმოადგინეთ გაერთიანებულ ჯგუფში მოქმედების გეგმები ყოველ ორგანიზაციაში და მოაწყვეთ დისკუსია.

დრო: მინიმუმ 3 საათი

დანართები

დანართი 1: BICE -ს ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა

დანართი 2: BICE -ს ბავშვის დაცვის პოლიტიკის ერთგულება

დანართი 3: შეტყობინების წერილის ნიმუში

დანართი 4: ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლები

დანართი 5: BICE -ს პოზიცია

დანართი 1: BICE-ს ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა

ბავშვთა მიმართ ღირსეული მოპყრობის დანერგვა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევათა პრევენცია ორგანიზაციებში, რომლებიც ბავშვის საერთაშორისო კათოლიკური ბიუროს (BICE) ქსელს შეადგენენ

მიღებულია BICE-სგენერალურ ასამბლეაზე, 2011 წლის 25 მაისს.

შინაარსი

ნაწილი 1: BICE-ს ბავშვის დაცვის პოლიტიკის წარდგენა
A. პრეამბულა
B. ფილოსოფია და მიდგომა
C. წყაროები და იურიდიული ასპექტები
D. საკვანძო ცნებები
E. ბავშვთა დაცვის პოლიტიკის აქტორები და რეციპიენტები
F. BICE-ს ბავშვთა დაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტები

ნაწილი 2: ეთიკის კოდექსი
A. შესავალი
B. ინფორმირება და ცნობიერება
C. პრევენცია და დაცვა
D. პროცედურები ძალადობის შემთხვევებში

ნაწილი 3: „BICE-ს ბავშვის დაცვის კომისია“ (CPC)
A. კომისიის ამოცანები
B. კომისიის შემადგენლობა
C. ინფორმაცია BICE-ს ხელმძღვანელი ორგანოების შესახებ

ძირითადი აბრევიატურები:

BICE: ბავშვის საერთაშორისო კათოლიკური ბიურო
CRC: გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს)
CPC: „ბავშვის დაცვის კომისია“ შექმნილია ბისეს შიგნით ბავშვის დაცვის პოლიტიკის გატარებაზე დაკვირვებისთვის
IAM: ბისეს ინდივიდუალური ასოცირებული წევრები
WHO: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
BCPP: ბისეს ბავშვის დაცვის პოლიტიკა
SREE: სექსუალური ურთიერთობები აღმზრდელებს (ბისეს თანამშრომლები ან ინდივიდუალური ასოცირებული წევრები) აღსაზრდელ პირებს შორის

ნაწილი 1: BICE-ს ბავშვის დაცვის პოლიტიკის წარდგენა (BCPP)

A. პრეამბულა

ბავშვის საერთაშორისო კათოლიკური ბიურო (BICE - The International Catholic Child Bureau) არის ბავშვის ღირსებისა და უფლებების დაცვის ორგანიზაცია, რომელიც უკვე მრავალი წელია, საერთაშორისო არენაზე მოღვაწეობს და მთელ თავის ძალისხმევას მიმართავს ბავშვთა დასაცავად, რომლებთანაც მუშაობს ან რომლებსაც ხვდება მისი საქმიანობის დროს.

ამ მიზნით მან შეიმუშავა **BICE-ს ბავშვის დაცვის პოლიტიკა** (BCPP), რომლის დაცვა ევალება ყველა თანამშრომელს და ყველა პარტნიორ ორგანიზაციას. თავის მხრივ, BICE-ს პარტნიორი და წევრი ორგანიზაციები ვალდებულებას იღებენ, შეიმუშაონ BICE-ს პოლიტიკის ეკვივალენტური ბავშვის დაცვის პოლიტიკა.[42]

ამ პოლიტიკის მიზანია ბავშვებისადმი ღირსეული მოპყრობის პრაქტიკისათვის ხელის შეწყობა, და შესაბამისად, სასტიკი მოპყრობის ყველა ფორმის მხილება, ასეთ შემთხვევებზე ეფექტური რეაგირება, იქნება ეს პრევენცია, იდენტიფიკაცია თუ ბრძოლა.

BICE-ს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ნებისმიერ ადამიანს, შესაბამისად, ბავშვსაც, მისი შესაძლებლობების მიხედვით, გააჩნია უფლებები და მოვალეობები: ხარისხიანი სოციალური ცხოვრება მოითხოვს თითოეულის უფლებების პატივისცემასაც და მოვალეობების შესრულებასაც. კერძოდ, ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს ცოდნა, განავითაროს თავისი უნარ-შესაძლებლობები. ეს მათი მოვალეობაცაა; არაფორმალურად რომ ვთქვათ თითოეულმა ბავშვმა პატივი უნდა სცეს სხვების სიცოცხლესა და ღირსებას. მოცემული დოკუმენტი უფრო მეტად აღარ ჩაუღრმავდება მოვალეობების საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ მოვალეობები და უფლებები ერთნაირად მნიშვნელოვანია.

B. ფილოსოფია და მიდგომა

BCPP ეყრდნობა **BICE -ს მიერ 2007 წელს მიღებულ ქარტიას**, რომელშიც განსაზღვრულია BICE-ს ხედვა და ღირებულებები: ბავშვის ღირსების პატივისცემა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფა, ბავშვის ფუნდამენტური უფლებების დაცვა. ეს უფლებები არის უნივერსალური, ხელშეუხებელი და აუცილებელი.

ის აგრეთვე ეფუძნება ბავშვის დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს.[43]

---

[42] პარტნიორი და წევრი ორგანაზაციები განმარტებულია ნაწილში „ე“.
[43] Cf. infra C

თუ საუბარია მიდგომებზე, - ეს არის **ყურადღების მიპყრობა სასტიკი მოპყრობის პრობლემისაკენ, მისი პრევენცია და კონკრეტული ქმედებები, მიმართული ღირსეული მოპყრობის პრაქტიკის განვითარებისა და სასტიკ მოპყრობასთან ბრძოლისაკენ.**

წევრი და პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით, BICE იცავს ბავშვების ფუნდამენტურ უფლებებს ყველგან, სადაც ის მოღვაწეობს. ის ვალდებულებას იღებს, რომ გაავრცელებს თავის ღირებულებებსა და ბავშვის დაცვის პოლიტიკას, მიიპყრობს მთავრობების, სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების, სოციალური და ადმინისტრაციული სამსახურების, მასმედიის, რელიგიური ორგანიზაციების, ტრადიციული ლიდერების, ყველა დონის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და სხვათა ყურადღებას ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის პრობლემისადმი.[44]

C. წყაროები და იურიდიული ასპექტები

BCPP ეთანხმება და ეყრდნობა ბავშვის უფლებათა კონვენციას, რომელიც გაერთიანებულმა ერებმა 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო.[45] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუხლები 19 და 3, რომლებიც შეეხება:

- ბავშვის უფლებას, ყოველთვის იყოს დაცული *"მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერისხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით"*. ეს გულისხმობს, რომ ბავშვების დაცვა ყველა მოზრდილი აღმზრდელის ან მოწმეების, აგრეთვე შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების ვალია.

- ბავშვის ინტერესებისა და კეთილდღეობის დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

BCPP ასევე ეყრდნობა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციას, რომელიც აგრეთვე ცნობილია, როგორც ლანზაროტის კონვენცია. აღნიშნულ კონვენციას ხელი მოეწერა 2007 წელს და იგი ამოქმედდა 2010 წლის 1 ივლისს.

დაბოლოს, BICE ხელმძღვანელობს სხვა საერთაშორისო და რეგიონალური ხელშეკრულებებით ბავშვის უფლებებისა და დაცვის შესახებ.

BICE არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც შექმნილია საფრანგეთის 1901 წლის კანონმდებლობის შესაბამისად. ის აღიარებულია წმინდა საყდრის (ვატიკანის) მიერ.

---

[44] ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოები: სხვადასხვა ქვეყანაში სასტიკი მოპყრობის პრევენცია და მასთან ბრძოლა სპეციფიკური პროცედურების მიხედვით ხდება. ზოგან სწორედ ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოების (მაგალითად, რომელიმე სამინისტრო) ან სპეციალისტთა ფსიქო-სამედიცინო-სოციალური გუნდების მიერ ტარდება პირველადი სამუშაო და მხოლოდ შემდგომ წყვეტენ, საჭიროა თუ არა ხელისუფლების სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვა და კერძოდ, სად (იუვენალური სასამართლო, სისხლის სამართლის ინსტანციები...). ჩვენ ამ არასასამართლო ინსტანციებს ვუწოდებთ „ხელისუფლების ადმინისტრაციულ ორგანოებს".

[45] ბავშვის დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი მუხლები ჩამოთვლილია დანართში N3

ეს უკანასკნელი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელიც გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას შეურთდა. სასულიერო პირებისაგან ბავშვებზე სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, წმნიდა საყდარი იცავს დანაშაულის შესახებ შესაბამისი პირებისათვის შეტყობინების სამოქალაქო წესს.[46]

D. საკვანძო ცნებები

BCPP - ში გამოყენებულია შემდეგი საკვანძო ცნებები:

ბავშვი/არასრულწლოვანი: 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას. (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 1)

ღირსეული მოპყრობა:[47] ღირსეული მოპყრობა არის ბავშვის საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით, თემის რესურსებისა და მშობელთა ცოდნის მობილიზების შედეგი, პროცესში მონაწილე ყველა პირის „რეზილენტური“ შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ძალადობა: ჩვენ ავირჩიეთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული განმარტება:[48] „“ბავშვზე ძალადობა და არასათანადო მოპყრობა გულისხმობს ნდობით აღჭურვილი, ძალაუფლების ან პასუხისმგებლობის მქონე პირის მიერ განხორციელებულ ფიზიკურ, ემოციურ და/ან სექსუალურ ძალადობას, უგულებელყოფას ან უყურადღებობას, კომერციული ან სხვა მიზნით ექსპლუატაციას, რასაც მოაქვს რეალური ან პოტენციური ზიანი ბავშვის ჯანმრთელობის, განვითარების, გადარჩენისა ან ღირსებისთვის”; აგრეთვე - ბავშვის უფლებათა კონვენციის განმარტება (მუხლი 19)“: „ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა, შეურაცხყოფა თუ ბოროტად გამოყენება, მზრუნველობის მოკლება თუ დაუდევარი მოპყრობა, უხეში მოქცევა თუ ექსპლუატაცია, სექსუალური ბოროტების ჩათვლით“.

ეს განმარტება არ არის ამომუწურავი. სასტიკი მოპყრობა და ძალადობა, შესაძლოა, არსებობდეს პასუხიმგებლობის, ნდობის ან ძალაუფლების კონტექსტის მიღმა. ბავშვების ექსპლუატაცია, მათხოვრობის, კანონის დარღვევის მიზნით ბოროტად გამოყენება და სხვა - ასევე სასტიკი მოპყრობის შემთხვევებია. ცალკეული პირების მიერ განხორციელებული სასტიკი მოპყრობის გარდა, არსებობს ინსტიტუციური ძალადობა. ჩვენ აქ ასევე ვაერთიანებთ დისკრიმინაციისა და სასტიკი მოპყრობის ყველა ფორმას პედაგოგების მხრიდან, როგორიცაა, მაგალითად, დისკრიმინაცია სქესობრივი ნიშნით ან შეზღუდული უნარის გამო, აგრეთვე - ბავშვის უსამართლოდ გარიცხვა დაწესებულებიდან, სადაც ცხოვრობს ან/და სწავლობს. აშკარა სასტიკი მოპყრობის მოწმეთა დუმილი და უმოქმედობა განიხილება, როგორც ძალადობა.

---

[46] ხელმისაწვდომია http://www.vatican.va/resources/resources_guide-CDF-procedures_fr.html
http://www.vatican.va/resources/index_fr.htm

[47] განმარტებულია ჟორჟ ბარუდის, ნეიროფსიქიატრი, ოჯახის თერაპევტი და წიგნის „ბავშვის მიმართღირსეული მოპყრობის შესახებ“ ავტორის, მიერ

[48] BICE -ს წესდების 12 § 2 -ს მიხედვით

E. ბავშვთა დაცვის პოლიტიკის აქტორები და რეციპიენტები

სხვადასხვა ხარისხის ჩართულობით, ესენი არიან:

BICE-ს თანამშრომლები - ანუ ფიზიკური პირები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არიან ჩართულნი BICE-ს აქტივობებში.

ამგვარად, საუბარია BICE-ს ხელმძღვანელებსა[49] და ყველა თანამშრომელზე, რომლებსაც BICE-სთან კონტრაქტი აკავშირებთ. (დაქირავებული მუშაკები, მოხალისეები, ინტერნატურის სტუდენტები, დამოუკიდებელი კონსულტანტები, ექსპერტები და სხვა).

BICE-ს პარტნიორი ორგანიზაციების (იხილეთ ქვემოთ) დირექტორები და პარტნიორები აგრეთვე თანამშრომლებად განიხლებიან.

BICE-ს ყველა თანამშრომელს მოეთხოვება ეთიკის კოდექსის წესების შესრულება და ბავშვის დაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებული დეკლარაციისა და ვალდებულებისათვის ხელის მოწერა.[50]

BICE-ს პარტნიორი ორგანიზაციები - იურიდიული პირები, რომლებიც ადგილებზე ახდენენ პროექტების რეალიზებას BICE-ს ლეგალური პასუხისმგებლობის ქვეშ, ან მონაწილეობენ ბავშვების ჩართულობით განხორციელებულ BICE-ს პროგრამებსა და ღონისძიებებში.ეს ორგანიზაციები ხელს აწერენ BICE-თან პარტნიორობის შესახებ შეთანხმებას.

იმ შემთხვევაში, თუ მათ ჯერ არ აქვთ ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა ან თუ მათი პოლიტიკა ვერ აკმაყოფილებს სათანადო სტანდარტებს, პარტნიორ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ BICE-ს პოლიტიკის მიღება ან გონივრულ ვადებში მისი ექვივალენტური პოლიტიკის შემუშავება. ამას გარდა, BICE-ს ეთიკის კოდექსი უნდა ფიგურირებდეს ორგანიზაციის შინაგანაწესში. ეს ვალდებულება BICE-სთან ხელმოწერილი პარტნიორობის შეთანხმების ნაწილია.

BICE-ს წევრი ორგანიზაციები - არიან ორგანიზაციები, რომლებიც BICE-ს შემადგენლობაში შედიან ასოცირებული წევრების სახით (წესდების მუხლი 5). ნამდვილად, BICE წარმოადგენს „ორგანიზაციათა საერთაშორისო ქსელს, რომლებიც მუშაობენ ბავშვების ღირსებისა და უფლებების დაცვაზე“ (წესდება, მუხლი 4).

ორგანიზაციების შესვლა BICE-ს წევრად ნიშნავს, რომ ისინი იზიარებენ BICE-ს ქარტიაში ასახულ ფილოსოფიას. ეს გულისხმობს, რომ ისინი სერიოზულად და გულდასმით ეკიდებიან ბავშვის დაცვას. სასურველია, რომ ამ დამოკიდებულებამ კონკრეტული ასახვა ჰპოვოს საკმარისად სტრუქტურირებული პოლიტიკის გატარებაში. ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ გაატარონ BICE-ს ბავშვის დაცვის პოლიტიკა, ან შეიმუშაონ ბავშვთა დაცვის საკუთარი პოლიტიკა.

[49] BICE წესდება, მუხლი 12 § 2

[50] Cf. infra მე-2 ნაწილი

BICE-ს შეუძლია შეაჩეროს ორგანიზაციის წევრობა მის ქსელში, თუ კონკრეტული ორგანიზაცია განსაკუთრებულ პასიურობას ან უარყოფით დამოკიდებულებას გამოიჩენს ორგანიზაციის შიგნით სასტიკი მოპყრობის პრობლემასთან გამკლავების საქმეში, იმის მიუხედავად, პრობლემა გამოწვეული იქნება ცალკეული ინდივიდებით, ჯგუფებით თუ მთელი ორგანიზაციით.

BICE-ს შემადგენლობაში ასევე შედიან **ინდივიდუალური ასოცირებული წევრები (IAM).** ისინი ასევე იზიარებენ BICE-ს ქარტიას და შესაბამისად, ბავშვთა დაცვის ჭეშმარიტ სურვილს. მომდევნო ტექსტიდან გასაგები იქნება მათი კონკრეტული როლი BCPP-თან მიმართებაში. მინიმუმ, ისინი იცავენ ეთიკის კოდექსს.

BICE ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ყველა მის თანამშრომელს კარგად ესმოდეს ღირსეული მოპყრობის მიზანი, აგრეთვე ის, თუ რა საფრთხეებთან და პრობლემებთან არის დაკავშირებული ბავშვებისათვის სასტიკი მოპყრობა. ამიტომაც პრიორიტეტული პირველ რიგში, სწორედ მათი ცოდნის დონისა და ცნობიერების ამაღლებაა.

ამას გარდა, BICE-ს მიერ ორგანიზებულია სატრენინგო კურსები ორგანიზაციებისათვის, ქსელის წევრებისათვის, აგრეთვე IAM-ებისათავის.

F. BCPP-ს ინსტრუმენტები

ეთიკის კოდექსი BICE-ს ყველა თანამშრომლისა და პარტნიორი ორგანიზაციებისთვის არის განკუთვნილი. ის ასევე შეეხება IAM-ებს და წევრ ორგანიზაციებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიყენონ იგი ან იხელმძღვანელონ ბავშვის დაცვის საკუთარი პოლიტიკის გატარებისას. ის თარგმნილია ყველა იმ რეგიონის ენაზე, სადაც BICE თავის საქმიანობას ეწევა.

ის ასევე უნდა იყოს ჩართული თითოეული პარტნიორი ორგანიზაციის შინაგანაწესში. კოდექსი თითოეული თანამშრომლის ან პარტნიორი ორგანიზაციის BICE-სთან მაკავშირებელი კონტრაქტის განუყოფელი ნაწილია. მას ხელი უნდა მოეწეროს ყოველი ფიზიკური პირის მიერ იმ დოკუმენტთან ერთად, რომელშიც მოცემულია მნიშვნელოვანი ადმისტრაციული ელემენტების ჩამონათვალი (იხილეთ დანართი 1).

მისი გადახედვა, ცვლილებებისა და შეძენილი გამოცდილებების გათვალისწინების მიზნით, მოხდება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ.

მსგავსი კოდექსი ბავშვებისთვისაც (ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე) იქნება უახლოეს მომავალში მომზადებული, მას შემდეგ, რაც ზრდასრულებისთვის განკუთვნილი კოდექსი იქნება მიღებული.

ბავშვის დაცვის კომისია (CPC) შექმნილია BICE-ს შიგნით. მისი მისიაა BCPP-ს დანერგვისა და გავრცელებისათვის თვალყურის დევნება. ის მოწოდებულია აგრეთვე, მხარდაჭერა აღმოუჩინოს BICE-ს თანამშრომლებს და დაეხმაროს BICE-ს პარტნიორ ორგანიზაციებს და წევრებს ბავშვთა დაცვის პოლიტიკის შექმნაში, დანერგვაში და იმაშიც, რომ საკუთარი პოლიტიკა BICE-ს პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოიყვანონ. მან ასევე თვალყური უნდა ადევნოს დადასტურებული ან სავარაუდო სასტიკი მოპყრობის შემთხვევების გამოვლენას, უზრუნველყოს დახმარებითა და კონსულტირებით.

დანართი 1: BICE-ს ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკა

კომისია მოქმედებს საკუთარი ინიციატივით, ან BICE-ს თანამშრომლების, პარტნიორი ორგანიზაციებისა და წევრების მიმართვით, რომლებსაც შეუძლიათ მასთან პირდაპირ დაკავშირება.

პარტნიორ ორგანიზაციებთან ხელმოწერილი **შეთანხმებები პარტნიორობასა და პროექ-ტების რეალიზებაზე**, მოიცავს ამ ორგანიზაციების ვალდებულებას BCCP-ის გატარე-ბის ან მისი ტოლფასი დაცვის დოკუმენტის შესაქმენლად, ადგილობრივ კონტექსტებ-ზე მორგებით.

ბავშვის დაცვის პოლიტიკის საკითხებზე მომზადდება **ტრენინგ პროგრამა.** ის მეტწილად გათვლილი იქნება BICE-ს თანამშრომლებზე, IAM-ებზე, პარტნიორ და წევრ ორგანიზა-ციებზე. ამას გარდა, BICE-ს რეგიონალური წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი თანამშომლები გაივლიან ტრენერთა ტრენინგს, რათა მათ თავად შეძლონ შესაბამისი ცოდნის მიწოდება პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის.

ნაწილი მეორე: ეთიკის კოდექსი

A. შესავალი

ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ქცევის ნორმებს, რომლებიც უნდა დაიცვან BICE-ს თანამშრომლებმა BCCP-ის ფარგლებში. IAM-ებმა ის ასევე უნდა დაიცვან, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

ეს კოდექსი შეესაბამება BICE-ს ქარტიას, აგრეთვე ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო და რეგიონალურ დოკუმენტებს. ამ დოკუმენტებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, კერძოდ, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლს, რომელშიც ნათქვამია, რომ ყველაფერი გაკეთდება, რათა ბავშვი ეფექტურად იყოს დაცული *„ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა ბოროტმოქმედებისაგან“*, კერძოდ, ანგარიშების, გამოკითხვების, სიტუაციის მონიტორინგის, პრევენციული ზომების გატარების მეშვეობით...; იმავდროულად, გათვალისწინებული უნდა იყოს ადმინისტრაციული და/ან სასამართლო ორგანოების ჩარევა აუცილებლობის შემთხვევაში.

ამგვარად, BICE თანამშრომლებს მოუწოდებს, გამოიჩინონ სიფრთხილე, მაგრამ ამასთანავე სიფხიზლე და სიმამაცე, როდესაც სხვა პირები მათ უზიარებენ თავიანთ ეჭვებს, ან როდესაც ცნობილი ხდება სასტიკი მოპყრობის შემთხვევების შესახებ. ამ კოდექსში წარმოდგენილი პროცედურა მათ იმის გარკვევაში ეხმარება, თუ რა თანმიმდევრული ქმედებები უნდა განახორციელონ კონკრეტულ სიტუაციასთან გასამკლავებლად ისე, რომ ადამიანების მიმართ ღირსეული დამოკიდებულება შეინარჩუნონ და იმოქმედონ მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

B. ინფორმირება და ცნობიერება

ყველა თანამშრომლისა და ინდივიდუალური ასოცირებული წევრის ვალდებულებებია:

1. BICE-ს ქარტიაში მოცემული მიზნების მიღწევა, კერძოდ: თითოეული ბავშვის ღირსების პატივისცემა და მათი უფლებების დაცვა, აგრეთვე ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის ხელშეწყობა;

2. ბავშვებისათვის მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაადვილებას ისე, როგორც ეს ნათქვამია CRC-ის მე-13 და მე-17 მუხლებში.

3. ბავშვების საჭიროებებისა და თხოვნებისადმი ყურადღებით მოკიდება; ყველაფრის გაკეთება იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ ბავშვთან დიალოგს; არ დაუშვან ისეთი ქცევები და გამონათქვამები, რომლებმაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნან ბავშვის კომუნიკაციას მათთან, სხვა თანამშრომლებთან, მთლიანად ორგანიზაციასთან, გარემოცვასთან, სხვა ბავშვებთან.

4. ინიციატივების შემუშავება და ღონისძიებების ორგანიზება, რომლებიც ბავშვებს გამოხატვის საშუალებას მისცემს: წრეები, სადისკუსიო ჯგუფები, ვორქშოპები, გასართობი პროექტები და სხვა.

5. ადგილობრივი ტრადიციების, ჩვეულებების პატივისცემა, რომლებიც შეეხება ბავშვებისა და დიდების, აგრეთვე სქესთა შორის ურთიერთდამოკიდებულებებს, თუ, რა თქმა უნდა, ეს ტრადიციები არ ლახავს ბავშვის ღირსებას და ზიანს არ აყენებს მის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ამიტომაც, მათ პატივისცემა უნდა გამოიჩინონ ბავშვების მიმართ და თავი შეიკავონ ყოველგვარი ეჭვის შეტანისგან, ბრალდებისგან, ბავშვისათვის უხერხული და პრობლემატური სიტუაციების შექმნისაგან.

6. შეთავაზებულ ტრენინგებში აქტიური ჩართულობა.

7. თუ ეს ადგილებზე მათი საქმიანობისთვის აუცილებელია, ტრენინგების გავლა, რომლებიც, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობას შეეხება, CRC-ის 23-ე მუხლის შესაბამისად, რათა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათ, უზრუნველყონ სპეციალური ზრუნვით და ამით თავიდან აიცილონ ნებისმიერი სახის უგულებელყოფა, ხელი შეუწყონ მათ განვითარებას, „კულტურული და სულიერი განვითარების ჩათვლით"; ამასთანავე, პატივი სცენ მათ ღირსებას და იზრუნონ მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ხელშეუხებლობაზე.

განსაკუთრებული ყურადღება მოეთხოვებათ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც თავიანთი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ინტიმური შეხება აქვთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან (ჰიგიენა, სამედიცინო პროცედურები და ასე შემდეგ), რათა მათი ქმედებები არ ლახავდეს ბავშვების ღირსებას.

BICE-ს ვალდებულებებია:

8. ყველა თანამშრომლისა და წევრისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია და საშუალებები, რომელთა დახმარებით შესაძლებელია ბავშვთა მიმართ ღირსეული მოპყრობის უზრუნველყოფა, სასტიკი მოპყრობის შემთხვევების ეფექტური პრევენცია ან მათთან ბრძოლა.

9. ამავე მიზნისათვის ტრეინინგების ორგანიზება.

10. სასტიკი მოპყრობის შემთხვევებში გამოსაყენებელი რეგულაციებისა და საკანონმდებლო ნორმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. სხვა ყველაფერთან ერთად, BICE და მისი პარტნიორი ორგანიზაციები მთელ აუცილებელ საკონტაქტო ინფორმაციას გასცემენ იმ პირების, სამსახურებისა და/ან დაწესებულებების შესახებ, რომლებსაც უნდა მიემართოს გადაუდებელ სიტუაციებში. ეს მკაფიო, გასაგები და ნებისმიერ მომენტში ხელმისაწვდომი ინფორმაცია ადაპტირებული უნდა იყოს ბავშვებისათვის, რომლებსაც ასევე აუცილებლად უნდა ჰქონდეთ მასთან წვდომა.

11. ინფორმაცია ასევე უნდა შეეხებოდეს რისკებსა და სანქციებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც წინასწარგანზრახვით გამოთქვამენ ცრუ და/ან უსაფუძვლო ეჭვებს ან ბრალდებებს სასტიკი მოპყრობის შესახებ.

C. პრევენცია და დაცვა

სამსახურში მიღება

12. თანამშრომელთა სამსახურში მიღება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს ბავშვთა დაცვის სფეროში. ლანზაროტის კონვენციის მუხლი 5 §3-ის თანახმად, კანდიდატები, რომელთა პროფესიული საქმიანობა გულისხმობს რეგულარულ კონტაქტებს ბავშვებთან, არ უნდა იყვნენ წარსულში ნასამართლევი ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობისათვის. BICE ამ მოთხოვნას სასტიკი მოპყრობის ყველა სხვა სერიოზულ შემთხვევებზე ავრცელებს.

შესაბამისად:

a. დამსაქმებელი ორგანიზაცია, სამსახურში აყვანის დროს, ვალდებულია, მიიღოს ამ მოთხოვნების შემოწმებისა და დაცვისთვის აუცილებელი ყველა ინფორმაცია.

b. კანდიდატი ვალდებულია სრულად წარმოადგინოს ინფორმაცია ნასამართლეობის ქონის ან არქონის შესახებ. ის ეცნობა „დეკლარაციას და ვალდებულებას, რომლებიც შეეხება „BICE-ს ბავშვის დაცვის პოლიტიკას“ და ხელს აწერს ამ დოკუმენტს.

კონტროლი

13. BICE, მისი თანამშრომლები და ინდივიდუალური წევრები, პარტნიორი ორგანიზაციები და მისი წევრები ვალდებულნი არიან, დაემორჩილონ კონტროლის სხვადასხვა მექანიზმებს, რომლებსაც ითვალისწინებს იმ ქვეყნების მოქმედი კანონმდებლობა, სადაც ისინი მუშაობენ.

14. თუ ეს კონტროლი შეეხება იმ ბავშვებს, რომლებთანაც მუშაობენ (მაგალითად, სამედიცინო ან სოციალური დახმარება და სხვა), ისინი ვალდებულები არიან, ყველაფერი გააკეთონ ამ პროცედურის დასაცავად. ამას გარდა, მათ უნდა აკონტროლონ, რომ ბავშვებმა რეგულარულად მიიღონ სამედიცინო, სოციალური მომსახურებები მათი საჭიროებების შესაბამისი სიხშირით.

მოზრდილებისა და ბავშვების ურთიერთობა

15. BICE-ს თანამშრომლები და ინდივიდუალური ასოცირებული წევრები იღებენ ვალდებულებებს:

a. ახსოვდეთ, რომ ყოველი ზრდასრული ადამიანი მორალურად პასუხისმგებელია თითოეულ ბავშვზე. BICE-ს თანამშრომლებისა და წევრების ზნეობრივი ვალდებულებაა ღირსეული მოპყრობა და დაცვა იმ ბავშვებისაც, რომლებთანაც უშუალო შეხება აქვთ, მაგრამ არ არიან მათზე ადმინისტრაციულად პასუხისმგებელნი.

b. ყველა ბავშვს მოეპყრან მათი ღირსების პატივისცემით, მისცენ გამოხატვის საშუალება, იზრუნონ იმაზე, რომ ბავშვებს მოუსმინონ და მათ თავი დაცულად იგრძნონ. თვალყური ადევნონ, რომ ბავშვებმა მიიღონ შესაბამისი ზრუნვა, დახმარება, დაცვა და მეთვალყურეობა.

c. მოახდინონ ყველა იმგვარი ქმედების პრევენცია, რომლებიც ხელს უწყობენ დისკრიმინაციას, კერძოდ, სქესობრივი ნიშნით და/ან წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობის გამო და ასე შემდეგ (CRC-ის მუხლი 2).

d. არ გაატარონ ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება ბავშვისთვის ზნეობრივ ან ფიზიკურ საფრთხეს წარმოადგენდეს, ან პრობლემების ან შიშის გამომწვევი იყოს.

e. არ დაუშვან ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობა და დაიცვას ბავშვი „ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით“ (CRC-ის მუხლი 19).

ამგვარად, ეს არდაშვება სასტიკი მოპყრობის ყველა ფორმაზე ვრცელდება: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, პედაგოგიური, რომლებიც გამოიხატება ბავშვის მიმართ განზრახ ქმედებებში ან განზრახ უგულებელყოფაში. ბავშვთა ექსპლუატაცია (მაგალითად, როცა მათ აიძულებენ იმათხოვრონ, კანონდარღვევა ჩაიდინონ და ასე შემდეგ) ასევე მიეკუთვნება სასტიკ მოპყრობას.

ცალკეულ პირთა მხრიდან სასტიკი მოპყრობის გარდა, ასევე აუცილებელია ინსტიტუციურ ძალადობასთან ბრძოლა (მაგალითად, გარკვეული კატეგორიის ბავშვების დისკრიმინაცია, მათი გაუმართლებელი გარიცხვა დაწესებულებიდან და სხვა).

ასევე სასტიკ მოპყრობად განიხილება ძალადობის აშკარა შემთხვევის მოწმეთა პასიური პოზიცია და დუმილი.

f. არ დაუშვან არანაირი სექსუალური ურთიერთობა პროექტში/პროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანთან, მაშინაც კი, როცა ის მოცემული რეგიონის ადგილობრივი კანონმდებლობით სრულწლოვნად ითვლება. აკრძალვა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, როცა ურთიერთობა ურთიერთშეთანხმებულია ან ფსევდო-ურთიერთშეთანმებულია. BICE სასტიკად კრძალავს სექსუალურ ურთიერთობებს თანამშრომლებს (ამ სიტყვის ფართო გაგებით) და მათ აღსაზრდელ/ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვებს შორის (SREE).

g. ისწავლონ ბავშვების გამოვლენა, რომელთა ქცევა ან ცუდი მდგომარეობა შეიძლება მათ მიმართ სასტიკ მოპყრობაზე მიუთითებდეს. ამგვარი ბავშვების გამოვლენის გარდა, BICE-ს თანამშრომლებმა უნდა გადაამისამართონ ისინი სპეციალისტებთან, რომლებსაც მათი დახმარება და დაცვა შეუძლიათ; თვალყური ადევნონ, რომ ინსტიტუციური მექანიზმები ხელს არ უშლიდნენ არც სასტიკი მოპყრობის

შესაძლო ან დადასტურებული შემთხვევების გამოვლენას, და არც დაზარალებული ბავშვებისათვის დახმარების გაწევას.

h. უმოკლეს ვადებში შეატყობინონ დამსაქმებელ ორგანიზაციას (BICE, პარტნიორი და/ან BICE-ს ქსელის წევრი ორგანიზაცია) სასტიკი მოპყრობის ნებისმიერი ეჭვისა თუ მისთვის ცნობილი ფაქტის შესახებ.

ურთიერთობა ბავშვებს შორის

16. BICE-ს თანამშრომლებისა და ინდივიდუალური წევრების ვალდებულებაა:

a. დაიცვან ისეთი ღირებულებები, როგორიცაა პატივისცემა, სოლიდარობა და არაძალადობრივი დამოკიდებულება ბავშვებს შორის.

b. არ დაუშვან სასტიკი მოპყრობის შემთხვევები ბავშვებს შორის.

c. ნაჩქარევად და მიკერძოებულად არ დაიკავონ რომელიმე მხარე ბავშვებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტების დროს.

მოზრდილებს შორის ურთიერთობა

17. BICE-ს თანამშრომლები და ინდივიდუალური წევრები:

a. ხელს შეუწყობენ თავისი ორგანიზაციის თანამშრომლებს შორის კომუნიკაციას ყველა დონეზე.

b. არ დაუშვებენ უღირს ქცევასა და უადგილო გამონათქვამებს (უხეშობა, სექსუალური ხასიათის რეპლიკები და ასე შემდეგ).

c. იქნებიან იმის გარანტი, რომ არ გამოიჩენენ შემწყნარებლობას არცერთი თანამშრომლის მიმართ, რომელიც სასტიკად მოეპყრო ბავშვს, აგრეთვე SREE-ს შემთხვევაში.

d. საკუთარ თავს არ მისცემენ ვინმეს მიმართ განზრახ ცრუ ბრალდების წაყენების უფლებას.

e. გარკვევით და კორექტულად მოახდინოს ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის ან SREE-ს ნებისმიერი შემთხვევის შეტყობინება, როგორც მსხვერპლის, ისე ეჭვმიტანილის ღირსებისა და უფლებების შეულახავად.

D. პროცედურები ძალადობის შემთხვევებში

სულისკვეთება

18. აშკარა ან სავარაუდო სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში განხორციელებულმა

ქმედებებმა არავის ღირსება არ უნდა შეურაცხყოს.

ამიტომაც, არ არის საჭირო ასეთი შემთხვევის შესახებ შეტყობინების ფაქტისა და ყველა შემდგომი პროცედურის გასაჯაროება. ბავშვის დაცვა და დამნაშავის (მოზრდილები, მოზარდები) დასჯა, როგორიც არ უნდა იყოს მათი სოციალური სტატუსი, სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი საზოგადოებრივი გაკიცხვის ობიექტებად უნდა ვაქციოთ, მით უმეტეს, თუ ეს პირები მხოლოდ ეჭვმიტანილები არიან. უდანაშაულობის პრეზუმპცია ძირითად დემოკრატიულ პრინციპად რჩება, რომლის დაცვა აუცილებელია.

ამ გაუსაჯაროებლობას არაფერი აქვს საერთო ეგრეთ წოდებულ „დუმილის კანონთან". ჩვენ კვლავაც ვადასტურებთ, რომ სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით, BICE-სა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ უნდა განხორციელდეს ოფიციალურად განსაზღვრული ყველა ქმედება, და ზოგჯერ - უფრო მეტიც. დაზარალებულმა ბავშვმა უნდა იცოდეს ყველა მიღებული ზომის შესახებ და ესმოდეს მათი არსი.

BICE-ს წევრ ორგანიზაციებს ამ სულისკვეთების გაზიარებისაკენ მოვუწოდებთ.

პროცედურები, რომლებიც პარტნიორმა ორგანიზაციებმა უნდა დაიცვან

19. თუკი ცნობილი გახდა აშკარა ან სავარაუდო ძალადობის შესახებ, პირველი, რაც უნდა გაკეთდეს - ეს არის ბავშვის დაცვა. ამგვარად, ორგანიზაციებმა თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ დაუყოვნებლივ მიღებული იქნას წინასწარი ზომები ბავშვის დასაცავად, მისი საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით. ასევე ყურადსაღებია, რომ დაზარალებულს გაეწიოს ეფექტური დახმარება, თუკი ოფიციალური პროცედურა გაწელილი ან არასაკმარისად ეფექტური აღმოჩნდება. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს წინასწარი ზომები ხანგრძლივმოქმედი აღმოჩნდება ხოლმე.

20. ამავდროულად, პარტნიორმა ორგანიზაციებმა უნდა დაიცვან ადგილობრივ დონეზე დადგენილი შეტყობინების ოფიციალური პროცედურა, და შესაბამისად, მიმართონ კომპეტენტურ ადმინისტრაციულ, სოციალურ, სამედიცინო და/ან სამართალდამცავ ორგანოებს.

21. BICE-ს პარტნიორი ორგანიზაციები ასევე იღებენ ვალდებულებას, რომ უმოკლეს ვადებში აცნობონ „BICE-ს ბავშვის დაცვის კომისიას" მათთვის ცნობილი დადასტურებული ან სავარაუდო სასტიკი მოპყრობის შემთხვევების შესახებ, აგრეთვე - სიტუაციის მოსაგვარებლად მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ. BICE-ს ბავშვის დაცვის კომისია ასევე უნდა იყოს ინფორმირებული აღმზრდელს/მზრუნველს (ფართო გაგებით) და მის აღსაზრდელს/ზრუნვის ქვეშ მყოფს შორის სექსუალური ურთიერთობის შემთხვევების შესახებ.

პროცედურები, რომლებიც უნდა დაიცვან თანამშრომლებმა[51]

თითოეულმა თანამშრომელმა უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს ხელმძღვანელობას[52]

[51] ინდივიდუალური ასოცირებული წევრებისთვის პროცედურა ადაპტირდება ადგილობრივ პირობებთან. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, მათ უნდა შეატყობინონ ბავშვის დაცვის კომისიას.

[52] შემთხვევიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს BICE-ს გენერალური მდივანი ან პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

ბავშვის მიმართ სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით მისი ეჭვების შესახებ, ან სასტიკი მოპყრობის მისთვის ცნობილი შემთხვევების შესახებ, აგრეთვე - აღმზრდელს/მზრუნველს და მის აღსაზრდელს/ზრუნვის ქვეშ მყოფს შორის სექსუალური ურთიერთობის შემთხვევების შესახებ (იხ. წერილის ნიმუში დანართი 2).

(I) დადასტურებული სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში

22. როგორც ბავშვთა ღირსებისა და უფლებების დამცველმა, თანამშრომელმა, რომელმაც შეიტყო სასტიკი მოპყრობის შესახებ, საკუთარ თავზე უნდა აიღოს მოცემული პრობლემის გადაჭრაზე პასუხისმგებლობა იქამდე, სანამ ნამდვილად არ იქნება მშვიდად დაზარალებულის ან დაზარალებულების ბედის გამო. კონკრეტულად რომ ვთქვათ, მან უნდა გააფრთხილოს თავისი უშუალო ხელმძღვანელი, რომელიც, თანამშრომელთან შეთანხმებით და მოქმედი პროცედურის შესაბამისად, თვალყურს ადევნებს იმას, რომ:

ა) საქმე გადაეცეს ადმინისტრაციულ და/ან სამართალდამცავ ორგანოებს და ოფიციალური პროცედურა იყოს დაცული.

ბ) BICE-ს ბავშვის დაცვის კომისიის ინფორმირება მოხდეს უმოკლეს ვადებში.

გ) გატარდეს პუნქტი 19-ით გათვალისწინებული ბავშვის დაცვის წინასწარი ზომები.

დ) სამწუხაროდ, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ხელმძღვანელმა გულგრილობა გამოიჩინოს ან უარყოფითად მოეკიდოს მომხდარს და სასტიკი მოპყრობის მონაწილეც კი აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში, თანამშრომელი პირდაპირ უკავშირდება BICE-ს ბავშვის დაცვის კომისიას, რათა განსაზღვროს თავისი ქცევის სტრატეგია (cpe@bice.org).

(II) თუ არსებობს ეჭვი სასტიკ მოპყრობაზე

საჭიროა იგივენაირად მოქმედება, §(I)-ით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. ხელმძღვანელი, რომელიც ინფორმირებული იყო, ყველაფერს გააკეთებს სიტუაციაში გასარკვევად: მოიძიებს მტკიცებულებებს, მოითხოვს სამედიცინო დათვალიერების ჩატარებას, ბავშვის ფსიქოლოგიურ დიაგნოსტირებას და ასე შემდეგ. თუ ეჭვი ეჭვად რჩება, საჭიროა სიფხიზლის შენარჩუნება და მოქმედების გაგრძელება § (I)-ით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

(III) თუ არსებობს ეჭვი ან დარწმუნებულობა მზრუნველს/აღმზრდელს და მისი ზრუნვის ქვეშ მყოფს/აღსაზრდელს შორის სექსუალური ურთიერთობის შესახებ

24. თანამშრომელი ასევე ვალდებულია, აცნობოს ამის შესახებ. პარტნიორი ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ამას წერტილი დაუსვას. ის დასჯის თანამშრომელს, რომელმაც დაუშვა მზრუნველს/აღმზრდელს და მისი ზრუნვის ქვეშ მყოფს/აღსაზრდელს შორის სექსუალური ურთიერთობა, და დაეხმარება ბავშვს, თუ ის პროგრამაში დარჩენას მოისურვებს.

25. თითოეულ შემთხვევაში, რომლებიც შეესაბამება §§ I, II, III-ში აღწერილ სიტუაციებს, შემტყობინებელმა უნდა გააკეთოს წერილობითი განაცხადი. იხილეთ დანართი 3-ში განცხადების ნიმუში, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ ან თქვენი საკუთარი

განცხადების შედგენისას ამ ნიმუშით იხელმძღვანელოთ.

სანქციები

26. სანქციები ხორციელდება იმ თანამშრომლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების[53] მიმართ, რომლებიც არ იცავენ BICE-ს ბავშვის დაცვის პოლიტიკას, არღვევენ ეთიკურ კოდექსს და დამნაშავენი არიან ბავშვთა მიმართ სასტიკ მოპყრობაში ან ამ ბოროტმოქმედების თანამონაწილენი არიან. ასეთი ფაქტების დამალვა, დუმილი წარმოადგენს თანამონაწილეობის ერთ-ერთ ფორმას; და პირიქით, სანქციები გამოიყენება ასევე იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ცილისმწამებლურ ბრალდებებს გამოთქვამენ.

27. BICE-ს, ადმინისტრაციული უფლებამოსილების ფარგლებში, შეუძლია სხვადასხვა სანქციების გამოყენება:

ა) დისციპლინარული სანქციები (საყვედური, თანამდებობიდან დროებით გადაყენება და ასე შემდეგ).

ბ) გათავისუფლება ან თანამშრომელთან სახელშეკრულებო ურთიერთობის გაწყვეტის ნებისმიერი სხვა ფორმა.

გ) სახელშეკრულებო ურთიერთობის შეჩერება ან შეწყვეტა BICE-ს პარტნიორ ორგანიზაციასთან ან ინდივიდუალურ ასოცირებულ წევრთან.

28. BICE-ს მიერ გატარებული სანქციები არ ჩაანაცვლებს არც ადმინისტრაციული და/ან სასამართლო ორგანოების მიერ საქმის წარმოებაში მიღებას, არც მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. BICE-ს სანქციები ასევე არ ჩაანაცვლებს იმ სანქციებს, რომლებიც, შესაძლოა, უშუალოდ პარტნიორმა ორგანიზაციამ მიიღოს.

29. პარტნიორმა ორგანიზაციებმა უნდა შეატყობინონ BICE-ს მუხლი 28-ის შესაბამისი მათი შესაძლო სანქციების შესახებ.

[53]გაწევრიანებულ ორგანიზაციებს, ინდივიდუალურ ასოცირებულ წევრებსა და BICE-ს შორის გამოყენებული პროცედურები ნაკლებად მკაცრია, თუმცა, მოქმედებს იგივე პრინციპი. მძიმე შემთხვევებში, ისინი შეიძლება გარიცხული იქნან ქსელიდან, BICE-ს წესდების მუხლი7, აბზაცი „ც“-ს თანახმად.

ნაწილი მესამე: „BICE-ს ბავშვის დაცვის კომისია“

BICE-მ შექმნა „ბავშვის დაცვის კომისია“.

ეს კომისია მოქმედებს BICE-ს შიგნით, რომელიც არის დამსაქმებელი თავისი თანამშრომლებისთვის.

პარტნიორ ორგანიზაციებში კომისია თავის მისიას ასრულებს პარტნიორ ორგანიზაციებსა და BICE-ს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების ფარგლებში.

რაც შეეხება გაწევრიანებულ ორგანიზაციებს ან ინდივიდუალურ ასოცირებულ წევრებს, მათთვის კომისია კონსულტანტის როლს ასრულებს.

ა) კომისიის ამოცანები

კომისიას აქვს სამი ამოცანა:

1. BICE-ს ბავშვის დაცვის პოლიტიკის განვითარება და ცხოვრებაში მისი გატარების მონიტორინგი

ამ მიზნით, ის თვალყურს ადევნებს, რომ:

ა. BICE-ს ყველა პარტნიორმა ორგანიზაციამ გაატაროს ბავშვის დაცვის ეფექტური პოლიტიკა.

ბ. BICE-ს ყველა თანამშრომელმა იცოდეს ეთიკის კოდექსი, ეთანხმებოდეს და ხელი მოაწეროს მას, აგრეთვე „დეკლარაციას და ვალდებულებას BICE-ს ბავშვის დაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებით“.

გ. კომისია ხელს უწყობს ერთიანი დონის ბავშვის დაცვის პოლიტიკის გავრცელებას BICE-ს წევრ ორგანიზაციებს შორის.

დ. ის თვალყურს ადევნებს, რომ BICE-ს ბავშვის დაცვის პოლიტიკა ასახული იყოს BICE-ს და მისი პარტნიორი ორგანიზაციების ყველა პროდუქციასა და საკომუნიკაციო საშუალებებზე.

2. დახმარება სასტიკი მოპყრობის სიტუაციის გამოვლენის შემთხვევაში

ა. კომისია - ეს არის მაკონტროლებელი ორგანო და ამიტომ მან უმოკლეს ვადებში უნდა მიიღოს ინფორმაცია ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის ნებისმიერი შემთხვევის შესახებ და იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც ამ პრობლემის მოსაგვარებლად განხორციელდა. კომისია უნდა დარწმუნდეს, რომ სასტიკი მოპყრობის ყველა შემთხვევა და ბრალდება, აგრეთვე ყველა საჩივარი დარეგისტრირდა და კონტროლზეა აყვანილი.

ბ. თანხლება - ეს ასევე კომისიის ამოცანაა: ის აფასებს სიტუაციას, რომლის შესახებაც მისთვის გახდა ცნობილი, შესაძლოა, მოუსმინოს შესაბამის პირებს და ახდენს თავისი შეხედულების ფორმულირებას დაზარალებულისთვის გაწეული დახმარებისა და განხორციელებული ქმედებების შესახებ.

3. კომისიის მიერ ხდება „ეთიკის კოდექსის“ შეფასება და გადახედვა, მინიმუმ 4-ჯერ წელიწადში, გამომდინარე მიღებული ახალი გამოცდილებიდან, ან თუკი გარკვეული სერიოზული მოვლენები მოითხოვს რაიმე ცვლილების შეტანას.

ამავე მოსაზრებით, კომისია მონაწილეობს სტრატეგიული გეგმების შედგენაში ნაწილისთვის „ბავშვის დაცვა“, რომელებსაც პერიოდულად შეიმუშავებს BICE.

ბ. კომისიის შემადგენლობა

კომისია იქმნება BICE-ს გენერალური მდივნის ინიციატივით, და მის შემადგენლობას ამტკიცებს გამგეობა.

ამ მულტიდისციპლინარული კომისიის შემადგენლობაში შედიან ადმინისტრატორი, გენერალური მდივანი, BICE-ს პროგრამული კომიტეტის თავმჯდომარე, ორი ექსპერტი (შესაძლებლობის მიხედვით, ბავშვთა ფსიქიატრი ან ფსიქოლოგი, აგრეთვე სასტიკი მოპყრობის საკითხებში სპეციალიზირებული იურისტი).

კომისიის წევრებს გააჩნიათ განახლებადი ოთხწლიანი მანდატი.

გ. BICE-ს ხელმძღვანელი ორგანოების ინფორმირება

უმოკლეს ვადებში, კომისია ინფორმაციას აწვდის BICE-ს პრეზიდენტს და ბიუროს სასტიკი მოპყრობის ნებისმიერი შემთხვევის შესახებ, რომლის შესახებაც მისთვის გახდა ცნობილი და რომელიც მის კონტროლზეა აყვანილი.

აუცილებლობის შემთხვევაში, კომისია შეიმუშავებს მოქმედების რეკომენდირებულ გეგმას.

შემდეგ ბიურო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეეხება დაზარალებულის დაცვას და/ან დახმარებას.

ეს გადაწყვეტილებები შეიძლება მოიცავდეს სანქციებს სოციალური დაცვის ფარგლებში, რასაც BICE მისი თანამშრომლების მიმართ იყენებს. ბიურო ასევე შეიძლება იძულებული გახდეს, შესაბამის ადმინისტრაციულ და/ან სასამართლო ორგანოებს მიმართოს.

BICE-ს გენერალური მდივანი ადგენს **ყოველწლიურ ანგარიშს** კომისიის მუშაობის შესახებ. ეს ანგარიში შედის გამგეობის სხდომის დღის წესრიგში, რომელიც წლის დასაწყისში იმართება.

ანგარიში გამოაქვთ განსახილველად, რის შემდეგაც განისაზღვრება მიმდინარე წლის მუშაობის მიმართულებები.

დანართი 2: „დეკლარაცია და ვალდებულება BICE-ს ბავშვის დაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებით“

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით მე, ქვემორე ხელისმომწერი, ვაცხადებ, რომ

1. მე ინფორმირებული ვიყავი ბავშვთა დაცვის საკითხებზე BICE-ს განსაკუთრებული ყურადღების შესახებ; გადმომეცა და გავეცანი BICE-ს ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკასა და BICE-ს ეთიკის კოდექსს, რომლის დაცვის ვალდებულებას ვიღებ, და რომლის ერთი ხელმოწერილი ეგზემპლარი თან ერთვის მოცემულ დეკლარაციას.

2. წარსულში, ჩემ მიმართ, არასდროს ყოფილა წაყენებული ბრალი და არასდროს ყოფილა გამოყენებული ადმინისტრაციული სანქციები იმგვარი ქცევის გამო, რომელიც მიუღებელია ბავშვების აღზრდით, მკურნალობით და თანხლებით დასაქმებული პირისთვის; საუბარია, კერძოდ, პედოფილიაზე, არაღირსეულ, ბავშვების ფიზიკური ხელშეუხებლობისთვის საფრთხის შემცველ საქციელზე, ბავშვების მიმართ სასტიკ მოპყრობაზე; ამჟამადაც, არ არის ჩემ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

3. მე ვალდებულებას ვიღებ, უმოკლეს ვადებში ვაცნობო ზემდგომ თანამშრომლებს და „BICE-ს ბავშვის დაცვის კომისიას“ ნებისმიერი ინფორმაცია ბავშვის მიმართ აშკარა ან სავარაუდო სასტიკი მოპყრობის შესახებ დაწესებულებაში, რომელშიც ვმუშაობ და/ან მისი პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია ამგვარი ქმედებების შესახებ. იგივე შეეხება მზრუნველის/აღმზრდელის სექსუალურ ურთიერთობებს მისი ზრუნვის ქვეშ მყოფთან/აღსაზრდელთან. ბავშვის დაცვის კომისიის მისამართია: cpe@bice.org

4. მე ვიყავი ინფორმირებული იმის შესახებ, რომ თუ გაჩნდება ეჭვი ბავშვების მიმართ ჩემი სასტიკი მოპყრობის შესახებ, BICE და/ან პარტნიორი ორგანიზაცია, რომელშიც მე ვმუშაობ, მიიღებენ შესაბამის ზომებს, კომპეტენტურ ადმინისტრაციულ და/ან სასამართლო ორგანოებში მიმართვის ჩათვლით.

5. მე ვიყავი ინფორმირებული იმის შესახებ, რომ აღმზრდელს/მზრუნველსა და მის აღსაზრდელს/ზრუნვის ქვეშ მყოფს შორის სექსუალური ურთიერთობების გაჩენის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის თანხმობითაც კი, გამოყენებული სანქციები შეიძლება მოიცავდეს შრომითი ხელშეკრულების გაწყვეტას.

6. მე ვიყავი ინფორმირებული იმის შესახებ, რომ ბავშვების ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის დარღვევის გამო კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში, დაწესებულება იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების გაწყვეტის მიზეზების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სხვა დაწესებულებებს, რომლებმაც შეიძლება მიმართონ პროფესიული რეკომენდაციებისთვის. ამასთან, დაცული იქნება კანონმდებლობა ინფორმაციის შენახვის/დაცვის შესახებ.

თარიღი: ადგილი:

გვარი: ხელმოწერა

დანართი 3: განცხადების ნიმუში

თუ თქვენ წუხართ იმის გამო, რომ ბავშვს, შესაძლოა, სასტიკად ეპყრობიან, თქვენ ის უნდა დაიცვათ და ამ ფაქტის შესახებ შეტყობინება გააკეთოთ იმ პროცედურის შესაბამისად, რომელიც აღწერილია ეთიკის კოდექსში.

სხვა ყველაფერთან ერთად, თქვენ ინფორმაცია უნდა მიაწოდოთ BICE-ს ბავშვის დაცვის კომისიას, ან თქვენი უშუალო ხელმძღვანელის მეშვეობით, ან - პირდაპირ.

გთავაზობთ წერილის ნიმუშს, რომლის გამოყენებასაც ჩვენ გირჩევთ.

1. **როგორია თქვენი მომართვის მიზეზები?** *(მოკლედ აღწერეთ)*

- თქვენ იყავით ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის **მოწმე**?
- თქვენ **ეჭვი გაქვთ** ვინმეზე ბავშვის მიმართ სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით?
  რა ფაქტები ადასტურებენ თქვენს წუხილს?
- თქვენ **ფიქრობთ,** რომ რომელიღაც ბავშვს სასტიკად ეპყრობიან?
  რა გაძლევთ საფუძველს, რომ ასე იფიქროთ?
- **ვიღაცამ გაგიზიარათ** თავისი ეჭვები ან სასტიკი მოპყრობის დამადასტურებელი ფაქტები?
  რა გითხრათ მან?
- **ბავშვმა გაგიმხილათ,** რომ მას სასტიკად ეპყრობიან ან ეპყრობოდნენ?
  რა გითხრათ მან?

2. როგორია ფაქტები? *მონიშნეთ შესაბამისი სტრიქონები*

- სექსუალური ძალადობა
- ფიზიკური ძალადობა
- ფსიქოლოგიური ძალადობა
- უგულებელყოფა
- ექსპლუატაცია
- მიტოვება
- დისკრიმინაცია

დაა ზუსტეთ, რა ფაქტს ჰქონდა ადგილი. მიუთითეთ შემთხვევის ადგილი და დრო.

3. ძალადობაში ეჭვმიტანილის პირადი მონაცემები:

გვარი:
თანამდებობა:
სამუშაო ადგილი:

4. სხვა დაზუსტებები და შენიშვნები:

შეტყობინების ავტორის პირადი მონაცემები:
გვარი:
თანამდებობა:
სამუშაო ადგილი:
ტელეფონი:

ხელმოწერა: **თარიღი:**

NB: ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ, დავიცვათ შეტყობინების ავტორის პირადი მონაცემების კონფიდენციალურობა.

დანართი 4: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლები ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ

მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს მიმართავენ, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყო ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ებყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ.

2. დაცვის ასეთი ზომები, აუცილებლობის შემთხვევაში, მოცავს ეფექტიან პროცედურებს სოციალური პროგრამების შესამუშავებლად იმ მიზნით, რომ მხარდაჭერა გაუწიონ ბავშვს და მასზე მზრუნველ პირებს, აგრეთვე განახორციელონ გაფრთხილებისა და გამოვლენის, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის სხვა ფორმები და შემდგომი ღონისძიებანი ბავშვისადმი სასტიკი მოპყრობის ზემოთ ნახსენებ შემთხვევებთან დაკავშირებით, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლო პროცედურის აღძვრისათვის.

მუხლი 34

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ დაიცვან ბავშვი ყველა ფორმის სექსუალური ექსპლუატაციისაგან და სექსუალური ცდუნებისაგან. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეებზე ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა აღკვეთონ:

ა) ბავშვის დაყოლიება ან იძულება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ საქმიანობაზე;

ბ) ბავშვების გამოყენება ექსპლუატაციის მიზნით პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში;

გ) ბავშვების გამოყენება ექსპლუატაციის მიზნით პორნოგრაფიაში და პორნოგრაფიულ მასალებში.

მუხლი 35

მონაწილე სახელმწიფოები ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეებზე ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა აღკვეთონ ბავშვების მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი კონტრაბანდა ნებისმიერი მიზნით და ნებისმიერი ფორმით.

მუხლი 36

მონაწილე სახელმწიფოები ბავშვს იცავენ ყველა სხვა ფორმის ექსპლუატაციისაგან, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის კეთილდღეობის ნებისმიერ ასპექტს.

მუხლი 39

მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო ზომას მიმართავენ, რათა ხელი შეუწყონ

დანართი 4: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლები ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ

იმ ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ აღდგენას და სოციალურ რეინტეგრაციას, რომელიც არის ყველა სახის უგულებელყოფის, ექსპლუატაციისა და ბოროტმოქმედების, წამების ან ნებისმიერი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის, დასჯის ან შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლი. ასეთი აღდგენა და რეინტეგრაცია უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის ჯანმრთელობის, საკუთარი თავის პატივისცემის და ღირსების უზრუნველმყოფ პირობებში.

დანართი 5: BICE-ს პოზიცია

ძალისხმევის მობილიზება სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციისგან ბავშვების დასაცავად

შესავალი

ბავშვის საერთაშორისო კათოლიკური ბიურო (BICE) და 25 ორგანიზაცია[54] აფრიკული, ლათინოამერიკული, აზიური და ევროპული ქვეყნებიდან, BICE-ს პარტნიორები პროგრამის „ბავშვებისადმი ღირსეული მოპყრობის პრაქტიკის განვითარება და ბავშვის მიმართ სასტიკ მოპყრობასთან ბრძოლა“[55] (შემდგომში პროგრამა „სასტიკი მოპყრობა/ ღირსეული მოპყრობა“) განხორციელებაში, კვლავ ადასტურებენ, რომ მხოლოდ **მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც შესაბამისობაშია მოყვანილი** გაეროს ბავშვის უფლებათა **კონვენციასთან** (CRC), მის ფაკულტატურ ოქმებთან, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) კონვენციებთან და რეკომენდაციებთან, შესაბამის რეგიონალურ დოკუმენტებთან, - იქნება ყოველი ბავშვის ძირითადი უფლებების დაცვის გარანტი.[56]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, 2006 წელს ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ჩატარებული კვლევის შედეგად, მძიმე სურათი გამოიკვეთა. მასში აღნიშნულია, რომ „ბავშვთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში არ უნდა იყოს არანაირი კომპრომისი“.[57] მიუხედავად ამისა, ხუთი წლის შემდეგ, ამ კვლევის რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციის მრჩეველთა კომიტეტის მოხსენებაში, შემაშფოთებელი აღიარება კეთდება: „სამწუხარო რეალობა ისაა, რომ მოზრდილები, რომლებიც ბავშვების გვერდით იმყოფებიან და მათი ცხოვრების ნაწილს წარმოადგენენ (მშობლები, მასწავლებლები, დამხმარეები), უწინდებურად ამცირებენ და სცემენ ბავშვებს, აგრეთვე ახორციელებენ მათზე სექსუალურ ძალადობას“[58] და რომ „მილიონობით ბავშვი კვლავ განიცდის ძალადობას,

---

[54]Kazakhstan: Podrugi (Almaty), Kenes, Moldova: Child's Rights Information Center (CRIC) (Chisinau), Voinicel, Chile: Paicabi (Corporación de Promoción y Apoyo a la Infancia), la Vicaría de Pastoral Social de los Trabajadores (VPST), Hermanos de las Escuelas Cristianas, Hermanos Maristas, Hogar de Cristo, Vicaría de Pastoral Social, Uruguay: JPC - Juventud para Cristo, Bolivia: le CEINDES (Centro de Investigación Social para el Desarrollo Socioeconómico), EEC - Comisión de Educación y Cultura (Conferencia Episcopal), Brazil: CAF - Casa Filadelfia, Associação Brasileira Terra dos Homens (ABTH), INBRADESE – Instituto Brasileiro de Desenvolvimento Social e Educacional, INDICA, Pastoral do Menor Nacional, Cambodia: Smiling Cambodian Children, Ivory Coast: Droits et Dignité de l'Enfant en Côte d'Ivoire; Nepal: Briser le silence contre les abus sexuels, AAWAAJ , Paraguay: BECA (Base Educativa Comunitaria de Aprendizaj), Asociación CALLESCUELA, Peru: Cedapp - Centro de Desarrollo y Asesoria psicosocial, CESIP - Centro de Estudios Sociales y Publicaciones, COMETA - Compromiso desde la Infancia y Adolescencia, IFEJANT - Instituto de Formación Educadores de Jóvenes, Adolescentes y Niños Trabajadores de América Latina, INFANT - Instituto de Formación de Adolescentes y Niños Trabajadores, MANTHOC – Movimiento de Adolescentes y Niños Trabajadores Hijos de Obreros Cristianos, OPA - Observatorio de Prisiones de Arequipa, Dominican Republic: Centro Cultural Poveda (CCP) avec le Ministère de l'Education.Russia: NAN Foundation (Moscow), OZON (Moscow) and Initiative Civique (Zlatoust), Togo: Bureau National Catholique del'Enfance; Ukraine: Women's Consortium (Kiev).

[55]- Interim Assessment of the Well-Treatment/ Maltreatment Program, BICE, Brussels, October 2012 available on BICE website: http://www.BICE.org/fr/actualites-du-BICE/actualites-BICE/dernieres-actualites/1182-premier-bilanencourageant-de-notre-programme-international-de-lutte-contre-la-maltraitance.html

[56]A/61/299, § 2.

[57] - Five years later: a global point on violence against children, pages 9-10.

[58] Ibid.

უხეშ ძალადობას".[59] ბავშვის უფლებათა კომიტეტი,[60] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლები, რომელთა მანდატი შეეხება ბავშვთა მიმართ ძალადობას, მსგავს დასკვნამდე მივიდნენ,[61] ხოლო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO), ჯერ კიდევ 2002 წელს, მიაქცია ყურადღება „ოჯახში სექსუალური ძალადობის" განუხრელ ზრდას, მათ შორის, განვითარებულ ქვეყნებში;[62] ამას გარდა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აღნიშნავდა, რომ „18 წელზე ნაკლები ასაკის 150 მილიონზე მეტ გოგონას 73 მილიონზე მეტ ვაჟს ჰქონდათ იძულებითი სექსუალური ურთიერთობები ან განიცდიდნენ სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებს".[63] გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, ყოველწლიურად სექს-ინდუსტრიაში ერთვება დაახლოებით 2 მილიონი ბავშვი. ინტერნეტში განთავსებულია სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 10 000-დან 20 000-მდე ბავშვის ერთ მილიონზე მეტი ფოტოსურათი. ამ 10 000-დან 20 000-მდე ბავშვებისაგან მხოლოდ რამდენიმე ასეულის იდენტიფიცირება მოხდა. დანარჩენებზე, უცნობებსა და მიტოვებულებზე, შესაძლოა, მუდმივი ძალადობა კვლავ გრძელდება".[64]

თავის მხრივ, **დეკლარაცია და მოქმედების გეგმა (რიო დე ჟანეირო, 2008),** რომელიც შეეხე-ბა ბავშვებისა და მოზარდების სექსუალური ექსპლუატაციის პრევენციას და აღმოფხვრას, გამოჰყოფს 2013 წელს, როგორც უკიდურეს ვადას, იმგვარი მექანიზმებისა და/ან პროცედურების შესაქმნელად, რომლებიც გააადვილებენ **თანამშრომლობას ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე.** ეს მექანიზმე-ბი და პროცედურები მოიცავს სექსუალური ექსპლუატაციის ეჭვებისა და ფაქტების შესახებ ეფექტურ და ადვილად მისაწვდომ **შეტყობინების სისტემას,** ამ შემთხვევების მართვას და დაზარალებული ბავშვების დახმარებას დამოუკიდებელი ნაციონალური დაწესებულებების მხრიდან, რომლებიც მოწოდებულნი არიან დაიცვან ბავშვთა უფლებები.

ეს მიზანი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა მიღწეული.

იმის მიუხედავად, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს „დაიცვან ბავშვი ყველა ფორმის სექსუალური ძალადობისგან და სექსუალური ექსპლუატაციისგან" (მუხლი 34) და მიმართონ „ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რათა ბავშვი და-იცვან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყო ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ" (მუხლი 19), ეს მიზნები ჯერ ისევ მიუწვდომელია.

---

[59] General Comment n.13 (2011), Concluding Observations: CRC/C/TGO/CO/3-4, §§ 49-50 and 69-70 (Togo), CRC/C/BOL/CO/4, §§ 77-80 (Bolivia); CRC/C/OPSC/UKR/CO/1, §§ 29-30 (Ukraine); CRC/C/KHM/CO/2, §§ 49-50, 71-74 (Cambodia).

[60] A/HCR/20/18/Add.1, §§ 5-16 (Australia), A/HCR/20/18/Add.2, §§ 7-16 (Thailand), A/HRC/17/35/Add.4 (Argentine) and A/HRC/17/35/Add.3 (Uruguay): Mission Report of the Special Rapporteur on trafficking in persons, especially women and children, Joy Ngozi Ezeilo.

[61] A/61/299, § 44.

[62] მიახლოებით შეფასება მომზადებულია გ. ანდრიუსის და სხვების მიერ, ბავშვზე სექსუალური ძალადობა თავი 23

[63] ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვების სექსუალური ძალდობისა და ექსპლუატაციისაგან დაცვის შესახებ STCE n° 201, §§ 1-2.

[64] მესამე მსოფლიო კონგრესი ბავშვებსა და მოზრდილებზე სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, რიოს დეკალარაცია http://www.ecpat.net/ei/Updates/FRWCIIIOutcome.pdf. მეორე მსოფლიო კონგრესი გაიმართა 2001 წელს იოკოჰომოში. http://www.csecworldcongress.org/en/yokohama/index.htm;komerciuli სექსუალური ექპლუატაციის წინააღმდეგ გაიმართა 1996 წელს სტოკჰოლმში http://www.csecworldcongress.org/fr/index.htm

სწორედ ამიტომ, BICE და მისი პარტნიორი 25 ორგანიზაცია მოუწოდებს ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ გლობალური მოქმედებისაკენ, და ყველა ძალის კიდევ უფრო მეტი მობილიზებისაკენ, დაზარალებული ბავშვების, რისკ-ჯგუფის ბავშვებისა და/ან სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ბავშვების ოპტიმალური დაცვის უზრუნველსაყოფად.

1. ორიენტაცია და განმარტება

მოცემული დოკუმენტი დაფუძნებულია BICE-ს პროგრამის „სასტიკი მოპყრობა/ღირსეული მოპყრობა“ შედეგებზე, აგრეთვე ჩვენი ორგანიზაციის მიერ დაგროვილ გამოცდილებასა და ცოდნაზე. მასში აქცენტი კეთდება ბავშვთა მიმართ ძალადობის სულ უფრო მზარდ შემთხვევებზე გარემოში, რომელიც მათ ნდობას იწვევს, როგორიცაა ოჯახი, სკოლა, ბავშვთა თავშესაფრები, სამკურნალო დაწესებულებები, აგრეთვე ნდობით აღჭურვილი პირების მხრიდან, როგორებიც არიან მშობლები და ნათესავები, მეზობლები, მასწავლებლები, პედაგოგები, მედიკოსები და ასე შემდეგ. ამას გარდა, მოცემული დოკუმენტი კონცენტრირდება ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასა და სექსუალურ ექსპლუატაციაზე, ძალადობის ახალი ფორმებისა და ინტერნეტის მეშვეობით ექსპლუატაციის ჩათვლით.

BICE დარწმუნებულია, რომ ამ მოვლენის ძალზე ზუსტი განსაზღვრით, მატულობს საფრთხე იმისა, რომ ხელი შეეშალოს სექსუალურ ძალადობასთან და სექსუალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დანაშაულების დაუსჯელობასთან ბრძოლას. თუმცა, ამგვარი განმარტების არარსებობისას, აუცილებელია, გამოიყოს ამ პრობლემების კრიტერიუმები და ნიშნები.

ბავშვის უფლებების კომიტეტის მე-13 ზოგად კომენტარში,[65] რომელიც ეფუძნება ბავშვის უფლებათა კონვენციას, კერძოდ, მის მე-19 და 34-ე მუხლებს, მოყვანილია შემდეგი ელემენტები:

ა) **ბავშვის ცდუნება ან იძულება არაკანონიერ ან ფსიქოლოგიურად საზიანო სექსუალურ ქმედებებში ჩასართველად**. კომიტეტი აზუსტებს, რომ სექსუალური ძალადობა მოიცავს ნებისმიერ სექსუალურ ქმედებას, რომელსაც მოზრდილი ადამიანი თავს ახვევს ბავშვს და რომლისგან დაცვის უფლება ბავშვს აქვს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად. სექსუალური ქმედებები ასევე მიიჩნევა ძალადობად, როდესაც მათ ანხორციელებს თვითონ ბავშვი სხვა ბავშვებთან მიმართებაში, თუ ბავშვი-ინიციატორი მნიშვნელოვნად უფროსია ბავშვ-მსხვერპლზე ან იყენებს ძალას, მუქარას ან ზეწოლის სხვა საშუალებებს. სექსუალური ქმედებები ბავშვებს შორის არ ითვლება სექსუალურ ძალადობად, თუკი მათი ასაკი მეტია იმ მინიმალურ ასაკზე, რომელიც სახელმწიფოს მიერ დადგენილია, როგორც ორმხრივი თანხმობით სექსუალური ქმედებების დასაშვები ასაკი.

[65] CRC/C/GC/13, § 25, ბავშვის უფლება იყოს დაცული ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან

დანართი 5: BICE-ს პოზიცია

BICE სექსუალურ ძალადობად მიიჩნევს:

- სექსუალურ ქმედებებს ან სექსუალური ქმედებების მცდელობებს ბავშვთან, რომელსაც არ მიუღწევია ამგვარი ქმედებების განხორციელებისთვის დასაშვები ასაკისთვის, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, თუკი ასეთი არსებობს, ან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.
- სექსუალური ქმედებები ან სექსუალური ქმედებების მცდელობები ბავშვთან, მოტყუებით, იძულებით (ძალის, ძალადობის სხვადასხვა ფორმის გამოყენება) და მუქარით, ბავშვის უმწეო მდგომარეობის საკუთარი ძალაუფლების, ბავშვზე საკუთარი ზეგავლენის ან ბავშვის ნდობის გამოყენებით. ბავშვის ასაკი არ ასრულებს განმსაზღვრელ როლს. ადამიანის სტატუსი, ვინც ამგვარ ქმედებებს სჩადის, შეიძლება წარმოადგენდეს დამამძიმებელ გარემოებას.

ორივე შემთხვევაში, დაზარალებულის აშკარა ან ფარული თანხმობა არ ამართლებს დამნაშავეს სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის ჩადენის მხრივ. ბრალდებისთვის საკმარისია დანაშაულის არსებითი მტკიცებულებების ერთობლიობა.

ბ) ბავშვის გამოყენება კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით

BICE-სთვის, სექსუალური ექსპლუატაცია - ეს არის ბავშვების ექსპლუატაცია პროსტიტუციის მიზნით, ან პორნოგრაფიული ხასიათის აუდიო- ან ვიდეოპროდუქციის შექმნის მიზნით, აგრეთვე ბავშვთა პორნოგრაფიის ან კიბერდანაშაულისთვის.

გ) ბავშვების გამოყენება ბავშვებზე სექსუალური ძალადობის სცენების შემცველ აუდიო -ან ვიდეოპროდუქციაში.

დ) ბავშვთა პროსტიტუცია, სექსუალური მონობა, სექსუალური ექსპლუატაცია მოგზაურობისა და ტურიზმის დროს, ბავშვებით ვაჭრობა (ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის) და ბავშვებით ვაჭრობა სექსუალური მიზნებისათვის, აგრეთვე იძულებითი ქორწინება. ბევრი ბავშვი ხდება გარყვნილი ქმედებების მსხვერპლი, რომლებსაც თან არ ახლავს ფიზიკური ძალადობა ან იძულება, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი ბავშვის ტრავმირებას იწვევენ და წარმოადგენენ ფსიქოლოგიურად მატრავმირებელ ჩარევას და ექსპლუატაციას.

BICE-ს პოზიცია ოთხი მიმართულებით აიგება: **პრევენცია, დაცვა, ბავშვების მონაწილეობა და თანამშრომლობა ნაციონალურ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე.** ეს მიმართულებები გამყარებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითად პრინციპებში, რომლებიც ორიენტირი უნდა იყოს სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის კრიტერიუმების და არსებითი ნიშნების ანალიზისა და ინტერპრეტირებისას:

ა) სამართლებრივი მიდგომა, რომელიც აღიარებს ბავშვს, როგორც სამართლის სუბიექტს, ითვალისწინებს მის აზრს, უზრუნველყოფს პროცესუალურ გარანტიებს სასამართლო, არასასამართლო და ადმინისტრაციულ სფეროებში და უზრუნველყოფს საჩივრის, სარჩელის შეტანის, სასამართლო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას და სხვა.

ბ) **ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა** (ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი 3 და ზოგადი კომენტარი №14) ბავშვის ძირითადი, პრიორიტეტული უფლებაა, საძირკველია, რომელსაც ეფუძნება ბავშვის უფლებათა მთლიანი „შენობა“. ეს უფლება პრევალირებს ყველა ფაქტორზე, რომლებიც ხელს არ უწყობენ ბავშვის ძირითადი უფლებების დაცვას. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არასრულწლოვანთან დაკავშირებული პროცესის გამოძიებისა და განხილვის დაწყებამდე, მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ.[66]

გ) **დისკრიმინაციის დაუშვებლობა** (ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი 2): ვერანაირი დისკრიმინაციული გადაწყვეტილება, მიღებული სქესის, რასის, კანის ფერის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ლეგალური ან არალეგალური მდგომარეობის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ეროვნულ უმცირესობასთან ან მკვიდრ მოსახლეობასთან მიკუთვნებულობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების, სექსუალური ორიენტაციის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ინვალიდობის ანდა რაიმე სხვა გარემოებების მიხედვით, - კანონიერი გზით ვერ შეუშლის ხელს ბავშვთან მიმართებაში პრევენციული და დამცავი ღონისძიებების გატარებას. ყველა ბავშვს თანაბარი მოპყრობის უფლება აქვს.

დ) **იყოს მოსმენილი და მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებების მიღებაში,** რომლებიც ბავშვს ეხება (ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი 12): აუცილებელია შეიქმნას ბავშვზე მორგებული (child-friendly) პირობები იმისთვის, რომ ბავშვს შესაძლებლობა მიეცეს, გამოთქვას თავისი შეხედულებები და მას მოუსმინონ, წაახალისონ მისი მონაწილეობა, იმის მიუხედავად, იქნება ის დამნაშავე, ინიციატორი, მოწმე თუ დაზარალებული. ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი შეხედულება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ბავშვი მოსმენილი უნდა იქნას ნებისმიერი სასამართლო თუ ადმინისტრაციული განხილვისას, რომელიც მას ეხება, ან უშუალოდ, ან მისი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანიზაციის მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით განსაზღვრული წესით.

ე) **პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა** (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 16): პირად და ოჯახურ ცხოვრებაში თვითნებური და უკანონო ჩარევა აკრძალულია; თუმცაღა, ოჯახში ძალადობის ან ძალადობაზე ეჭვის შემთხვევაში, ეს არ უნდა გახდეს სახელმწიფოსათვის და მისი სამსახურებისთვის უმოქმედობის საბაბი. ჩარევა კანონის ფარგლებში უნდა მოხდეს და უნდა გამოიხატებოდეს ბავშვის ფსიქოსოციალურ მხარდაჭერაში სასამართლო პროცედურის დროს (საქმის დახურული მოსმენა, ჩაწერილი ჩვენებების კონფიდენციალურობა, დაბურული/დაბლარული ფოტოსურათები, ხმის შეცვლა და ასე შემდეგ.) და შემდგომ (დელიკატური ინფორმაციის გაუვრცელებლობა, მაგალითად, ბავშვის ნასამართლეობის შესახებ მისი პროფესიული ინტეგრაციისას სახელმწიფო ან კერძო უწყებებში, მიმღებ ოჯახში ან რომელიმე დაწესებულებაში მისი მოწყობისას და ასე შემდეგ).

[66] იხილეთ ზოგადი კომენტარი n°14 (CRC/C/GC/14), 2013.

2. პრევენცია

BICE პრევენციულ სამუშაოებს ანხორციელებს სამ დონეზე:

პირველადი პრევენცია: ზოგადი პრევენცია, ჩატარებული ჯანდაცვისა და განათლების სისტემების, სოციალური სამსახურების მიერ და სხვა;

მეორე დონის პრევენცია: მიზანმიმართული პრევენცია და სახელმწიფო პოლიტიკა;[67]

მესამე დონის პრევენცია: უწყებათაშორის თანამშრომლობა სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას;[67]

სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციისგან ყველაზე ეფექტური დაცვა არის პრევენცია, რომელიც დაფუძნებულია მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობაზე, შესაბამისობაშია მოყვანილი საერთაშორისო ნორმებთან და გამყარებულია პრევენციაზე, ბავშვების დაცვაზე, მხარდაჭერასა და მონაწილეობაზე მიმართული მულტიდისციპლინური და უწყებათაშორისი სტრატეგიით. სწორედ ამიტომ BICE:

ა) ატარებს მუშაობას მშობლებთან, რათა დაეხმაროს მათ, აღზარდონ ბავშვები უსაფრთხო გარემოში, გამოიყენონ აღზრდის მართებული მეთოდები, დაფუძნებული ბავშვთა უფლებების, მათი განვითარების თავისებურებების და დისციპლინის გაცნობიერებული დაცვის ტექნიკების ცოდნაზე, შვილი-მშობლის ურთიერთობების გამყარების მიზნით;

ბ) ატარებს საზოგადოებრივ საინფორმაციო კამპანიებს და მონაწილეობს სხვადასხვა ადგილობრივ ტელე და რადიო გადაცემებში, სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის მიმართ ტოლერანტულ და შემწყნარებლურ დამოკიდებულებასთან ბრძოლის მიზნით;

გ) ახდენს სემინარების ორგანიზებას სახელმწიფო მოხელეების, ფსიქოლოგების, მასწავლებლების, პედაგოგების, აღმზრდელების, სოციალური მუშაკების, მედიკოსების, მოსამართლეების, პოლიციელების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

დ) ქმნის მასმედიის თვითრეგულირების მექანიზმებს, მასმედიის პროფესიონალთა ქარტიის მიერ მათი მიღების მეშვეობით, რათა სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევები გაშუქდეს ბავშვის, როგორც უფლების მქონე სუბიექტის მიმართ და როგორც ადამიანის მიმართ პატივისცემით, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადეკვატური მხარდაჭერით იმისთვის, რომ მან მომავალში კონსტრუქციული როლის შესრულება შეძლოს (ოჯახური და პირადი ცხოვრების პატივისცემა, ნასამართლეობ(ებ)ის შესახებ მონაცემების გაუვრცელებლობა, რომლებმაც შეიძლება ბავშვს ზიანი მიაყენონ).

[67] ზოგად კომენტარში 13 ში ნათქვამია "it is necessary to focus on general prevention (primary) and targeted prevention (second) during all the elaboration and implementation phases of the systems for the protection of the child, § 46.

2.1. სახელმწიფოების როლი

სახელმწიფოების მოღვაწეობა სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის პრევენციისთვის უნდა მოიცავდეს შემდეგ ვალდებულებებს:
სამართლებრივი ასპექტები

1. რატიფიცირება სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის მიმართ შეუწყნარებლობასთან შეუთავსებელი **ყოველგვარი პირობის/დათქმის გარეშე,** საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებისა, როგორიცაა ბავშვის უფლებათა კონვენცია და მისი ფაკულტატური ოქმები, გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, რომლის მიზანია - ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებით და ბავშვებით უკანონო ვაჭრობის პრევენცია, აღკვეთა და დასჯა; აგრეთვე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) და ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაეროს ოფისის (UNODC) შესაბამისი კონვენციები; მოქმედი ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო ნორმებთან, რომელთა დაცვაზე თანხმობა თავისუფლად იყო გამოხატული სახელმწიფოების მიერ მათ სწრაფვაში, აღმოფხვრან ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა და სექსუალური ექსპლუატაცია;

2. ნაციონალური კანონმდებლობის სრულყოფა, ცვლილებების, ევოლუციისა და ახალი საფრთხეების არსის გათვალისწინებით, და:

- პირველ რიგში, **სამართლებრივ მიდგომაზე** დაყრდნობით, ბავშვების მონაწილეობასა და ბავშვის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული დემოკრატიული პრინციპების გატარება;

- **კიბერდანაშაულის ნებისმიერი ფორმისთვის** სასჯელის გათვალისწინება, კერძოდ, ისეთებისთვის, როგორიცაა ბავშვთა პროსტიტუცია, კიბერპორნოგრაფია, ბავშვთა პორნოგრაფია ინტერნეტში, სექსტურიზმი ბავშვების მონაწილეობით, ბავშვებით ვაჭრობა სექსუალური მიზნებისთვის; განსაზღვრული წესების არსებობა ახალი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სფეროში, ინტერნეტში დომენური სახელების რეგისტრაციისა და ინტერნეტში წვდომისთვის, ინტერნეტ-სერვისების მიმწოდებლებისთვის, მობილური კავშირების ოპერატორებისთვის, პროგრამული უზრუნველყოფის შემმუშავებლებისთვის, ინტერნეტ-საიტების და სოციალური ქსელების მფლობელებისთვის, ინტერნეტ-კაფეებისთვის, ბლოგებისთვის;

- **დანაშაულად იქნას აღიარებული ბავშვების მონაწილეობით პორნოგრაფიული მასალის წარმოება, ფლობა, შენახვა, გავრცელება და გადაცემა**, მათ შორის, პირდაპირი ეთერითაც;

- **კვალიფიცირებული იქნას, როგორც სპეციფიკური დანაშაული, სექსუალური ძალადობა და სექსუალური ექსპლუატაცია ოჯახში, სკოლაში, პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებში, სამუშაო ადგილზე, კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვების ცხოვრებას და მხარდაჭერას, აგრეთვე**

ბავშვებთან მომუშავე ყველა სხვა სტრუქტურაში. ძალადობა და ექსპლუატაცია მშობლის, აღმზრდელის ან სპეციალისტის მხრიდან, რომლებსაც ბავშვი ბუნებრივად ენდობა, წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას. მცდელობა და აქტიური ან პასიური თანამონაწილეობა უნდა ისჯებოდეს ისევე, როგორც უშუალოდ ძალადობა და ექსპლუატაცია;

- აუცილებელია, დაწესდეს სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობის და ქორწინების **მინიმალური ასაკი,** რათა პატარა გოგონები ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი არ გახდნენ და არიდებული იქნას ადრეული ან იძულებით ქორწინება;

- ბავშვის დაცვისა და ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის პრევენციის ჩართვა **იმ დაწესებულებების სამართლებრივ ველში და სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკაში**, რომლებიც მუშაობენ ტურიზმის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის და ფინანსების სფეროებში, აგრეთვე კომუნიკაციურ სფეროში, მასმედიაში, ინტერნეტ-სერვისებში, რეკლამაში და გართობის სფეროში.[68]

სახელმწიფო პოლიტიკა

- **ზედამხედველობის სისტემის შექმნა,** რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ, დავეხმაროთ და თვალყური ვადევნოთ რისკ-ჯგუფის ბავშვებს ან იმ ბავშვებს, რომლებმაც უკვე განიცადეს ძალადობა ოჯახში, სკოლაში, ბავშვების მიმღებ და დამხმარე დაწესებულებებში ან სამკურნალო დაწესებულებებში. უნდა არსებობდეს მოქმედი მექანიზმი, მაგალითად, ცხელი ხაზის ტელეფონი, სადაც შესაძლებელი იქნება მიმართვა საგანგაშო სიტუაციაში. ეს სისტემა ასევე განკუთვნილი უნდა იყოს ოჯახებისთვის, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ თავიანთი ბავშვებისთვის, რაც გამოვლინდა გარკვეული სიგნალების წყალობით (ძალადობის შემთხვევები წარსულში, ბავშვებზე მეთვალყურეობის არარსებობა პასუხისმგებელი მოზრდილის მხრიდან, სოციალური სამსახურების ანგარიშები), მათთვის ძალადობის პრევენციის, მიჯაჭვულობის გრძნობის განვითარების, ბავშვის არაძალადობრივი აღზრდის, პოზიტიური მშობლობის თემებზე ცოდნის მიწოდებით და უნარების განვითარებით;

- სახელმწიფო მოხელეების **სწავლების, გადამზადებისა და მონიტორინგის ჩატარება,** რომლებიც მოწოდებულნი არიან დაიცვან საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანილი მოქმედი კანონმდებლობა, და თვალყური ადევნონ მის გამოყენებას;

- **სასწავლო გეგმებში** ბავშვის ასაკის შესაბამისად ადაპტირებული **ბავშვთა სექსუალური აღზრდის პროგრამების ჩართვა,** ხოლო **მასწავლებლებისთვის, სკოლის სხვა თანამშრომლებისთვის და საბავშვო დაწესებულებების თანამშრომლებისთვის** გათვალისწინებული იქნას სასტიკი და ღირსეული მოპყრობის, ბავშვის უფლებათა დაცვის, ძალადობის შემთხვევაში გამოყენებული სანქციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

[68] რიოს დეკლარაცია და ძახილი ქმედებისათვის 2008

- საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანილი **მოქმედი კანონმდებლობის თემების ჩართვა სახელმწიფო მოხელეების ბაზისური სწავლების პროგრამებში,** კერძოდ, სასამართლოს მუშაკების, პოლიციელების, მასწავლებლების, სოციალური მუშაკების და სოციალური პედაგოგების, ექიმების, მედდების და ჯანდაცვის სხვა მუშაკების, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების, თემის, საქალაქო, ადგილობრივი და ფედერალური ხელისუფლების ლიდერების; ეს პროგრამები ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის განვითარების თავისებურებების, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ, აგრეთვე სექსუალური აღზრდის საკითხებს, ადაპტირებულს მოზარდობის ასაკის შესაბამისად;

- **გენდერული ასპექტისა და სქესთა სპეციფიკის მხედველობაში მიღება** პოლიტიკისა და ნაციონალური პროგრამების შემუშავებისას;

- **ბავშვის უფლებების შეტანა სასკოლო პროგრამებში** ყველა დონეზე, მათ შორის, დამატებითი განათლების დაწესებულებებში, რათა მიღწეული იქნას ბავშვთა უფლებების სწავლება ყველასთვის, მათ შორის ბავშვებისთვისაც, და **ამგვარად**, ბავშვებით დაწყებული, **აიგოს საზოგადოებაში ბავშვის უფლებების დაცვის მექანიზმი;**

- **ბავშვების მონაწილეობის პრინციპის ინსტიტუციონალიზაცია,** ანუ ბავშვების შეხედულებათა გათვალისწინება იმ პროგრამების შესახებ, რომლებიც მათ ეხება, ჯერ კიდევ მათ შემუშავებამდე;

- განგრძობითი **საინფორმაციო კამპანიების** ჩატარება, ეფექტური, დასამახსოვრებელი აქციების ორგანიზებით, განკუთვნილი ბავშვებისთვის, რომლებსაც განუცდიათ ან არ განუცდიათ ძალადობა, აგრეთვე თემის და ტრადიციული ლიდერებისთვის, გრიოტებისთვის (griots), დაჯგუფებების ლიდერებისთვის, რელიგიური ლიდერებისთვის, მკვიდრი მოსახლეობის ლიდერებისთვის; აგრეთვე, - სასწავლო დაწესებულებებისთვის, პროფესიული გაერთიანებებისთვის, მაგალითად, ფსიქოლოგებისთვის, ფსიქოანალიტიკოსებისთვის, სოციალური პედაგოგებისთვის და მთლიანად, ფართო საზოგადოებისთვის სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, დაშორებულ რეგიონებში, ბავშვის უფლებათა შესახებ ცოდნის განმტკიცების მიზნით;

- ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ექსპლუატაციის ფენომენთან მიმართებაში, **პროცესის ეფექტურობისა და ბავშვთა დაცვის სხვადასხვა სამსახურებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგების შეფასების კრიტერიუმების** დანერგვა.

2.2. სამოქალაქო საზოგადოების როლი

დღესდღეობით შეუძლებელია რაიმეს მიღწევა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზების გარეშე. ზოგჯერ სახელმწიფოები აღიარებენ მასთან თანამშრომლობის აუცილებლობას და რთავენ მას სახელმწიფო სახელმწიფო უწყებების ფუნქციონირებაში. ამავდროულად, ზოგიერთი სახელმწიფო თავშეკავებას ამჟღავნებს და დაბრკოლებებს უქმნის ამ ორგანიზაციების მოღვაწეობას, სამართალდამცავების წინააღმდეგ მიმართული

კანონების მიღების გზით.

სამოქალაქო საზოგადოებამ:

- განაგრძოს **ზეწოლა სახელმწიფო ორგანოებზე, წინადადებების შეტანა და კონკრეტული სამუშაოს შესრულება,** სამართლებრივი სისტემის სრულყოფისა და ბავშვის უფლებათა სფეროში საერთაშორისო სამართლის პატივისცემაზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების მიზნით;

- უფრო ენერგიულად იმოქმედოს იმისთვის, რომ **მიაღწიოს შესაბამისი დოკუმენტების უპირობო რატიფიკაციას და ნაციონალური სამართლებრივი სისტემის სრულყოფას,** რათა საფუძველი ჩაეყაროს ბავშვთა მიმართ ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის პრევენციის სისტემას;

- **თავისი პროექტების და პროგრამების** შემუშავებისას, კერძოდ, სპეციალისტების სწავლებისას, **დასახოს პრევენციული მიზნები, ბავშვების მიმღებ, დამხმარე და დამცველ** სახელმწიფო სამსახურებთან პარტნიორობისას;

- განავითაროს **პარტნიორული ურთიერთობები ორგანიზაციებს შორის, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებას წარმოადგენენ;**

- თვალყური ადევნოს ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის **პრევენციის საკითხების ჩართვას საერთაშორისო ღონისძიებების დღის წესრიგში და სახელმწიფო ნაციონალურ პოლიტიკაში;**

- განაგრძოს **კამპანიების ჩატარება სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის პრევენციისთვის,** აგრეთვე საქმიანობა ბავშვებზე ძალადობის შემთხვევების გამოვლენის და რეაგირების მიზნით.

2.3. ბავშვის უფლებათა კომიტეტის როლი

ბავშვის უფლებათა კომიტეტი მოწოდებულია, უდიდესი ყურადღება მიაქციოს ბავშვის უფლებათა კონვენციის დაცვას, მონაწილე მხარეებთან კონსტრუქციული დიალოგის მეშვეობით. ამ მიზნით ის შეისწავლის სახელმწიფოების პერიოდულ ანგარიშებს, გამოთქვამს თავის შენიშვნებს და ჩამოაყალიბებს რეკომენდაციებს, მოსამზადებელ სხდომებზე შესაბამისი კონსულტაციებისა და „საკითხების ჩამონათვლის“ (list of issues) შედგენის შემდეგ. კომიტეტი ასევე ცდილობს განმარტოს ბავშვის უფლებათა კონვენ ციის დებულებები თავის ზოგად შენიშვნებში №8 (2006)[69] და №13 (2011), რომლებიც შეეხება ბავშვთა მიმართ ძალადობას. ზოგადი შენიშვნა №13 წარმოადგენს მოწოდებას კომიტეტისადმი, გააფართოოს თავისი მოღვაწეობის სივრცე ძალადობის, კერძოდ ბავშვზე სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის აღკვეთის მიზნით.

კომიტეტი:

- ბავშვის უფლებათა კონვენციის მონაწილე ყოველი სახელმწიფოს ანგარიშების შეს-

[69] CRC/C/GC/8: ბავშვის უფლება იყოს დაცული დამამცირებელი დასჯის ფორმებისაგან (მუხლი19, 28 (2),37, და სხვები).

წავლისას, კვლავ განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს ბავშვების მიმართ ძალადობის და ექსპლუატაციის პრობლემას, მისცეს რეალისტური და გაზომვადი რეკომენდაციები სახელმწიფოებს და **გამოავლინოს ნაკლოვანებები მათ იურიდიულ სისტემაში და მათ სტრატეგიებში, რომლებიც მიმართულია პრევენციასა და ბავშვის დაცვაზე.**

- უნდა დარწმუნდეს, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი, რომელიც ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციასა და ბავშვთა პორნოგრაფიას ეხება, ჰარმონიულ თანხვედრაშია ნაციონალურ კანონმდებლობასთან და რომ მისი დაცვა კონტროლდება იმავე სახელწოდების პროცედურის მეშვეობით, ხოლო მისი გამოყენების შედეგები ჯამდება სამ წელიწადში ერთხელ.

2.4. სპეციალური პროცედურებისა და სხვა შემმოწმებელი ორგანოების როლი

სპეციალური პროცედურები - ეს არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის მექანიზმები. მათი მიზანია **რომელიმე ქვეყანაში სპეციფიკური სიტუაციის** ან მსოფლიოს ყველა რეგიონში განსაზღვრული პრობლემების შესწავლა. სპეციალური პროცედურების ძირითადი მახასიათებელია ვიზიტი კონკრეტულ ქვეყანაში ან კონკრეტულ რეგიონში და მთავრობებთან ინფორმაციის გაცვლა. ზოგიერთი პროცედურის მანდატი დაკავშირებულია ბავშვის უფლებებთან, კერძოდ, ბავშვთან მიმართ ძალადობასთან და ექსპლუატაციასთან. საუბარია მანდატებზე, რომლებიც შეეხება:

- ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციას და ბავშვთა პორნოგრაფიას;
- ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა ძირითად უფლებებს, კერძოდ, ქალების და ბავშვების;
- ბავშვთა მიმართ ძალადობას;
- ქალთა მიმართ ძალადობას, მის მიზეზებსა და შედეგებს.

ამ პროცედურებით:

- ჩატარდეს **თემატური კვლევები,** თუკი საჭიროა, **უნივერსიტეტებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან** თანამშრომლობით, მიძღვნილი პრევენციის, დაცვის, თანამშრომლობის, სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების მხარდაჭერისა და მათთან მუშაობის სხვადასხვა ასპექტებისადმი, აგრეთვე ამ ბოროტმოქმედების მოწმეებისა და ჩამდენებისათვის;

- განხორციელდეს „in situ“ **ვიზიტები, ჩატარდეს კვლევები, კონფერენციები და სხვა ღონისძიებები, სხვა მექანიზმებთან ერთად, რეგიონალურ და ნაციონალურ დონეებზე,** რათა მოხდეს საზოგადოების კიდევ უფრო მეტი ყურადღების მიქცევა სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექპლუატაციის ყველა ასპექტისადმი.

3. დაცვა

- ბავშვს გააჩნია უფლებები, და მისი ძირითადი უფლებები უნდა იყოს გარანტირებული და დაცული, როგორც ამას მოითხოვს მისი, როგორც არასრულწლოვნის

მდგომარეობა. სახელმწიფოებმა, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს ბავშვის დაცვა, თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ, გამონაკლის შემთხვევებშიც კი, ბავშვთა უფლებები იყოს დაცული და მათ მიენიჭოთ ყველა აუცილებელი გარანტია ამ უფლებების დასაცავად.

- BICE-სთვის მთავარია დამნაშავის მხილება, ძალადობის შემთხვევის შესახებ შეტყობინება, სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების მხარდაჭერა, რეაბილიტაცია და რეაბილიტაციის პროცესის მონიტორინგი. მხარდაჭერა მოიცავს ბავშვისთვის ფსიქოლოგიური, იურიდიული, ფიზიკური და სამედიცინო დახმარების გაწევას, აგრეთვე საკვებითა და ტანსაცმლით მის უზრუნველყოფას. ამას გარდა, მნიშვნელოვანი ასპექტების ეფექტური მეთოდიკების (მნიშვნელოვანი მეთოდიკების) დაგროვება და პროცესის ეფექტურობის მაჩვენებლების და მისი შედეგების დამუშავება.

3.1. სახელმწიფოების როლი

BICE-სთვის სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციისგან ბავშვთა დაცვისა და მათთვის შესაბამისი მომსახურებების გაწევის ადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკა მოითხოვს მულტიდისციპლინარული სტრატეგიის არსებობას, რომელშიც იგულისხმება:

- განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა **დაზარალებული ბავშვისადმი,** რომელიც აღიქმება, როგორც მსხვერპლი, და მისი საჭიროებებისადმი, მის მიერ გადატანილი ტრავმის და მისი ხილული და უხილავი შედეგების გათვალისწინებით;

- საჭირო მხარდაჭერით უზრუნველყოფა, კერძოდ, დაზარალებული ბავშვის ოჯახის ფსიქოლოგიური დახმარება, თუ მას კავშირი არ აქვს ძალადობასა და ექსპლუატაციასთან;

- დახმარება ჩადენილი ძალადობის და ექსპლუატაციის შესახებ **მტკიცებულებათა შეგროვებაში**, პროცედურული და ფინანსური შეზღუდვების გარეშე;

- **მოსახლეობის ყურადღების მიქცევა იმ პირთა დაუსჯელობასთან ბრძოლის აუცილებლობაზე,** რომლებმაც ჩაიდინეს სექსუალურ ძალადობასთან და სექსუალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დანაშაული, როგორიც არ უნდა იყოს მათი სოციალური ან პოლიტიკური სტატუსი და მათი სიახლოვე მსხვერპლთან, მათი მხილებისა და მათი დანაშაულის შესახებ შეტყობინების გზით; თუ ამას ვალდებულებები მოითხოვს, არ იქნას დაშვებული სამშვიდობო შეთანხმებები, რომლებიც სინამდვილეში ხელს უწყობენ ძალადობისა და ექსპლუატაციის განხორციელებას;

- **სპეციალიზირებული სამართლებრივი სისტემის შექმნა ბავშვებისათვის, რომელიც დაფუძნებული იქნება ბავშვის უფლებათა პატივისცემაზე სასამართლო პროცედურის დაწყებამდე, პროცედურის დროს და და მის შემდეგ;**

- ინფორმაციის გავრცელება **უფასო სასამართლო და იურიდიული დახმარების, აგრეთვე სამედიცინო დახმარების გაწევის, სოციალური მუშაკებისა და აღმზდელთა**

ჯგუფების ჩართვის პროცესის ყველა ეტაპზე; **ბავშვზე მორგებული, სწრაფი რეაგირების, ეფექტური სპეციალიზირებული სასამართლო სისტემის** მუშაობის უზრუნველყოფა, რომელშიც საქმე განიხილება **გულდასმით, უმოკლეს ვადებში** და სრულდება **პროპორციული სასჯელის შეფარდებით;**

- **დაზარალებული ბავშვის უფლებათა** დაცვა, მისთვის ყველა შესაბამისი მომსახურების შეთავაზებით; **ბავშვის კიდევ უფრო მეტი ვიქტიმიზაციის დაუშვებლობა,** რათა ის კიდევ უფრო სახიფათო საფრთხეების წინაშე არ დადგეს;

- იმის კონტროლი, რომ სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მოლოდინის პერიოდში, დაზარალებულები იმყოფებოდნენ **დაცვის ქვეშ,** მათ შორის, **პრევენციულის**, ხოლო **მათი ქონება იყოს დაცული;** აგრეთვე იმისა, რომ **ზარალის ანაზღაურება** დაზარალებულებისთვის არ იყოს განპირობებული ძლიერის უფლებით, რომელიც ხშირად დამნაშავეს ეკუთვნის, და რომ სპეციალურმა სამსახურებმა, რომლებიც მუშაობენ საცხოვრებლის, პროფესიული სწავლების, დასაქმების, სოციალური დაცვის და სხვა საკითხებზე, ყველაფერი გააკეთონ დაზარალებულის მეტი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

- საქმიანი კავშირების დამყარება სახელმწიფო და არასახელმწიფო სამსახურებს შორის და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს შორის, **მათი საქმიანობის კოორდინაციის, გამოცდილების გაზიარების და შეთანხმებული კრიტერიუმების საფუძველზე სწავლების მიზნით;**

- **ფიზიკური, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის** პროგრამების არსებობა, როგორც დაზარალებული ბავშვებისთვის და დანაშაულის მოწმე ბავშვებისთვის, ასევე დამნაშავეებისთვის, **მათი სოციალური და პროფესიული ინტეგრაციისთვის და** მთელი პროცესის მიმდინარეობის **მონიტორინგისთვის,** და ამ საქმიანობაში სხვა ორგანოიზაციების ჩართვა, მათ შორის, არაკომერციულებისაც;

- **გამოძიების და** ძალადობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული **სხვადასხვა მონაცემების შეგროვების მექანიზმების** არსებობა, რომელთა რეგულარული განახლება ხდება, რეაგირების ფორმების მოსარგებად ცვალებად საფრთხეებზე; აუცილებლობის შემთხვევაში, მუშაობის პროცესში სკოლების, ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ჩართვა;

- ძალადობის შემთხვევების შესახებ **შეტყობინების** ადვილად მისაწვდომი, **ეფექტურად მომუშავე სისტემის** არსებობა; სახელმწიფოს ეგიდით **დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე,** ექსპერტები და ბავშვებთან მომუშავე დაწესებულებები, აგრეთვე ბავშვთა დაცვის სახელმწიფო სამსახურები, ამ სფეროში გამოცდილების მქონე კომპეტენტური არაკომერციული ორგანიზაციები, პერიოდულად ახდენენ ამ სისტემის ფუნქციონირების შეფასებას, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით.[71]

- **აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა, რისკ ჯგუფის ან ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით** და **შესაბამისი ზომების** მიღება ნებისმიერი ბავშვის უსაფრთხოებისა და ძირითადი უფლებების დაცვისთვის;

- მექანიზმების და/ან პროცედურების არსებობა, **რომლებიც აიოლებენ კოორდინაციას ნაციონალურ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე** ან არსებული მექანიზმების სრულყოფა სხვადასხვა სამინისტროებს, დონორებს, გაეროს სააგენტოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სექტორებს, დამსაქმებელთა და მშრომელთა ასოციაციებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის განვითარების მიზნით;

- **პირთა სპეციალიზაცია**, რომლებიც იბრძვიან სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, რათა წინ აღუდგნენ ახალ საფრთხეებს, როგორსაც წარმოადგენს, მაგალითად, ინტერნეტი და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიები; აგრეთვე, **კონტროლისა და დასჯის ინსტრუმენტებისა და სამსახურების** შექმნა, მათ შორის, ინტერნეტში.

3.2. ბავშვის უფლებათა კომიტეტის როლი

ასრულებს რა დამცველის როლს, ბავშვის უფლებათა კომიტეტი ვალდებულია:

- განიხილოს ძალადობა და ექსპლუატაცია, როგორც უმნიშვნელოვანესი თემა, რომელიც უფრო ჩაღრმავებული შესწავლის საგანი უნდა იყოს **კომიტეტის მოსამზადებელი სხდომების** დროს, რომლებზეც დგინდება დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენი „საკითხების ჩამონათვალი“;

- თვალყური ადევნოს, რომ ეს თემა შენარჩუნდეს **საერთაშორისო ღონისძიებების დღის წესრიგში,** კერძოდ, იმ დღის ყოველწლიური აღნიშვნისას, რომელიც ბავშვის უფლებათა კომიტეტმა მიუძღვნა ბავშვის უფლებებს, ან რომ ეს თემატიკა შეისწავლებოდეს კომიტეტის შიგნით გამართულ ზოგად დისკუსიებზე;

- **შესაბამის სპეციალურ პროცედურებთან ერთად,** გამოიყენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული სხვა მექანიზმები, აგრეთვე რეგიონალურ დონეზე მოქმედი მექანიზმები, ჩაატაროს **ერთობლივი აქციები** (ვიზიტები, თემატური მოხსენებები, სტატისტიკური კვლევები, კრიტერიუმების შემუშავება, კომუნიკე, ცნობარები და ასე შემდეგ), მიძღვნილი ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის პრევენციისა და ბრძოლისადმი;

- ჩამოაყალიბოს **რეკომენდაციები,** ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციისგან დაცვის და პრევენციის ინსტიტუტებისა და სახელმწიფო პროგრამების შექმნის მიზნით.

3.3. სპეციალური პროცედურებისა და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების როლი

ამ პროცედურებით:

- ჩატარდეს **თემატური კვლევები,** თუკი საჭიროა, **უნივერსიტეტებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან** თანამშრომლობით, მიძღვნილი პრევენციის, დაცვის, თანამშრომლობის, სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების მხარდაჭერისა და მათთან

მუშაობის სხვადასხვა ასპექტებისადმი, აგრეთვე ამ ბოროტმოქმედების მოწმეებისა და ჩამდენებისათვის;

- გაგრძელდეს „in situ“ **ვიზიტები სახელმწიფოებში,** რომლებშიც სექსუალურმა ძალადობამ და სექსუალურმა ექსპლუატაციამ ფართო გასაქანი შეიძინეს, და მიეწოდოს ადამიანის უფლებათა საბჭოს **გაზომვადი და რეალიზებადი რეკომენდაციების** შემცველი მოხსენება; ეს რეკომენდაციები უნდა შესრულდეს **შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით,** მათ შორის, შუალედური ანგარიშების შედგენა და შუალედური მონიტორინგის ჩატარება;

- გაეწიოს **ტექნიკური მხარდაჭერა,** რომელიც შეეხება, მაგალითად, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, სპეციალისტების სწავლებას, კრიტერიუმების შემუშავებას და პროგრამების რეალიზებას კანონმდებლობის შესაბამისად;

- განხორციელდეს ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე **წარმატებული მეთოდიკების კომპილაცია,** რომლებიც შეგროვებული იქნება იქნება „in situ“ ვიზიტების დროს;

- გაეწიოს ტექნიკური დახმარება დაინტერესებულ პირებს, იმ ბავშვების საუკეთესო დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რომლებმაც გადაიტანეს სექსუალური ძალადობა და სექსუალური ექსპლუატაცია.

3.4. სამოქალაქო საზოგადოების როლი

ორგანიზაციები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებას წარმოადგენენ, ვალდებულნი არიან:

- შეიმუშავონ **ბავშვთა დაცვის მოქნილი და დინამიური პოლიტიკა,** რომელიც გაგებული და აღსრულებული უნდა იყოს ყველა იერარქიულ დონეზე;

- **ჩართონ** ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ მიმართული **თავიანთი საქმიანობა კონკრეტულ ქვეყანაში მოქმედ სამართლებრივ ჩარჩოში;** სხვა დაინტერესებულ პირებთან **შეთანხმებით და ერთობლივად** მოუწოდონ ღონისძიებების გატარებისკენ, რომელთა მიზანია ოჯახებში, თემებში, სამუშაო ადგილებზე, სკოლაში და მთლიანად სახელმწიფოში იმგვარი გარემოს შექმნა, რომელშიც დაცული იქნება ბავშვის უფლებები;

- განაგრძონ **ბავშვთა დაცვაზე და ზრუნვაზე მიმართული ღონისძიებების გატარება** თავიანთი პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

4. მონაწილეობა

აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის პრევენციაში, განსაკუთრებით,

ისეთ სანდო გარემოში, როგორიცაა ოჯახი.[70] მშობლები უნდა სწავლობდნენ მეთოდებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი შვილების ჩართვას მთლიანად ოჯახთან და უშუალოდ ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ბავშვების მონაწილეობა სკოლის პრევენციულ ღონისძიებებში განაპირობებს უხეშობის, დამცირების და ძალადობის სხვა გამოვლინებების შემცირებას და აღმოფხვრასაც კი. დისკრიმინაცია, სტიგმატიზირება და მარგინალიზაცია აფერხებს ბავშვების მონაწილეობას და კიდევ უფრო ზრდის ბავშვთა მიმართ ძალადობის, სასტიკი მოპყრობის და ექსპლუატაციის საფრთხეს.

ბავშვების მონაწილეობის პრინციპის დაცვა წარმოადგენს **სახელმწიფოს ვალდებულებას** რომლის თანახმად, ის ვალდებულია:

- ცნოს **ბავშვები არა არსებებად, რომლებიც მოზრდილების კეთილგანწყობით სარგებლობენ, არამედ უფლებების მქონეებად, რომლებსაც შეუძლიათ იმოქმედონ თავიანთი უფლებების დასაცავად და** მიიპყრონ ამ საკითხისადმი ყურადღება ბავშვების მიერ, ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად ჩატარებული სხვადასხვა **კამპანიების დროს.** საზოგადოების ინფორმირების, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის პრევენციის მიზნით (მაგალითად, სწავლება და ინფორმირება „თანასწორთა განათლების“ პრინციპით, მონაწილეობა ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, კანონების და დადგენილებების შეფასება, რომლებიც ბავშვებს ეხება);

- სექსუალური ძალადობის ჩამდენ, მსხვერპლ, მოწმე ან რისკის ქვეშ მყოფ ბავშვზე მზრუნველობა დააფუძნოს **თავად ბავშვის აქტიურ მონაწილეობაზე,** აგრეთვე მისი მშობლების მონაწილეობაზე, თუკი მათ არ დაუშვიათ ბავშვის მიმართ ძალადობა, და საჭიროების შემთხვევაში, თემის მონაწილობაზე, მისი სოციალური და პროფესიული ინტეგრაციის გზით;

- მიაღწიოს ბავშვების მონაწილეობას მათი **ინფორმაციის ფლობის უფლების** რეალიზაციის გზით, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს, იცოდეს მისი მხარდაჭერის წესის, შეთავაზებული მომსახურებებისა და მისთვის ჩატარებული პროცედურების შესახებ. ეს კი, თავის მხრივ, ბავშვს შეაძლებინებს გამოთქვას თავისი შეხედულება და გამოხატოს თავისი სურვილები;

- უზრუნველყოს ბავშვის, რომელიც თანმხლების გარეშე იმყოფება მისი წარმოშობის ქვეყნის საზღვრებს მიღმა, მონაწილეობა ყველა პროცედურაში, რომლებიც მის ინტერესებს შეეხება, რაც მოითხოვს ბავშვისთვის **თარჯიმნის უფასო მომსახურებას მისი თანხლების ყველა ეტაპზე.**[71]

- ყურადღება მიაქციოს იმას, რომ **ბავშვის თანხლებისა და მისთვის სხვადასხვა მომსახურებების შეთავაზების ყველა ეტაპზე, ბავშვმა აქტიური მონაწილობა მიიღოს** ყველაფერში, დაწყებული მასთან მუშაობის პირველივე მომენტიდან და დასრულე-

[70] Objective 2013 Rio Call for Action 2008: "Establish by 2013 an effective and accessible system for reporting, following up and supporting children victims of suspected or actual incidents of sexual exploitation, for example by instituting mandatory reporting for people in positions of responsibility for the welfare of children".

[71] ზოგადი კომენტარი n° 6, CRC/GC/2005/6

ბული სკოლასა და ოჯახში მისი რეინტეგრაციით, აგრეთვე მასზე შემდგომი მეთვალყურეობის მსვლელობისას; არ დაივიწყოს **ბავშვის აზრის გათვალისწინების** აუცილებლობის შესახებ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექპლუატაციის პრობლემასთან დაკავშირებით **სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების დროს;**

- დაეყრდნოს სიცოცხლისუნარიანობის უნარს ყოველი ბავშვის შემთხვევაში, იქნება ეს სექსუალური ძალადობის ჩამდენი, მსხვერპლი, მოწმე თუ რისკის ქვეშ მყოფი, და გამოიყენოს ბავშვის რესურსები **გადატანილი მატრავმირებელი სიტუაციის შემდეგ** აღდგენის პროცესში;

- **ყოველთვის მიიღოს მხედველობაში ბავშვის სიტყვები და უარი არ თქვას ბავშვის მონაწილეობაზე,** ისეთ სუბიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორიცაა ასაკი, საღად აზროვნების უნარი, რომელიმე ენაზე თავისუფლად ლაპარაკის უნარი, მისი მდგომარეობა (არალეგალი), მისი წარსული ცხოვრება ან წინმსწრები მოვლენები;

- **არ დაუშვას დისკრიმინაცია, მიაღწიოს ნებისმიერი ბავშვის მონაწილეობას,** იქნება ეს ინვალიდი, უცხოელი, მოზრდილების ყოველგვარი თანხლების გარეშე ან მათი თანხლებით, არალეგალური ან ლეგალური მიგრანტი, ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობით ან არა, და სხვა;

- სასამართლო პროცედურის დაცვის, ბავშვის ფსიქო-სოციალური დახმარების და ოჯახში მისი უფლებების უზრუნველყოფის **განმსაზღვრელ კრიტერიუმად მიიჩნიოს ბავშვების მონაწილეობა.**

5. თანამშრომლობა

თანამშრომლობას, მათ შორის, უწყებათშორისს, როგორც ნაციონალურ, ისე რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე დიდი მნიშვნელობა აქვს ძალადობის, კერძოდ, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისთვის. ის ხელს უწყობს ინფორმაციის გაცვლას, ქმედებათა კოორდინაციას და ძალადობის ფაქტების გამოვლენას, აგრეთვე ტექნიკურ მხარდაჭერას.

თანამშრომლობა, არსებითად, სახელმწიფოებს ეხება, რომლებიც ვალდებულნი არიან:

- განახორციელონ **დინამიური საერთაშორისო თანამშრომლობა,** რომელსაც შეეძლება უპასუხოს სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის მუდმივად ცვალებად სიტუაციებთან დაკავშირებულ ახალ გამოწვევებს, კერძოდ, ინტერნეტის მეშვეობით; ერთის მხრივ, **თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის,** ინტერპოლის, პოლიციის, საბაჟოს, პორტების, აეროპორტების და სხვა სამსახურების დახმარებით, და მეორეს მხრივ, თანამშრომლობა **სახელმწიფოებსა და კერძო სექტორს შორის** ბანკები, სოციალური ქსელები, ინტერნეტი, სექს-ინდუსტრია), - რაც ხელს შეუწყობს ბავშვებზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირთა გამოვლენას, აგრეთვე მათ დევნას, იზოლირებას და მათთვის შემოსავლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვას;

- **საერთაშორისო თანამშრომლობის** წყალობით, გახსნან გზა თანამშრომლობისაკენ სახელმწიფოებსა და კერძო სექტორს შორის, **- ბანკებსა და მსგავს დაწესებულებებთან, აგრეთვე ფულადი გადარიცხვის კომპანიებთან,** სექსუალური ექსპლუატაციით მიღებული ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მიზნით; **აეროპორტებისა და აეროდრომების მმართველ კომპანიებთან, ტურისტულ სააგენტოებთან, ტუროპერატორებთან,** ავიაკომპანიებთან და სანაოსნოებთან, მოგზაურებისა და ტურისტების ინფორმირებისთვის დანიშნულების ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ, და არსებული რისკების შესახებ; **სასტუმროებსა და სასტუმროების ქსელებთან,** რომლებიც ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ თავიანთი კლიენტებისთვის და საშუალება აქვთ, გააფრთხილონ ისინი მსგავსი ქმედებების დაუშვებლობის შესახებ; **სექს-ინდუსტრიასთან, ბავშვების მონაწილეობით პორნოგრაფიული მასალის წარმოებასთან, ფლობასთან, შენახვასთან, გავრცელებასთან და გადაცემასთან დაკავშირებით,** მათ შორის, პირდაპირ ეთერში;

- განავითარონ **საერთაშორისო თანამშრომლობა,** რომელიც ითვალისწინებს **ინფორმაციის და ეფექტური მეთოდიკების გაცვლას** სხვადასხვა სამსახურებს შორის, აგრეთვე ტექნიკურ მხარდაჭერას სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც არასაკმარისი საშუალებები აქვთ, მაგრამ აწყდებიან ძალადობისა და ექსპლუატაციის ფენომენს, **მონაცემთა ქსელური ბაზის განვითარება, რომელთანაც წვდომა აქვთ** შესაბამის სამსახურებს საზღვარგარეთ, **თანამშრომლობა მოსამართლეებს, პოლიციელებსა და მებაჟეებს შორის.**

6. დასკვნა

გაეროს კვლევაში ბავშვების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით, (2006) საგანგაშო დასკვნა გაკეთდა იმის შესახებ, რომ ბავშვთა მიმართ აშკარა და ფარული განმეორებადი ძალადობის სხვადასხვა ფორმა გავრცელებულია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. რიოს დეკლარაციისა და სამოქმედო გეგმის (2008) მიზნები არ არის მიღწეული. ცხადია, რომ ძალადობა, მათ შორის, სექსუალური ძალადობა, და სექსუალური ექსპლუატაცია - ეს ჩვენი საზოგადოებების უბედურებაა. სამწუხაროდ, საფრთხეს წარმოადგენს გარემო, რომელიც სანდო უნდა იყოს ბავშვისთვის: ოჯახი, სკოლა და სამედიცინო დაწესებულებები. ძალადობის და სასტიკი მოპყრობის საფრთხე ემუქრება ბავშვს სამუშაო ადგილზეც. ძალადობის აქტებს ანხორციელებენ ადამიანები, რომლებსაც ბავშვი იცნობს და რომლებსაც ენდობა.

ამას გარდა, ახალი კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარება, კერძოდ, როგორიცაა ინტერნეტი მისი პედოფილიით, ბავშვთა პორნოგრაფიითა და ელექტრონული ცდუნების სხვა ფორმებით, კვლავ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბავშვებს და მოზარდებს.

სამართლებრივი მიდგომა წარმოადგენს გზას, რომელსაც შეუძლია გარანტირებული გახადოს ძალადობისგან, მათ შორის, სექსუალური ძალადობისგან და სექსუალური ექსპლუატაციისგან ბავშვების ეფექტური დაცვა. საზოგადოებასა და ოჯახში რისკ-ფაქტორების არსებობისას, მნიშვნელოვანია იმგვარად მოქმედება, რომ შეიქმნას ქცევის ცვლილებების გამომწვევი გარემო; თუმცა, პირველ რიგში, მთავარია, რომ ამან ბავშვებისა და ახალგაზრდობის დაცვის სახელმწიფო სისტემის ცვლილებებამდე მიგვიყვანოს.

დანართები

ჩვენი ერთობლივი ქმედებები მიმართული უნდა იყოს ბავშვების დამოუკიდებლობაზე და მათ უნარებზე, წინ აღუდგნენ სექსუალური ძალადობის რისკს. ამ ქმედებებმა ასევე უნდა გააიოლონ პროგრამების რეალიზება, რომლებიც განკუთვნილია მშობლებისთვის, გენდერული საკითხების გათვალისწინებით. ძალადობის პრევენციისა და ბავშვთა დაცვის ეროვნული პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს ქვეყანაში სოციალური და კულტურული მდგომარეობის შესატყვის ნორმატიულ ბაზას, რომელიც მხარს დაუჭერს სახელმწიფოს და ოჯახებს ძალადობისგან თავისუფალი, ღირსეული მოპყრობის უზრუნველმყოფი გარემოს შექმნაში.

ბიბლიოგრაფია

• AFIREM, Droits de l'enfant, inceste, séparation. Enfants maltraités, Congrès de l'AFIREM Angers, 1986, Paris, Edition et communication médicale, 1987.

• ANESM, Guide de bonnes pratiques en bientraitance, Juin 2008 (PDF, 51 pages), http://www.anesm.sante.gouv.fr/IMG/pdf/reco_bientraitance.pdf.

• ANGELINO, I., L'enfant, la famille, la maltraitance, Dunod, Paris, 2004.

• BAREIL, C., La résistance au changement: synthèse et critique des écrits, 2004, Montréal.

• BARUDY, J., L'approche systémique de la maltraitance d'enfants, http://www.cfwb.be/maltraitance.

• BARUDY, J., La douleur invisible de l'enfance, l'approche éco-systémique de la maltraitance, Erès, Paris, 1997.

• BARUDY, J., DANTAGNAN, M., De la bientraitance infantile, compétences parentales et résilience, Fabert, Paris, 2005.

• BARUDY J., DANTAGNAN, M., Los buenos tratos a la infancia, Gedisa Editorial, Barcelona,2005.

• BARUDY J., DANTAGNAN, M., La fiesta mágica y realista de la resiliencia infantil, Gedisa Editorial, Barcelona, 2011.

• BARUDY, J., MARQUEBREUCQ, A-P., Les enfants des mères résilientes, la marentilité bientraitante dans des situations extrêmes, Solal, Marseille, 2005.

• BICE, Balance intermedio del Programa Maltrato/ Buentrato, Bruxelles, octobre 2012, disponible sur le site internet du BICE. http://www.BICE.org/fractualites-du-BICE/dernieres-actualites/1182-premier-bilan-encourageant-de-notreprogrammeinternational-de-lutte-contre-la-maltraitance.html

• BICE, « Grain de Sable », Prévenir la maltraitance et l'abus sexuel à l'encontre des enfants : recueil de bonnes pratiques de prévention et prise de position sur l'abus et l'exploitation sexuels, Moscou, 2013.

• BISSON, D., L'enfant derrière la porte, Grasset, Paris, 1993.

• BOCCA, F., MIGNOT, C., ROUYER, M., "Les enfants maltraités", Santé Publique, Edition Marketing (Ellipses), Paris, 1989.

• BONGRAIN, M., La loi au secours de l'enfant maltraité, CTNERHI, Paris, 1987.

• BONMARIAGE, J. & MARQUET, J., L'enfant, entre maltraitance et protection, Academia, Bruxelles, 2003.

• BOUTIN, G., Enfants maltraités ou en danger, l'Harmattan, Paris, 2008.. COLERETTE, P., Le changement organisationnel, Presse Université Québec, 1997.

• CRIVILLE, A., Parents maltraitants. Enfants meurtris. L'intervenant social face à la famille de l'enfant maltraité, ESF, Paris, 1987.

• CYRULNIK, B., Un merveilleux malheur, Odile Jacob, Paris, 2002.

• CYRULNIK, B., Les vilains petits canards, Odile Jacob, Paris, 2004.

• CYRULNIK, B., Les nourritures affectives, Odile Jacob, Paris, 2000.

• DE PAÚL, J., ARRUABARRENA, I., TORRES, B., Evaluación de los casos de maltrato Infantil: entrevista semiestructurada para padres, Ministerio de Asuntos Sociales SASI, Madrid, 1994.

• DE PAÚL, J., ARRUABARRENA, I., Maltrato a los niños en la familia. Evaluación y tratamiento,Pirámide, Madrid, 1994.

• DE PAÚL, J., ARRUABARRENA, I., Manual de protección infantil, Masson, Barcelona, 2007.

• DEKEUWER-DEFOSSEZ, F., Les droits de l'enfant, Que sais-je ?, PUF, Paris, 2009.

• DEMONGEOT, I., Service volé, une championne rompt le silence, Michel Lafon, Paris, 2007.

• DESCHAMPS, G., FOULON, S. & BEAU, C., Prise en charge et suivi des enfants maltraités, Revue de la Sauvegarde de l'Enfance n°3, septembre 1978.

• DOMMERGUES, J., LEVERGER, G. & RAPOPORT, D., Droit de savoir, savoir dire, Belin, Paris, 2003.

• ESCARTÍN, M., Abuso sexual de los niños y niñas: preguntas y respuestas: una guía para acercarse al tema, Bemac Publications, Earlwood NSW, 2004.

• ESCARTÍN, M., Programa de Prevención del Abuso Sexual a Niños y Niñas. Manual de Desarrollo de Conductas de Autoprotección, Módulo 1 "Quién soy yo", 2009.

• ESCARTÍN, M., Programa de Prevención del Abuso Sexual a Niños y Niñas. Manual de Desarrollo de Conductas de Autoprotección, Módulo 2 "Este es mi cuerpo", 2009.

• ESCARTÍN, M., Programa de Prevención del Abuso Sexual a Niños y Niñas. Manual de Desarrollo de Conductas de Autoprotección, Módulo 3 "Yo tengo derecho a sentirme seguro", 2009.

• FHI 360: THE SCIENCE OF IMPROVING LIVES, Becoming a safe organization for children, 2012.

ბიბლიოგრაფია

GAUVIN, C., LAFORGE, E., Les habiletés de savoir être, Université du Québec en Abitibi-Témiscamingue, 2004-2005.

• GIRODET, D., Conduite à tenir en présence d'un enfant maltraité ou négligé, Revue du Praticien, 1989.

• HADJIISKI, E., AGOSTINI, D., DARDEL, F., THOUVENIN, C., Du cri au silence. Contribution à l'étude des attitudes des intervenants médico-sociaux face à l'enfant victime de mauvais traitements, CTNERHI (Flash informations), Paris, 1986.

• HOUDMONT, B., Jeux sexuels : jeux innocents ou abus sexuels ?, SOS Parentfant, http://www.one.be/fileadmin/user_upload/one_brochures/DIREM/Abus_sexuel/direm_10.pdf

• HUYETTE, M., Guide de la protection judiciaire de l'enfant, Dunod, Paris, 2009.

• IAWGCP (Inter-Agency Working Group on Children's Participation), Children's participation in decision making, 2007, http://plan-international.org/files/Asia/publications/children_ decision_making.pdf

• IAWGCP (Inter-Agency Working Group on Children's Participation), Minimum standards for consulting with children, 2007, http://plan-international.org/files/global/publications/participation/ministandards.pdf

• INTEBI, I., Abuso sexual infantil: en las mejores familias, Ediciones Granica S. A., Barcelona, 1998.

• INTEBI, I., Proteger, Reparar, Penalizar. Evaluación de las sospechas de abuso sexual infantil, Ediciones Granica S. A., Barcelona, 2011.

• JACKSON, E. & WERNHAM, M., Politique et procédures de protection de l'enfance : guide pratique, Londres, 2005.

• JUÁREZ LÓPE, J., La credibilidad del testimonio infantil ante supuestos de abuso sexual: indicadores psicosociales, Tesi doctoral, Universitat de Girona, 2004.

• KEEPING CHILDREN SAFE COALITION, Standards for Child Protection, 2006.

• KEEPING CHILDREN SAFE, Assurer la sécurité des enfants : la boîte à outils pour la sauvegarde des enfants, Outil 2 : Assurer la sécurité des enfants – Comment mettre en oeuvre les normes, http://www.keepingchildrensafe.org.uk/about

• KORCZAK, J., Le droit de l'enfant au respect, Robert Laffont, Paris, 1979.

• KOTLIARENCO, M. A., CÁCERES, I., PARDO, M., El ser humano desde una perspectiva integral: el concepto de resiliencia a la luz de nuevas revisiones a la literatura, CEANIM, Santiago, 1999.

KOTLIARENCO, M. A., AMAR AMAR, J., LLANOS, R., Factores psicosociales asociados con la resiliencia en niños colombianos víctimas de violencia intrafamiliar, Universidad del Norte, Colombia, 2003.

• KOTLIARENCO, M. A., CÁCERES, I., Resiliencia y educación infantil temprana en América Latina, CEANIM, Santiago, 2012.

• KRAVCHOUK N.V., ALEKSEEVA T.N., Ouchastie detey v deyatelnosti po zachite svoix prav, 2010, http://www.hse.ru/pubs/lib/data/access/ticket/138548087915568d76f804f73f7466c 20487d503c0/text.pdf

• LANDSDOWN, G., Promouvoir la participation des enfants au processus décisionnel démocratique, UNICEF, Florence, juillet 2001.

• LE LOUET, A, Harcèlement entre camarades en milieu scolaire : repérer les signes d'alerte, Le quotidien du médecin n°8409, 2 septembre 2008.

• LIPS, U., Maltraitance infantile – protection de l'enfant, 2011, Fondation Suisse pour la Protection de l'Enfant, www.protection-enfants.ch.

• MAC LAREN, J., Les problèmes des enfants victimes de mauvais traitements et de négligence, Santé Mentale du Canada, 1, septembre 1989.

• MANCIAUX, M., "Ampleur du problème", L'enfant maltraité, Editions Fleurus, Paris, 1982.

• MASSON, O., Mauvais traitements envers les enfants et thérapies familiales, Thérapie familiale, Genève, 1981.

• MILLER, A., L'enfant sous terreur, Aubier, Paris, 1986.

• MILLER, A., C'est pour ton bien, Aubier, Paris, 1984.

• NISSE, M., SABOURIN P., Quand la famille marche sur la tête, Seuil, Paris, 2004.

• OMS, Informe Mundial sobre la Violencia y la Salud, Noviembre de 2002.

• OMS, La violence chez les jeunes, Aide-mémoire N°356, Agosto de 2011, Centre des médias, Organisation mondiale de la Santé, http://www.who.int/mediacentre/factsheets/ fs356/fr/

• PEREDA, N., Consecuencias psicológicas iniciales del abuso sexual infantil, Papeles del Psicólogo de la Universitat de Barcelona, Barcelona, 2009.

• PEREDA, N., Resiliencia en niños víctimas de abuso sexual: el papel del entorno familiar y social, Educación social: Revista de intervención socioeducativa, España, 2011

ბიბლიოგრაფია

. PEREDA, N., ABAD J., Enfoque multidisciplinar de la exploración del abuso sexual infantil, Revista española de medicina legal: órgano de la Asosiación Nacional de Médicos Forenses, España, 2013.

• PIAGET, J., Psychologie et pédagogie, Denoël, Bibliothèque Médiations, Paris, 1969.

• POBLETE, X., Situación educativa de América Latina y el Caribe: hacia la educación de la cualidad para todos al 2015, Oreal Unesco, Santiago, 2013.

• RAPOPORT, D., Blanche-neige, les sept nains et autres maltraitances, Belin, Paris, 2003.

• ROUSSEY, M., DABADIE, A., Les sévices à enfants, Le Concours Médical, 29/6/1989.

• ROUYER, M. & DROUET, M., L'enfant violenté. Des mauvais traitements à l'inceste, Le Centurion, Paris, 1986.

• RUSSELL, L., Le silence des coups, Fayard, Paris, 2002.

• SALEEBEY, D., The strengths perspective in social work practice, Pearson/Allyn & Bacon, Boston, 2006.

• SAVE THE CHILDREN, Putting children at the centre: a practical guide to children's participation, 2010, http://www.savethechildren.org.uk/sites/default/files/docs/Putting_Children_at_the_Centre_final_%282%29_1.pdf

• SAVE THE CHILDREN, So you want to consult with children? A toolkit of good practice, 2003, http://resourcecentre.savethechildren.se/sites/default/files/documents/2553.pdf

• STRAUS, P. & MANCIAUX, M., L'enfant maltraité, Fleurus, Paris, 1982.

• STRAUS, P. & ROUYER, M., "Enfants maltraités et négligés", L'enfant et sa Santé, Doin éditeur, Paris, 1987.

• THOMAS, E., Le viol du silence, Poche, Paris, 2000.

• UNICEF, Carte et outils d'évaluation pour l'analyse d'un système de protection de l'enfance, http://www.unicef.org/french/protection/index_54229.html

• VAN GIJSEGHEM, H., La personnalité de l'abuseur sexuel. Typologie à partir de l'optique psychodynamique, Méridien (Psychologie), Montréal, 1988.

• VANISTENDAEL, S., La résilience ou le réalisme de l'espérance. Blessé mais pas vaincu, « Cahier du BICE » Genève, 1998.

• VANISTENDAEL, S., et Lecomte, J, Le bonheur est toujours possible, Bayard édition, Paris, 2000

VANISTENDAEL, S., Résilience et spiritualité : le réalisme de la foi, « Cahier du BICE » Genève, 2002.

• VANISTENDAEL, S., Droits de l'enfant et résilience : deux approches fécondes qui s'enrichissent mutuellement, « Cahier du BICE » Bruxelles, 2010.

• VÁZQUEZ, O., MARTÍNEZ, J., GAETE, G., (et al.), Justicia Juvenil, Programa Socio – Educativo para el Control de Violencia y de la Agresión Sexual, Corporación Opción, Santiago de Chile, 2005.

• Divers organes de l'ONU, 2013, http://www.humanrights.ch/fr/Instruments/International/Divers-organes-de-lONU/idart_10080-content.html

• L'enfance en danger, que faire ?, Tribunal de grande instance Protection judiciaire de la jeunesse, Inspection Académique, Département Ardèche, http://ardecol.inforoutes.fr/pjj/pdf/pjj.pdf

• La violence chez les jeunes, Aide-mémoire N°356, Août 2011, Centre des médias, Organisation mondiale de la Santé, http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs356/fr/

• « Grain of Sand », Preventing the ill-treatment and sexual abuse against children: best practices in prevention and recommendations, BICE, 2013.

• Divers organes de l'ONU, 2013, http://www.humanrights.ch/fr/Instruments/International/Divers-organes-de-lONU/idart_10080-content.html

• Convention relative aux droits de l'enfant (CDE), ONU, 1989.

• Committee on the Rights of the Child. General Comment No.8 (2006): The right of the child to protection from corporal punishment and other cruel or degrading forms of punishment. CRC/C/GC/8, http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G07/407/71/PDF/G0740771.pdf

• Committee on the Rights of the Child. General comment No.13 (2011): The right of the child to freedom from all forms of violence. CRC/C/GC/13, http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/CRC.C.GC.13_en.pdf

• The Rio de Janeiro Declaration and Call for Action 2008 to Prevent and Stop Sexual Exploitation of Children and Adolescents, http://www.unicef.org/protection/Rio_Declaration_and_Call_for_Action.pdf

• Guide to Understanding Basic CDF Procedures concerning Sexual Abuse Allegations, http://www.vatican.va/resources/resources_guide-CDF-procedures_en.html

კონტაქტი:

Communication and Resource
Development (Head office)
70, boulevard de Magenta
75010 Paris
France
Phone: (00 33) 1 53 35 01 00
bice.paris@bice.org

General Secretariat, Programs and Projects,
Permanent Representation to the United
Nations, Research and Development
44, rue de Lausanne
Geneva 1201
Switzerland
Phone: (00 41) 22 731 32 48
advocacy@bice.org

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი
საქართველო, თბილისი 0186
ედიშერ მაღალაშვილის ქუჩა №4, ბინა №1
ტელეფონი: (00995) (32) 2 421 422
info@phmdf.ge

© BICE 2014
International Catholic Child Bureau
© PHF 2016
საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი

ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა

სახელმძღვანელო ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციებისთვის

BICE-ს ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის მიზანია იმის მიღწევა, რომ ბავშვების მიმართ ჰუმანური მოპყრობა, რაც უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას და ღირსების პატივისცემას, საყოველთაოდ მიღებულ ნორმად იქცეს ჩვენი ქსელის ყველა წევრისთვის.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ნაშრომი „ბავშვის დაცვის შიდა პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა“, რომელიც გამოცემულია ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ, რუსულ და ქართულ ენებზე, ეფუძნება სიცოცხლისუნარიანობას და უფლებას, - BICE-ს მოღვაწეობის მთავარ საყრდენებს. ის პრაქტიკული ინსტრუმენტია, რომელიც ადგილებზე ტრენერების მუშაობის შემსუბუქების საშუალებას იძლევა, ვინაიდან ისინი მოწოდებულნი არიან, ყურადღება ასევე მიაქციონ იმ ზონების კულტურულ თავისებურებებს, სადაც მუშაობენ და სწავლების ადაპტირება მოახდინონ ყოველი ქვეყნის სოციალურ კონტექსტთან.

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია ბავშვთა დაცვა ძალადობის და უგულებელყოფისაგან და მისი მოღვაწეობის მთავარ მიმართულებას საქართველოში ბავშვისადმი ღირსეული მოპყრობის სტანდარტების დამკვიდრება წარმოადგენს. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი არის BICE-ს ქსელის წევრი. იგი იზიარებს და ნერგავს ორგანიზაციის ბავშვთა დაცვის შიდა პოლიტიკას, რათა დაიცვას ყველა ბავშვი შესაძლო ძალადობის ყოველგვარი რისკისგან, ბავშვებთან მომუშავე ნებისმიერი ორგანიზაციის შიგნით, რა პროფილისაც არ უნდა იყოს იგი.

ნაშრომის „ბავშვთა დაცვის შიდა პოლიტიკა“ ქართული ვერსია მომზადებული და გამოცემულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ BICE-ს ფინასური მხარდაჭერით.

bice
International Catholic Child Bureau
Dignity and rights of the child

ISBN: 978-9941-0-8892-6

www.bice.org
www.phf.org.ge